ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის კავშირი: პოლიტიკა და მმართველი ორგანოები

სიტყვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიტყვარი

ევროპის კავშირი: პოლიტიკა და მმართველი ორგანოები

შემდგენელი: ბიძინა ჯავახიშვილი
რედაქტორი: ნანა ლოლაძე

სიტყვარი გამოცემულია საქართველოსა და
სომხეთში ევროკომისიის
წარმომადგენლობის ფინანსური
მხარდაჭერით

თბილისი
2003

ევროკავშირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათქმა

„ევროპის კავშირი: პოლიტიკა და მმართველი ორგანოები“ ევროპის კავშირის პოლიტიკური ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე განმარტების კიდევ ერთი მცდელობაა. სიტყვარი მოიცავს როგორც ევროპის კავშირის ერთიანი პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს, ასევე მისი მმართველი ორგანოების ფუნქციებისა და მუშაობის წესების განმარტებებს. სიტყვარი განკუთვნილია ევროპის კავშირით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სიტყვარის შედგენისას გაწეული დახმარებისთვის გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ევროგაერთიანებებთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბენილუქსის ქვეყნებში ბატონ კონსტანტინე ზალდასტანიშვილს, საგანგებო და სრულუფლებიან დესპანს ბატონ იოსებ ყუჯიაშვილს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის კავშირთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორს ბატონ შოთა ქელდიშვილს და ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტს ბატონ ვასილ ჭყოიძეს.

სიტყვების თარგმანთან ან განმარტებებთან დაკავშირებული შენიშვნები გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე:
ევროკომისიის წარმომადგენლობა
ნინო ჩხეიძის 38
თბილისი
ტელ: 94 37 63
ფაქსი: 94 37 68

თქვენი შენიშვნები გათვალისწინებული იქნება სიტყვარის შემდგომ გამოცემებში.

T 6482

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

Abstention, constructive (positive abstention) - კონსტრუქციული თავშეკავება

ამ ტერმინით აღინიშნება მინისტრების საბჭოში ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხზე სახელმწიფოს მიერ ხმის მიცემისაგან თავის შეკავება იმ შემთხვევაში, როცა ეს ხელს არ უშლის გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას.

თავშეკავების ეს ფორმა პირველად შემოღებულ იქნა ამსტერდამის ხელშეკრულებით და აისახა ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 23-ე მუხლში. თუ კონსტრუქციულ თავშეკავებას თან ახლავს ოფიციალური დეკლარაციაც, შესაბამისი წევრი სახელმწიფო არაა ვალდებული მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების აღსრულებაში, მაგრამ მან უნდა აღიაროს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სავალდებულოა ევროპის კავშირისათვის. ამ შემთხვევაში, შესაბამისი წევრი სახელმწიფო არ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა ევროპის კავშირის აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მოქმედებებთან.

Accession Criteria - (Copenhagen Criteria) – გაწევრიანების კრიტერიუმები (კოპენჰაგენის კრიტერიუმები)

1993 წლის ივნისში ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენის სამიტზე აღიარა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უფლება შეუერთდნენ ევროპის კავშირს, თუ დააკმაყოფილებენ შემდეგ სამ კრიტერიუმს:

- პოლიტიკური კრიტერიუმი: სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც წარმოადგენენ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა დაცვისა და უმცირესობათა პატივისცემის გარანტიას;
- ეკონომიკური კრიტერიუმი: მოქმედი საბაზრო ეკონომიკა და უნარი მონაწილეობა მიიღოს ევროგაერთიანების ერთიანი პოლიტიკის სფეროებში;
- გაერთიანების სამართლის გადმოტანა ქვეყნის შიდა სამართალში (ინკორპორირება): ევროპის კავშირის სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და ფულადი სახის მიზნებისადმი ერთგულება.

მადრიდის ევროპულმა საბჭომ 1995 წლის დეკემბერში დაადასტურა ეს კრიტერიუმები და ხაზი გაუსვა განმცხადებელი ქვეყნების ადმინისტრაციული სტრუქტურების ადაპტირების აუცილებლობას თანდათანობითი ინტეგრაციის პირობების შესაქმნელად.

Accession Negotiations – გაწევრიანების მოლაპარაკებები

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს განაცხადი ლუქსემბურგის ევროპულმა საბჭომ მისაღებად მიიჩნია (1997 წლის დეკემბერი), გადაწყდა, რომ მოლაპარაკებების პროცესი ორ ფაზად დაყოფილიყო: 1998 წლის 30 მარტს მოლაპარაკებები დაიწყო „პირველი ტალღის" ექვს ქვეყანასთან (ესტონეთი, კვიპროსი, პოლონეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთი); ხოლო „მეორე ტალღის" კიდევ ხუთი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა ევროპის კავშირს შეუერთდებოდა მაშინ, როდესაც საგრძნობი იქნებოდა ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების განვითარება. პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობა და გაერთიანების კანონმდებლობის შიდა კანონმდებლობაში გადატანის პროცესი რეგულარულად მოწმდებოდა.

თითოეული განმცხადებელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შეფასების პროცესი 1999 წლის ივნისამდე გაგრძელდა. შემდეგ შემუშავდა სამუშაო პროგრამა და განისაზღვრა პოზიციები მოლაპარაკებათა დასაწყებად. მოლაპარაკებები კანდიდატ ქვეყნებთან ორმხრივი მთავრობათშორისი კონფერენციების ფორმით მიმდინარეობს (ევროპის კავშირი – განმცხადებელი ქვეყანა). ექვს თვეში ერთხელ იკრიბებიან მინისტრები, ხოლო თვეში ერთხელ – ელჩები.

2002 წლის დეკემბერში კოპენჰაგენის ევროპულმა საბჭომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ათი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპული ქვეყნის ევროპის კავშირში მიღების თაობაზე. ეს ქვეყნებია: ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთი. რაც შეეხება ბულგარეთსა და რუმინეთს, 2007 წლისათვის ეს ორი ქვეყანაც მიუერთდება ევროპის კავშირს. 2004 წელს კი გადაწყდება, აკმაყოფილებს თუ არა თურქეთი კრიტერიუმებს მიერთების მოლაპარაკებათა დასაწყებად. ამ მიზნით, ევროკავშირმა გადაწყვიტა თურქეთისათვის მიერთებისწინა დახმარების გაზრდა.

2003 წლის 16 აპრილს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გაფართოების შესახებ, რომელიც ძალაში 2004 წლის 1 მაისს შევა. მანამდე ხელშეკრულებამ რატიფიცირების პროცესი უნდა გაიაროს ევროპის კავშირის თითოეულ ქვეყანასა და ახალ წევრ სახელმწიფოში.

Accession Partnership - პარტნიორობა გაწევრიანებისათვის

გაწევრიანებისათვის პარტნიორობის შეთანხმებები დაიდო მინისტრების საბჭოსა და განმცხადებელ ქვეყნებს შორის. აღნიშნული შეთანხმებით ევროპის გაერთიანება კოორდინაციას უწევს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის გაწეულ დახმარებას და ამ ქვეყნების მიერ გაერთიანების კანონმდებლობის მიღებისას განსახღვრავს შესაბამის პრიორიტეტებს. განმცხადებელი ქვეყნების მიერ ამ პრიორიტეტების დაცვა, თავის მხრივ, განსახღვრავს გაერთიანების ფინანსურ დახმარებას.

თითოეული განმცხადებელი სახელმწიფო ადგენს დეტალურ პროგრამას გაერთიანების სამართლის შიდა კანონმდებლობაში გადატანისათვის, რის საფუძველზეც ხდება ამ პრიორიტეტების დანერგვა. გარდა ამისა, თითოეული განმცხადებელი სახელმწიფო პასუხისმგებლობას იღებს შესაბამისი ვადების დაცვაზე და განსაზღვრავს საჭირო ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს. საჭიროების შემთხვევაში პროგრამა შესაძლოა შეიცვალოს კომისიისა და შესაბამისი სახელმწიფოს მიერ. ასევე ერთობლივად ხდება ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრაც.

პარტნიორობის შეთანხმების მიხედვით აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის განმცხადებელი ქვეყნების რეფორმების მხარდაჭერის სამი ფინანსური ინსტრუმენტი არსებობს:

- მიერთებისწინა აგრარული დახმარების ფონდი;
- მიერთებისწინა სტრუქტურული დახმარების ფონდი;
- Phare-ის პროგრამა.

Agenda 2000 - „პროგრამა 2000“

1995 წლის დეკემბრის მადრიდის ევროპულმა საბჭომ თხოვნით მიმართა ევროკომისიას, რათა ამ უკანასკნელს წარედგინა ზოგადი სახის დოკუმენტი გაფართოებისა და პოლიტიკის საერთო სფეროთა რეფორმის შესახებ, აგრეთვე, შეტყობინება ევროპის კავშირის მომავალი ფინანსური ჩარჩო შეთანხმების თაობაზე. ამ თხოვნის საპასუხოდ ევროპის კომისიამ 1997 წლის 15 ივლისს მიიღო სამოქმედო გეგმა - „პროგრამა 2000.“ აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ყველა იმ ამოცანას, რომელიც ევროპის კავშირის წინაშე დგას 21-ე საუკუნის დასაწყისში. დოკუმენტს თან ერთვის კომისიის მოსაზრებები იმ ქვეყნების თაობაზე, რომელთაც განაცხადი გააკეთეს ევროპის კავშირში წევრობის შესახებ.

„პროგრამა 2000“ სამი ნაწილისაგან შედგება:

- პირველი ნაწილი ევროპის კავშირის ფუნქციონირების შიდა საკითხებს ეხება, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკისა და ეკონომიკური და სოციალური ურთიერთგათანაბრების პოლიტიკის რეფორმირებას. ეგი ასევე მოიცავს რეკომენდაციებს მოახლოებული გაფართოების სათანადო პირობებში განხორციელებისათვის და ითვალისწინებს ახალი ფინანსური ჩარჩო შეთანხმების შემუშავებას 2000-2006 წლისათვის;
- მეორე ნაწილი მიერთებისწინა სტრატეგიას მოიცავს და ორი ელემენტისაგან შედგება: გაწევრიანებისათვის პარტნიორობის პროცესი და განმცხადებელი ქვეყნის მონაწილეობის გააქტიურება გაერთიანების პროგრამებში;
- დოკუმენტის მესამე ნაწილი აღწერს გაფართოების შედეგებს ევროპის კავშირზე.

აღნიშნული პრიორიტეტები აისახა 1998 წელს ევროკომისიის მიერ შემუშავებულ ოცამდე საკანონმდებლო ინიციატივაში. 1999 წელს ბერლინის ევროპულმა საბჭომ მიაღწია პოლიტიკურ შეთანხმებას საკანონმდებლო პაკეტის შესახებ, რომელიც ოთხ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროს მოიცავს:

- ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის რეფორმა;
- სტრუქტურული პოლიტიკის რეფორმა;
- მიერთებისწინა დახმარება;
- საფინანსო ჩარჩო შეთანხმება.

Applicant Countries - განმცხადებელი ქვეყნები

ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას უფლება აქვს, გააკეთოს განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

90-იან წლებში გაწევრიანების სურვილის შესახებ შემდეგმა ქვეყნებმა განაცხადეს:

თურქეთმა: განაცხადი მიღებულია 1987 წლის 14 აპრილს;
კვიპროსმა: 1990 წლის 3 ივლისი;
მალტამ: 1990 წლის 16 ივლისი;

უნგრეთმა: 1994 წლის 31 მარტი;
პოლონეთმა: 1994 წლის 5 აპრილი;
რუმინეთმა: 1995 წლის 22 ივნისი;
სლოვაკეთმა: 1995 წლის 27 ივნისი;
ლატვიამ: 1995 წლის 13 ოქტომბერი;
ესტონეთმა: 1995 წლის 24 ნოემბერი;
ლიტვამ: 1995 წლის 8 დეკემბერი;
ბულგარეთმა: 1995 წლის 14 დეკემბერი;
ჩეხეთმა: 1996 წლის 17 იანვარი;
სლოვენიამ: 1996 წლის 10 ივნისი.

1997 წლის დეკემბერში ლუქსემბურგის ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა 1998 წელს მოლაპარაკებების დაწყება ექვს ქვეყანასთან: კვიპროსთან, ჩეხეთთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან და სლოვენიასთან. ეს ექვსი ქვეყანა ქმნიდა გაფართოების პირველ ტალღას. მეორე ტალღა მოიცავდა ხუთ ქვეყანას: ბულგარეთს, ლატვიას, ლიტვას, რუმინეთსა და სლოვაკეთს. მოლაპარაკებათა მიმდინარეობა დამოკიდებული იყო აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგრესზე.

2002 წლის დეკემბერში კოპენჰაგენის ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ათი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპული ქვეყნის ევროპის კავშირში მიღების თაობაზე. ეს ქვეყნებია ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთი. რაც შეეხება ბულგარეთსა და რუმინეთს, 2007 წლისათვის ეს ორი ქვეყანაც მიუერთდება ევროპის კავშირს. 2004 წელს კი გადაწყდება, აკმაყოფილებს თუ არა თურქეთი კრიტერიუმებს მიერთების მოლაპარაკებათა დასაწყებად. ამ მიზნით, ევროკავშირმა გადაწყვიტა თურქეთისათვის მიერთებისწინა დახმარების გაზრდა.

2003 წლის 16 აპრილს ხელი მოეწერა გაფართოების ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 2004 წლის პირველ მაისს შევა. მანამდე ხელშეკრულებამ რატიფიცირების პროცესი უნდა გაიაროს ევროპის კავშირის თითოეულ ქვეყანასა და ახალ წევრ-სახელმწიფოებში.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიამ, ლიხტენშტეინმა და ნორვეგიამ სხვადასხვა დროს ასევე განაცხადეს ევროპის კავშირში გაწევრიანების სურვილის შესახებ. მიუხედავად ამისა, 1972 და 1994 წლებში გამართულ რეფერენდუმებზე ნორვეგიელებმა უარი თქვეს ევროპის გაერთიანებაში გაწევრიანებაზე. ლიხტენშტეინისა და შვეიცარიის განაცხადები კი თაროზე შემოიდო მას შემდეგ, რაც შვეიცარიამ რეფერენდუმის გზით უარი თქვა ევროპის ეკონომიკურ ზონაში გაწევრიანებაზე.

Approximation / Harmonization of Legislation - კანონმდებლობის დაახლოება / ჰარმონიზება

ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით მხარეები აღიარებენ, რომ მათ შორის ეკონომიკური კავშირების დამყარება დამოკიდებულია საქართველოს არსებული და მომავალი კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან დაახლოებაზე. შეთანხმება განსაზღვრავს იმ სფეროებსაც, რომლებშიც უნდა მოხდეს კანონმდებლობის დაახლოება, კერძოდ, კანონები, რომლებიც არეგულირებენ კომპანიების მიერ ინვესტიციების განხორციელებას, საბაჟო სამართალი, საბანკო სამართალი, საავტორო უფლებები, დასაქმებულთა დაცვა სამუშაო ადგილზე, ფინანსური მომსახურებანი, კონკურენციის წესები, ჯანდაცვა, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ტექნიკური სტანდარტები და სხვა.

კანონმდებლობის დაახლოების ხელშეწყობის მიზნით ევროგაერთიანება უზრუნველყოფს საქართველოს ტექნიკური დახმარებით, რაც გულისხმობს შემდეგ საშუალებებს: ექსპერტების გაცვლა, წინასწარი ინფორმაციის მიწოდება გარკვეულ კანონებთან დაკავშირებით, სემინარების ორგანიზება, ტრეინინგი და შესაბამისი კანონების თარგმნა.

Architecture of Europe - ევროპის არქიტექტურა

ევროპის არქიტექტურა გულისხმობს სხვადასხვა ორგანიზაციის, ინსტიტუციის, ხელშეკრულებისა და ტრადიციულ ურთიერთობათა ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ევროპულ სივრცეს, სადაც სახელმწიფოები ერთობლივად მუშაობენ საერთო ინტერესის საკითხებსა თუ პრობლემებზე.

ევროპის არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ევროპის კავშირი, რომელიც 1993 წელს ევროპის გაერთიანებების წევრ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების გზით შეიქმნა. ევროპის

კავშირი სამ საყრდენზე დგას: ევროპის გაერთიანებები (პირველი საყრდენი), ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (მეორე საყრდენი) და მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებში თანამშრომლობა (მესამე საყრდენი). მეორე და მესამე საყრდენის კომპეტენციაში შემავალი საკითხები მთავრობათშორისი თანამშრომლობის პროცედურებით წყდება, განსხვავებით პირველი საყრდენისაგან (ევროპის გაერთიანება), სადაც გადაწყვეტილებათა მიღებისათვის გაერთიანების მეთოდი გამოიყენება.

Area of Freedom, Security and Justice – თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სივრცე

მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებში თანამშრომლობა, რომელსაც 1993 წელს დადებული ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულება (მაასტრიხტის ხელშეკრულება) ითვალისწინებდა, თანდათანობით განვითარდა და ამსტერდამის ხელშეკრულებით (1997) შორს მიმავალი მიზნებიც დაისახა. გადაწყდა კავშირის ტერიტორიაზე თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სივრცის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პირთა თავისუფალი გადაადგილება და ორგანიზებული დანაშაულისა და თაღლითობის წინააღმდეგ ეფექტური ზომების გატარება.

მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებთან დაკავშირებული საკითხები (მესამე საყრდენი) თავდაპირველად წყდებოდა მხოლოდ და მხოლოდ მთავრობათშორისი თანამშრომლობის გზით ევროპის კავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავით გათვალისწინებული პროცედურებით. ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ეს საკითხები წყდება როგორც პირველი (*ევროგაერთიანების მეთოდი*), ასევე მესამე საყრდენისათვის გათვალისწინებული (*მთავრობათშორისი თანამშრომლობა*) პროცედურებით.

ევროგაერთიანების (პირველი საყრდენი) კომპეტენციას დაემატა რამდენიმე საკითხი, რომელიც მანამდე მთავრობათშორისი თანამშრომლობის გზით წყდებოდა და მესამე საყრდენის კომპეტენციაში შედიოდა. კერძოდ, ეს საკითხებია: ვიზები, თავშესაფრის მიცემა, იმიგრაცია და სხვა, რომლებიც პირთა თავისუფალ გადაადგილებასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ევროპის კავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავი (მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები) ფარავს უფრო მცირე რაოდენობის საკითხებს, მაგრამ მისი მიზნები უფრო მკაფიოდაა გამოხატული და გულისხმობს პოლიციის, საბაჟოებისა და სასამართლოების თანამშრომლობის გამყარებას.

მესამე საყრდენის დებულებებით გათვალისწინებულია პროცედურა, რომელიც საშუალებას მისცემს წევრ სახელმწიფოებს ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავით გათვალისწინებული კომპეტენციები (საპოლიციო და სასამართლო თანამშრომლობა), რომლებიც მთავრობათშორისი თანამშრომლობით რეგულირდება, გადაიტანონ ევროგაერთიანების ხელშეკრულების მეოთხე თავში (პირთა თავისუფალი გადაადგილება – ვიზები, თავშესაფრის მიცემა, იმიგრაცია და სხვა საკითხები), სადაც გადაწყვეტილებები *ევროგაერთიანების მეთოდით* მიიღება. კომპეტენციათა გადაცემის პროცედურა რთულია, მაგრამ იგი გულისხმობს, რომ თანდათანობით შესაძლებელი იქნება მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებთან (მესამე საყრდენთან) დაკავშირებული საკითხები ევროგაერთიანების კომპეტენციაში გადავიდეს და მისი პროცედურების საშუალებით გადაწყდეს.

თუ რამდენიმე წევრ სახელმწიფოს სურს უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს ამა თუ იმ სფეროში, მათ ამის გაკეთება შეუძლიათ ევროპის კავშირის ჩარჩოებში ცალკე სამართლებრივი სისტემის შექმნის გარეშე, როგორც ეს მოხდა *შენგენის სივრცის* დაარსებისას. აღნიშნული პროცედურა გათვალისწინებულია ევროპის კავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავის 40-ე მუხლში.

Article 48, EU Treaty – ევროპის კავშირის ხელშეკრულების 48-ე მუხლი

ევროპის კავშირის ხელშეკრულების 48-ე მუხლი ითვალისწინებს მთავრობათშორისი კონფერენციის მოწვევას წევრ სახელმწიფოთა მთავრობების მონაწილეობით ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის მიზნით. 48-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს ან კომისიას შეუძლია წარუდგინოს მინისტრების საბჭოს წინადადებები ცვლილებათა შეტანის შესახებ. თუ მინისტრების საბჭო, პარლამენტსა და კომისიასთან კონსულტაციის შემდეგ, გამოთქვამს მოსაზრებას ასეთი კონფერენციის მოწვევის სასარგებლოდ, კონფერენციას იწვევს საბჭოს პრეზიდენტი. კონფერენციაზე მიღებული ცვლილებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას რატიფიცირებას გაუკეთებს თითოეული წევრი სახელმწიფო მისი კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

Article 49, EU Treaty - ევროპის კავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლი

ევროპის კავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლი ითვალიწინებს ახალი წევრების მიერთებას ევროპის კავშირთან. მინისტრების საბჭო მოლაპარაკებათა დაწყების შესახებ ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას კომისიასთან კონსულტაციისა

და პარლამენტის თანხმობის შემდეგ. გაწევრიანების პირობები და დამფუძნებელ ხელშეკრულებებთან შესაბამისობის საკითხები წყდება წევრ სახელმწიფოსა და განმცხადებელ ქვეყანას შორის მოლაპარაკების საფუძველზე. ძალაში შესვლამდე გაწევრიანების შესახებ შეთანხმება რატიფიცირებული უნდა იქნეს თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ.

Article 308, EC Treaty – ევროპის გაერთიანების ხელშეკრულების 308-ე მუხლი

ევროპის გაერთიანების ხელშეკრულების 308-ე მუხლი ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც გაერთიანების უფლებამოსილება არაა საკმარისი ამავე ხელშეკრულების მიერ დასახული ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად (კომპეტენცია ratione materiae). ამ მუხლის თანახმად, ასეთ შემთხვევაში მინისტრების საბჭო კომისიის წინადადების საფუძველზე და პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ზომების გატარების თაობაზე.

Assent Procedure - თანხმობის პროცედურა

გადაწყვეტილების მიღების ეს პროცედურა *ერთიანი ევროპული აქტით* დაწესდა. თანხმობის პროცედურა გულისხმობს, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას მინისტრების საბჭომ უნდა მიიღოს პარლამენტის თანხმობა (წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით). პარლამენტს შეუძლია მიიღოს ან უარყოს საბჭოს შემოთავაზებული წინადადება, მაგრამ მისი შეცვლა არ შეუძლია.

თანხმობის პროცედურა ძირითადად გამოიყენება ახალი წევრების მიღებისას და ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისას. აღნიშნული პროცედურა გამოიყენება მოქალაქეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, ევროპის ცენტრალური ბანკის კონკრეტული ამოცანებით აღჭურვისას, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებისა და ევროპის ცენტრალური ბანკის წესდებების შესაცვლელად, სტრუქტურულ და ურთიერთგათანაბრების ფონდებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ევროპის პარლამენტის არჩევნების ერთიან პროცედურაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, პარლამენტის თანხმობა აუცილებელია წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ სანქციების დაწესებისას, როდესაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელის მიერ ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების სერიოზულ და ხშირ დარღვევას.

B

Benelux – ბენილუქსი

ბელგიის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის ეკონომიკური ასოციაციის - ბენილუქსის ხელშეკრულება 1960 წელს ამოქმედდა. ეკონომიკური თანამშრომლობის პირველი ცდები ამ სამ მეზობელ ქვეყანას შორის 1919 და 1932 წლებში წარუმატებლად დასრულდა. 1944 წელს სამივე ქვეყნის მეთაურებმა მოილაპარაკეს ომის შემდგომ ეკონომიკური თანამშრომლობისათვის ერთიანი სამსახურის შექმნაზე. 1948 წელს დაარსდა ბენილუქსის საბაჟო კავშირი, რითაც შემუშავდა ერთიანი საგარეო საბაჟო ტარიფები და გაუქმდა საბაჟო გადასახადები სამ ქვეყანას შორის. ასევე გადაწყდა, რომ სამივე ქვეყანას ეყოლებოდა ერთობლივი წარმომადგენლობა საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმებზე. ევროგაერთიანებაში ერთიანი ბაზრის შექმნამ ბენილუქსის ეკონომიკური კავშირის მნიშვნელობა ნაწილობრივ შეასუსტა.

Budget – ბიუჯეტი

ევროპის კავშირის ბიუჯეტი საკუთარი სახსრებით ფინანსდება 1970 წლიდან. მანამდე ევროგაერთიანების ბიუჯეტი წევრი სახელმწიფოების შენატანებისაგან დგებოდა. დღეს ევროკავშირის ბიუჯეტი ფინანსდება შემდეგი რესურსებით: 1) გადასახადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტზე; 2) საბაჟო მოსაკრებელი, რომელიც იკრიბება ევროპის გაერთიანების საზღვრებზე; 3) გადასახადი დღგ-დან, რომელიც შედგენს თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ აკრეფილი დღგ-ის 1%-ს; 4) გადასახადი თითოეული წევრი სახელმწიფოს მთლიან ეროვნულ პროდუქტზე.

ბიუჯეტის მიღების პროცედურა რომის ხელშეკრულების 272-ე მუხლითაა განსაზღვრული და მოიცავს რამდენიმე საფეხურს. თავდაპირველად, 15 ივნისამდე, კომისია შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას მინისტრების საბჭოსა და პარლამენტს. 31 ივლისამდე საბჭო, პარლამენტის დელეგაციასთან შემათანხმებელი

შეხვედრის შემდეგ, განიხილავს ბიუჯეტს და უგზავნის პარლამენტს. პარლამენტის მიერ პირველი წაკითხვა ოქტომბრის თვეში მიმდინარეობს. ბიუჯეტის არასავალდებულო ხარჯებს პარლამენტი იღებს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით. რაც შეეხება სავალდებულო ხარჯებს, პარლამენტს შეუძლია წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით შესთავაზოს ცვლილებები საბჭოს. ამის შემდგომ, ნოემბრის მესამე კვირაში, საბჭო განიხილავს ბიუჯეტის პროექტს მეორე წაკითხვით, შეასწორებს მას პარლამენტის მიერ შეტანილი ცვლილებების (არასავალდებულო ხარჯები) და შეთავაზებული შესწორებების (სავალდებულო ხარჯები) გათვალისწინებით. თუ პარლამენტი მთლიანად არ უარყოფს ბიუჯეტს, საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სავალდებულო ხარჯებზე. 22 ნოემბრისათვის პარლამენტს უბრუნდება შესწორებული ბიუჯეტი, რის შემდეგაც იგი განიხილავს პროექტს უკვე მეორე წაკითხვით. რადგან საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სავალდებულო ხარჯებზე, პარლამენტი დეკემბრის სესიის დიდ ნაწილს არასავალდებულო ხარჯების განხილვას ანდომებს და შეუძლია ან მიიღოს, ან უარყოს საბჭოს მიერ წარმოდგენილი ცვლილებები. საბოლოოდ წევრთა უმრავლესობით და ხმების სამი მეხუთედით პარლამენტი იღებს ბიუჯეტს. ამრიგად, სწორედ პარლამენტია ის ორგანო, რომელზეც დამოკიდებულია საბოლოო გადაწყვეტილება ბიუჯეტთან დაკავშირებით.

C

Citizenship of the European Union – ევროპის კავშირის მოქალაქეობა

ევროკავშირის მოქალაქეობა შესაძლებელია მხოლოდ მისი წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთათვის. ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოს მოქალაქე ევროკავშირის მოქალაქედ ითვლება. ამასთანავე, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება ევროპის კავშირის მოქალაქეებს ოთხ ძირითად უფლებას ანიჭებს:

- ევროპის კავშირში გადაადგილებისა და საცხოვრებლის არჩევის თავისუფლება;
- ადგილობრივ არჩევნებსა და ევროპის პარლამენტის პირდაპირ არჩევნებში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება ადგილსამყოფელ ქვეყანაში;
- მფარველობა თითოეული წევრის სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულო სამსახურების მხრიდან, როდესაც ქვეყანა, რომლის მოქალაქეცაა პირი, არაა წარმოდგენილი მესამე ქვეყანაში;
- ევროპის ომბუდსმენისადმი მიმართვისა და აპელაციის უფლება.

Clarity of the Treaties - ხელშეკრულებათა სიმარტივე

1996–1997 წლების მთავრობათშორისმა კონფერენციამ პირველი ნაბიჯი გადადგა ევროპის გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებათა გამარტივებისაკენ. ხელშეკრულებათა სირთულე მათი სამართლებრივი სტრუქტურიდან გამომდინარეობს, რასაც დამფუძნებელ ხელშეკრულებებში სხვადასხვა დროს შეტანილი ცვლილებები განაპირობებს.

1993 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ დაარსდა ევროპის კავშირი, რითაც უკვე არსებული სტრუქტურა შეიცვალა და განივრცო. ახალი ხელშეკრულების მიღებამ სადავო გახადა დამფუძნებელი ხელშეკრულების ზოგიერთი დებულება, რომელიც ახალ ხელშეკრულებას არც შეუცვლია და არც ფორმალურად გაუუქმებია.

ევროკომისია ცდილობს, რომ დამფუძნებელი ტექსტების წაკითხვისა და გაგების სირთულემ ბზარი არ გააჩინოს ევროპის კავშირსა და მის მოსახლეობას შორის და, შესაბამისად, მათი რედაქტირებისა და კონსოლიდირების ინიციატივა წარმოადგინა.

ამსტერდამის ხელშეკრულებაზე თანდართულ ერთობლივ დეკლარაციაში აღინიშნა, რომ აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა ხელშეკრულებათა კონსოლიდირებზე ისე, რომ მოხდეს ამსტერდამის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცვლილებების გადატანა დამფუძნებელ ხელშეკრულებებში. ამ გადაწყვეტილების მიზანია, სამართლებრივი ტექსტები უფრო ნათელი და იოლად გასაგები იყოს ყველასათვის. ამავე მიზნით მოხდა დამფუძნებელი ხელშეკრულებების მუხლების ხელახალი გადანომრვა.

Classification of Expenditure – ხარჯვითი ნაწილის კლასიფიკაცია

ევროკავშირის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს სავალდებულო და არასავალდებულო ხარჯებს. სავალდებულო ხარჯების რაოდენობა სამართლებრივად განსაზღვრულია ხელშეკრულებებით, მეორადი კანონმდებლობით, კონვენციებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კერძო კონტრაქტებით. რაც შეეხება არასავალდებულო ხარჯებს, ბიუჯეტის მიმღებ ორგანოებს (საბჭოსა და პარლამენტს) უფლება აქვთ თავად გადაწყვიტონ მათი ოდენობა. საკითხი იმის

შესახებ, სავალდებულოა თუ არა ესა თუ ის ხარჯი, ხშირად საბჭოსა და პარლამენტს შორის კამათის საფუძველი ხდება, რადგან პარლამენტს შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ -მაშინ, როდესაც ხარჯი არასავალდებულოა. იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯები სავალდებულო ხარჯებად ითვლება, გაერთიანების ბიუჯეტის 45% პარლამენტის კონტროლს არ ექვემდებარება.

Closer Cooperation – გაღრმავებული თანამშრომლობა

გაღრმავებული თანამშრომლობა ევროპის კავშირის ხელშეკრულების მეშვიდე თავში და ევროპის გაერთიანების ხელშეკრულების მე-11 მუხლშია გათვალისწინებული. ასეთი თანამშრომლობის მიზანია, საშუალება მისცეს იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ თანამშრომლობის გაღრმავება, განაგრძონ ევროპული ინტეგრაციის პროცესი ევროპის კავშირის ინსტიტუციური ჩარჩოს შიგნით.

იმისათვის რომ განხორციელდეს გაღრმავებული თანამშრომლობა, საჭიროა გარკვეული პირობების დაკმაყოფილება, კერძოდ, ეს თანამშროლობა:

- უნდა მოიცავდეს სფეროს, რომელიც არ შედის გაერთიანების ექსკლუზიურ კომპეტენციაში;
- უნდა ემსახურებოდეს ევროპის კავშირის მიზნების მიღწევას;
- უნდა ითვალისწინებდეს ხეკშეკრულებების პრინციპებს;
- უნდა წარმოადგენდეს ერთადერთ არსებულ საშუალებას არსებულ ვითარებაში;
- მასში უნდა მონაწილეობდეს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა.

ევროპის გაერთიანების ხელშეკრულების თანახმად, გაღრმავებული თანამშრომლობის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრების საბჭო. გადაწყვეტილების მიღება ხდება კომისიის წინადადების საფუძველზე და პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

ევროკავშირის ხელშეკრულების თანახმად, გაღრმავებული თანამშრომლობის მიზანია თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის უფრო სწრაფი განვითარება. შესაბამისი წევრი სახელმწიფოების თხოვნით გადაწყვეტილებას იღებს საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით, კომისიის მოსაზრების მიღებისა და პარლამენტისათვის შესაბამისი მოთხოვნის გადაცემის შემდეგ.

ნიცის ხელშეკრულებამ შეცვალა დებულებები გაღრმავებული თანამშრომლობის შესახებ. კერძოდ, ხელშეკრულება ერთ დებულებაში იძლევა იმ ათი კონკრეტული პირობის ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა გაღრმავებული თანამშრომლობის პროცედურის დასაწყებად. ნიცის ხელშეკრულება განსაზღვრავს მინიმალურ რაოდენობას (8 სახელმწიფო) წევრი სახელმწიფოებისა, რომელთაც შეუძლიათ გაღრმავებული თანამშრომლობის პროცედურის დაწყება. ამასთანავე, ევროგაერთიანების ხელშეკრულებიდან ამოღებულია დებულება, რომლის თანახმადაც წევრ სახელმწიფოს შეუძლია ვეტო დაადოს გაღრმავებული თანამშრომლობის პროცედურის დაწყებას. სანაცვლოდ, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მოითხოვოს საკითხის გადაცემა ევროპული საბჭოსათვის განსახილველად.

ნიცის ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს გაღრმავებული თანამშრომლობის შესაძლებლობას ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ერთობლივი ქმედებებისა და ერთიანი პოზიციების გასატარებლად. თუმცა, ასეთი თანამშრომლობა არ უნდა იყოს დაკავშირებული თავდაცვის სფეროსთან.

Co-decision Procedure - თანაგადაწყვეტილების პროცედურა

თანაგადაწყვეტილების პროცედურა ამოქმედდა მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ (ევროპის გაერთიანების ხელშეკრულების 251-ე მუხლი). ამ პროცედურით ევროპის პარლამენტს უფლება ეძლევა მიიღოს საკანონმდებლო აქტები და გადაწყვეტილებები მინისტრების საბჭოსთან ერთად. აღნიშნულმა პროცედურამ გაზარდა ევროპარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილება შემდეგ სფეროებში: შრომითი რესურსის თავისუფალი გადაადგილება, დაფუძნების უფლება, მომსახურების სფერო, ერთიანი ბაზარი, განათლება, ჯანმრთელობა, სამოძმეობრივი პოლიტიკა, ტრანს-ევროპული ქსელები, გარემოს დაცვა, კულტურა და სამეცნიერო კვლევა.

ამსტერდამის ხელშეკრულებით თანაგადაწყვეტილების პროცედურა გამარტივდა და იგი უფრო სწრაფი, ეფექტიანი და გამჭვირვალე გახდა. გარდა ამისა, ეს პროცედურა სხვა სფეროებზეც გავრცელდა, კერძოდ, სოციალური მარგინალიზაციის საკითხებსა და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ნიცის ხელშეკრულებამ გააფართოვა თანაგადაწყვეტილების პროცედურის გამოყენების არეალი. ხელშეკრულების

ძალაში შესვლის შემდეგ ეს პროცედურა გამოიყენება იმ შვიდი საკითხის განხილვისას, რომლებზეც გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პროცედურა კვალიფიციური უმრავლესობით იცვლება (მუხლები 13, 62, 63, 65, 157 და 191). ამრიგად, ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ნიცის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ საბჭოში ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობას მოითხოვენ, თანაგადაწყვეტილების პროცედურით იქნება მიღებული.

Comitology – კომიტოლოგია

ევროპის გაერთიანების ხელშეკრულების თანხმად (მუხლი 202), გაერთიანების კანონმდებლობის აღსრულების ფუნქცია კომისიას ეკუთვნის. თითოეული საკანონმდებლო აქტი თავად განსაზღვრავს, რა უფლებამოსილება ენიჭება კომისიას მისი აღსრულებისათვის და როგორ უნდა გამოიყენოს მან ეს უფლებები. ხშირად, მიღებული საკანონმდებლო აქტი ასევე ითვალისწინებს, რომ კომისიას დახმარებას გაუწევენ სპეციალური კომიტეტები „კომიტოლოგიის" პროცედურების შესაბამისად.

კომიტეტები წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან შედგება და მათ კომისია თავმჯდომარეობს. ეს კომიტეტები საშუალებას აძლევენ კომისიას, გაეცნოს ეროვნული ადმინისტრაციების მოსაზრებებს გაერთიანების მიერ მიღებული ზომების აღსრულებამდე. თავის მხრივ, კომისიამ უნდა უზრუნველყოს თითოეულ ქვეყანაში არსებული ვითარების სრულად ასახვა აღსრულების მექანიზმებში.

1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება კომიტოლოგიის შესახებ ითვალისწინებს პარლამენტის გაზრდილ როლს კომიტოლოგიის პროცედურაში. კერძოდ, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება თანაგადაწყვეტილების პროცედურის საშუალებით, პარლამენტს შეუძლია არ მიიღოს კომისიის ან საბჭოს მიერ შეთავაზებული აღსრულების ზომები, რომლებიც, მისი აზრით, სცილდება აღსრულებისათვის კანონმდებლობით გათვალიწინებულ უფლებამოსილებას.

კომიტეტები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

- საკონსულტაციო კომიტეტი: თავის მოსაზრებას სთავაზობს კომისიას, რომელმაც მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს ისინი. ეს პროცედურა გამოიყენება მაშინ, როდესაც განსახილველ საკითხს არ ახასიათებს პოლიტიკური სიმწვავე;
- მართვის კომიტეტი: როდესაც კომისიის მიერ შეთავაზებული ზომები ეწინააღმეგება კომიტეტის მოსაზრებას (რომელიც მიღებულია კვალიფიციური უმრავლესობით), კომისიამ უნდა გადაუგზავნოს თავისი წინადადებები საბჭოს, რომელსაც კვალიფიციური უმრავლესობით შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება. ეს პროცედურა გამოიყენება ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის, მეთევზეობის და ევროპის გაერთიანების ძირითადი პროგრამების მართვასთან დაკავშირებული აღსრულების ზომების მიღებისას;
- რეგულაციის კომიტეტი: კომისიას მხოლოდ მაშინ შეუძლია მიიღოს აღსრულების ზომები, თუკი მიიღებს კომიტეტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის თანხმობას. ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, შეთავაზებული ზომები გადაეგზავნება საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიციური უმრავლესობით. თუმცა, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების არმიღების შემთხვევაში კომისია მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას თუ საბჭოს კვალიფიციური უმრავლესობა წინააღმდეგი არაა. ეს პროცედურა გამოიყენება ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საკანონმდებლო აქტების არაძირითადი დებულებების შესწორებისას.

Committee of the Regions - რეგიონების კომიტეტი

რეგიონების კომიტეტი შეიქმნა 1993 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებით. კომიტეტი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაკენ გაფართოებამდე 222 წევრისაგან შედგება. ნიცის ხელშეკრულების თანახმად, გაფართოების შემდეგ კომიტეტის წევრთა რაოდენობა 344 გახდება. მისი წევრები რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს წარმოადგენენ და წევრი სახელმწიფოების წარდგენით ინიშნებიან საბჭოს მიერ ოთხი წლის ვადით. კომიტეტი კონსულტაციებს უწევს კომისიას რეგიონულ ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორიცაა, განათლება, ახალგაზრდული საქმეები, კულტურა, ჯანდაცვა და რეგიონთა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთგათანაბრება.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კომიტეტის კონსულტაციები საკითხთა კიდევ უფრო ფართო სპექტრს მოიცავს, კერძოდ, გარემოს დაცვა, სოციალური ფონდი, პროფესიული გადამზადება, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა და ტრანსპორტი.

კომიტეტს შეუძლია საკუთარი ინიციატივითაც გამოთქვას მოსაზრებები და კონსულტაცია გაუწიოს ევროპის პარლამენტს.

Committees and Working Parties – კომიტეტები და სამუშაო ჯგუფები

საკანონმდებლო საქმიანობის ყველა ეტაპზე მოქმედებენ კომიტეტები, რომელთა მოვალეობაა დაეხმარონ გაერთიანების ორგანოებს. კომისია საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავებამდე მუდმივად გადის კონსულტაციებს ექსპერტთა კომიტეტებთან. კომიტეტები შედგება შესაბამისი სფეროს თუ კერძო სექტორის წარმომადგენლებისაგან, ასევე, მთავრობათა ექსპერტებისაგან. ისინი უზრუნველყოფენ, რომ კომისიამ გაითვალისწინოს იმათი ინტერესები, ვისზეც გავრცელდება საკანონმდებლო აქტი. არსებობს დაახლოებით 60-მდე საკონსულტაციო კომიტეტი, რომლებიც ფარავენ ყველა სექტორს, თუმცა მათი ნახევარი მხოლოდ სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს.

ევროპის პარლამენტში სხვადასხვა მუდმივი კომიტეტი ორგანიზებას უწევს პარლამენტის წევრთა მუშაობას.

კომიტეტები და სამუშაო ჯგუფები დახმარებას უწევენ მინისტრების საბჭოსაც. ზოგიერთი კომიტეტი გათვალისწინებულია ხელშეკრულებით (მაგალითად, ევროპის გაერთიანების 36-ე მუხლი, მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები), დანარჩენები კი სპეციალურ კომიტეტებს წარმოადგენენ, როგორიცაა, მაგალითად, კულტურის კომიტეტი, რომელიც ახდენს კულტურის სფეროში არსებული ინიციატივების შეფასებას, ამზადებს საბჭოს განხილვებსა და თვალყურს ადევნებს გადაწყვეტილებათა შესრულებას. თითოეული კომიტეტი შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისა და კომისიის ერთი წევრისაგან. პარალელურად, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფები ამზადებენ კორეპერის შეხვედრებსაც.

გარდა ამისა, გაერთიანების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტის განსახორციელებლად შესაძლოა საჭირო გახდეს აღსრულების უფრო კონკრეტული ზომების შემუშავება. ასეთ შემთხვევაში კონკრეტული საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებულია კომისიის შიგნით სპეციალური კომიტეტის შექმნა, რომელიც მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებებს. ამ კომიტეტებს თავმჯდომარეობს კომისია და მასში შედიან ექსპერტები, რომელთაც წევრი სახელმწიფოების მთავრობები ნიშნავენ (იხ. კომიტოლოგია).

Common Agricultural Policy (CAP) – ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკა

ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკა მთლიანად ევროგაერთიანების კომპეტენციას წარმოადგენს. ევროგაერთიანების ხელშეკრულების 33-ე მუხლის თანახმად ამ პოლიტიკის მიზანია: სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდა, ფერმერებისათვის ცხოვრების სათანადო დონის უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის ბაზრის სტაბილიზაცია, საკვების რეგულარული მოწოდებისა და მომხმარებელთათვის მისაღები ფასების უზრუნველყოფა. იგი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის ერთიანი ბაზრის შექმნას, რაც იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციას თავისუფლად უნდა შეეძლოს გადაადგილება ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. გარდა ამისა, პრიორიტეტი ეძლევა გაერთიანების შიგნით წარმოებულ პროდუქციას. ამასთანავე, ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოები შეთანხმდენენ ფინანსურ სოლიდარობაზე, ანუ პოლიტიკის ხარჯები უნდა გაიღოს მთლიანად ევროგაერთიანებამ და არა რომელიმე წევრმა სახელმწიფომ.

ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ძირითადი ელემენტებია: ერთიანი ფასები, ანუ გარანტირებული მინიმუმი კონკრეტული პროდუქტისათვის; საინტერვენციო ფასი, ანუ ფასი, რომლითაც სპეციალური დაწესებულებები წევრ სახელმწიფოებში ყიდულობენ ნამატ პროდუქციას განუსაზღვრელი რაოდენობით; საიმპორტო ფასი, ანუ მინიმალური ფასი, რითაც შეიძლება სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი გაერთიანების ტერიტორიაზე; მოსაკრებელი, ანუ გადასახადი, რომელიც გადაიხდება იმპორტზე, რათა მისი ფასი გაიზარდოს საიმპორტო ფასამდე (ეს მოსაკრებელი ევროგაერთიანების საკუთარი რესურსების ნაწილია) და ბოლოს, კომპენსაცია, რომელიც გადაეხდებათ ევროკავშირის ექსპორტიორებს, რათა შეამცირონ განსხვავება მსოფლიოში არსებულ დაბალ ფასებსა და ევროკავშირის უფრო მაღალ ფასებს შორის.

მოსალოდნელ გაფართოებასთან დაკავშირებით 1999 წელს მიღებულ იქნა რეფორმათა პაკეტი 2000-2006 წლებისათვის, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხო საკვებს, ეკოლოგიას და სოფლის მეურნეობის მდგრადობას. გარდა ამისა, რეფორმამ უნდა შეძლოს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, გაამარტივოს სოფლის მეურნეობის კანონმდებლობა, გააძლიეროს ევროკავშირის პოზიცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში და სტაბილური გახადოს სოფლის მეურნეობის ხარჯები.

Common Commercial Policy - ერთიანი სავაჭრო პოლიტიკა

ევროპის გაერთიანებას ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს ერთიან სავაჭრო პოლიტიკაში (ევროგაერთიანების ხელშეკრულების 133-ე მუხლი). ამ პოლიტიკის ფარგლებში დაარსდა საბაჟო კავშირი წევრ სახელმწიფოებს

შორის, რომელიც ითვალისწინებს ტარიფის შეცვლის ერთიან პრინციპებს, სატარიფო და საგაჭრო შეთანხმებებს არაწევრ ქვეყნებთან, იმპორტისა და ექსპორტის პოლიტიკას და ასე შემდეგ. გადაწყვეტილებას მინისტრების საბჭო იღებს კვალიფიციური უმრავლესობით.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ ცვლილებები შეიტანა 133-ე მუხლში. იგი საშუალებას აძლევს საბჭოს, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, განავრცოს ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის სფერო საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოებასა და მომსახურებაზე, აგრეთვე, ინტელექტუალურ საკუთრებათან დაკავშირებულ შეთანხმებებზე.

Common Defence Policy - თავდაცვის ერთიანი პოლიტიკა

ევროპის კავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა გულისხმობს ერთიანი თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელმაც საბოლოოდ ერთიანი თავდაცვის სისტემა უნდა შექმნას. ევროპის კავშირი სთხოვს *დასავლეთ ევროპის კავშირს* (დეკ), შეიმუშაოს და განახორციელოს გადაწყვეტილებები და ქმედებები, რომლებიც თავდაცვასთანაა დაკავშირებული (ევროკავშირის მე-17 მუხლი).

ერთიანი თავდაცვის პოლიტიკა უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი ელემენტია ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. მისი მიზანია, შეამციროს იმ საფრთხეთა ალბათობა, რომელიც ემუქრება კავშირისა და მისი წევრების ერთიან ღირებულებებსა და ძირითად ინტერესებს. თავდაცვის პოლიტიკის მიზანია, აგრეთვე, ხელი შეუწყოს მშვიდობის შენარჩუნებასა და გამყარებას გაეროს ქარტიის, ჰელსინკის დასკვნითი აქტის, ვაშინგტონის ხელშეკრულებისა (ნატო) და შესწორებული ბრიუსელის ხელშეკრულების (*დასავლეთ ევროპული კავშირი*) შესაბამისად.

ამსტერდამის ხელშეკრულება ითვალისწინებს მნიშვნელოვან დებულებას ე.წ. *პეტერსბერგის ამოცანების* შესახებ, რაც გულისხმობს საბრძოლო ძალების გამოყენებას ჰუმანიტარულ და სამაშველო ოპერაციებში, სამშვიდობო ოპერაციებში და კრიზისულ სიტუაციათა სამართავად.

Common Foreign and Security Policy - ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას ითვალისწინებს ევროკავშირის ხელშეკრულების მეხუთე თავი. მან მანამდე არსებული ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა შეცვალა. ამ პოლიტიკის მიზანია ევროპის კავშირის ერთიანი საგარეო პოლიტიკის ფორმირება, ისევე როგორც ერთიანი თავდაცვის პოლიტიკის თანდათანობითი ჩამოყალიბება, რაც საბოლოოდ ერთიანი თავდაცვის შექმნამდე მიიყვანს ევროკავშირს.

ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (ევროკავშირის მეორე საყრდენის) მიზნები ევროკავშირის ხელშეკრულების მე-11 მუხლითაა განსაზღვრული. ამ მიზნების მისაღწევად კი სპეციალური სამართლებრივი საშუალებებია შექმნილი, კერძოდ, *ერთობლივი ქმედება* და *ერთიანი პოზიცია*, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებას საბჭო იღებს ერთხმად. ამსტერდამის ხელშეკრულებამ პოლიტიკის განხორციელების ამ საშუალებებს დაუმატა კიდევ ერთი, სახელდობრ, *ერთიანი სტრატეგია*, რომელიც მე-12 მუხლითაა განსაზღვრული.

Common Position - ერთიანი პოზიცია

ერთიან პოზიციას ევროკავშირის მინისტრების საბჭო ერთხმად იღებს ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. ამ საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტის მიზანია, უფრო სისტემატური გახადოს თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის საგარეო პოლიტიკის სფეროში და გააუმჯობესოს მათ შორის კოორდინაცია საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ დაეშორჩილონ და დაიცვან მიღებული პოზიცია.

Common Strategy - ერთიანი სტრატეგია

ერთიანი სტრატეგია ახალი ინსტრუმენტია, რომელიც ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში მოქმედებს ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

ევროკავშირის მე-13 მუხლის თანახმად, ევროპული საბჭო განსაზღვრავს ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრინციპებსა და ძირითად მიმართულებებს. იგი იღებს გადაწყვეტილებებს ევროპის კავშირის ერთიანი სტრატეგიის შესახებ იმ საკითხებში, რომლებშიც წევრ სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი საერთო ინტერესები აქვთ.

უფრო კონკრეტულად, ერთიანი სტრატეგია განსაზღვრავს პოლიტიკის მიზნებს, მისი განხორციელების ვადებს და იმ საშუალებებს, რომელიც სჭირდება ევროპის კავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს ერთიანი პოლიტიკის განსახორციელებლად. ერთიანი სტრატეგიის აღსრულება ევალება საბჭოს *ერთობლივი ქმედებებისა* და *ერთიანი პოზიციების* შემუშავების გზით. მინისტრების საბჭოს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს ერთიანი სტრატეგიის შექმნას.

Common Transport Policy - ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკა

ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის მიზანია ისეთი საერთო წესების შემუშავება, რომელიც გავრცელდება ყველა სახის საერთაშორისო ტრანსპორტზე, რომელიც გადაადგილდება ევროკავშირის ერთი ან რამდენიმე ქვეყნის გავლით (მუხლები 70-80). ამ პოლიტიკით ასევე განსაზღვრულია ის პირობები, რომელთა საფუძველზე არაადგილობრივი გადამზიდავები მოქმედებენ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამასთანავე, ტრანსპორტის პოლიტიკის მიზანია, გააუმჯობესოს ტრანსპორტის უსაფრთხოება.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გადაწყვეტილებები ტრანსპორტის სფეროში მიიღება *თანაგადაწყვეტილების პროცედურით* (ევროგაერთიანების ხელშეკრულების 251-ე მუხლი) *ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან* და *რეგიონების კომიტეტთან* კონსულტაციების შემდეგ. თუმცა, არსებობს განსაკუთრებული შემთხვევებიც, კერძოდ:

- გადაწყვეტილებები, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ საცხოვრებელ სტანდარტებზე, დასაქმებასა და სატრანსპორტო საშუალებებზე, მინისტრების საბჭოს მიერ მიიღება ერთხმად, პარლამენტისა და ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ;
- განსაკუთრებული ზომების მიღებისას, რომელიც საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტთანაა დაკავშირებული, მინისტრების საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტს, რა კონკრეტული პროცედურა უნდა იქნეს გამოყენებული თითოეულ შემთხვევაში.

Communitization - „კომუნიტიზირება“

„კომუნიტიზირება“ გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც კონკრეტული საკითხი, რომელიც *მთავრობათშორისი თანამშრომლობის მეთოდით* წყდება (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა – მეორე საყრდენი, მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები – მესამე საყრდენი), გადადის გაერთიანების კომპეტენციაში (პირველი საყრდენი) და მასზე გადაწყვეტილებები *ევროგაერთიანების მეთოდით* მიიღება.

გაერთიანების მეთოდი ეფუძნება მოსაზრებას, რომ ევროპის კავშირის მოქალაქეთა საზოგადო ინტერესი უკეთაა დაცული, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროგაერთანების ორგანოები სრულად მონაწილეობენ, სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით.

პირთა თავისუფალი გადაადგილების საკითხი, რომელიც მანამდე მართლმსაჯულებისა და შინაგანი საქმეების ფარგლებში *მთავრობათშორისი თანამშრომლობით* წყდებოდა, ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ იქნა „კომუნიტიზებული“. ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდის შემდეგ ამ სფეროში გადაწყვეტილებებს *ევროგაერთიანების მეთოდით* მიიღებენ (იხ. *ევროგაერთიანებისა* და *სამთავრობათშორისო მეთოდები*).

Community Acquis - გაერთიანების სამართალი

გაერთიანების სამართალი წარმოადგენს საერთო უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობას, რომლებიც საავალდებულოა ევროპის კავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოსათვის. იგი მუდმივად ვითარდება და მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ხელშეკრულებები, მასში ასახული პრინციპები და მიზნები;
- ხელშეკრულებების საფუძველზე ევროპის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთაც საავალდებულო ხასიათი აქვთ;
- მინისტრების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დადგენილებები;
- ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.
- მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები;
- გაერთიანების ან მისი წევრი სახელმწიფოების მიერ ერთმანეთთან ევროკავშირის საკითხებზე დადებული საერთაშორისო შეთანხმებები.

განმცხადებელმა ქვეყნებმა გაწევრიანებამდე საკუთარ კანონმდებლობაში უნდა გადაიტანონ ევროგაერთიანების სამართალი. გადახვევა ამ წესიდან შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და საკითხთა შეზღუდულ წრეზე. გაწევრიანებისათვის მზადების პროცესში კომისია ამოწმებს, რამდენად შეესაბამება მათი კანონმდებლობა ევროგაერთიანების სამართალს.

Community and Intergovernmental Methods - გაერთიანებისა და სამთავრობაშთორისო მეთოდები

ევროგაერთიანების მეთოდი გულისხმობს ევროგაერთიანების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებს და ამ ორგანოთა ფუნქციონირების წესებს. ეს მეთოდი გამომდინარეობს ინტეგრაციული ლოგიკიდან, სათანადოდ ითვალისწინებს სუბსიდიარობის პრინციპს და ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- საკანონმდებლო ინიციატივაზე ევროკომისიის განსაკუთრებული უფლება;
- მინისტრების საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობის ფართო გამოყენება;
- ევროპის პარლამენტის აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღებაში;
- ევროპის სასამართლოს მიერ გაერთიანების სამართლის ერთიანი ინტერპრეტაცია.

ევროგაერთიანების მეთოდი განსხვავდება მთავრობათშორისი თანამშრომლობის მეთოდისაგან, რომელიც ევროპის კავშირის მეორე და მესამე საყრდენებში გამოიყენება (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა/მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები), ინტეგრაციის სამთავრობათშორისო ლოგიკას ასახავს და შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

- საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას კომისია ინაწილებს მინისტრების საბჭოსთან და კონკრეტული სფეროებითაა შეზღუდული;
- მინისტრების საბჭო, როგორც წესი, ერთხმად იღებს გადაწყვეტილებებს;
- ევროპის პარლამენტს მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია აქვს;
- ევროპის სასამართლოს უფლებამოსილება შეზღუდულია.

Community "bridge" - ევროგაერთიანების „ხიდის" პროცედურა

მაასტრიხტის ხელშეკრულება ითვალისწინებს მეექვსე თავით განსაზღვრული ზოგიერთი დებულების (პოლიციისა და სასამართლო თანამშრომლობა) ევროგაერთიანების კომპეტენციაში თანდათანობით გადასვლის შესაძლებლობას. ამ პროცედურაზე, რომელიც „ხიდის" სახელწოდებითაა ცნობილი, მინისტრების საბჭოში გადაწყვეტილება მიიღებოდა ერთხმად და საჭირო იყო რატიფიცირება თითოეულ წევრ სახელმწიფოში მათი კონსტიტუციების შესაბამისად.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავის 29-ე მუხლით (საპოლიციო თანამშრომლობა სისხლისსამართლებრივ საკითხებზე) გათვალისწინებული ნებისმიერი საკითხი შეიძლება გადატანილ იქნეს ევროგაერთიანების ხელშეკრულების მეოთხე თავში (ვიზები, თავშესაფრის მიცემა, მიგრაცია), რის შედეგადაც გადაწყვეტილებები ამ საკითხებზე *ევროგაერთიანების მეთოდით* მიიღება. როგორც ადრე, ამ შემთხვევაშიც ნებისმიერი გადაწყვეტილება საკითხთა ევროგაერთიანების კომპეტენციაში გადატანის შესახებ ერთხმად უნდა იქნეს მიღებული მინისტრების საბჭოში, რასაც უნდა მოჰყვეს რატიფიცირება თითოეულ წევრ სახელმწიფოში.

Hommunity Law - ევროგაერთიანების სამართალი

ევროგაერთიანების სამართალი ვიწრო გაგებით შედგება დამფუძნებელი ხელშეკრულებებისაგან (პირველადი კანონმდებლობა) და ამ ხელშეკრულებების საფუძველზე გაერთიანების ორგანოების მიერ ამოქმედებული საკანონმდებლო აქტებისაგან (მეორადი კანონმდებლობა).

ფართო გაგებით, გაერთიანების სამართალი მოიცავს გაერთიანების მთლიან სამართლებრივ წესრიგს, სამართლის ზოგადი პრინციპების, ევროპის სასამართლოს პრეცედენტების, გაერთიანების საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების, კონვენციებისა და წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმებების ჩათვლით.

მთლიანად ეს სამართლებრივი აქტები ქმნიან ევროგაერთიანების სამართალს.

Community Legal Instruments - გაერთიანების სამართლებრივი ინსტრუმენტები

გაერთიანების სამართლებრივ ინსტრუმენტებში იგულისხმება ის გადაწყვეტილებები, რომელთა მეშვეობითაც ევროპის გაერთიანების ორგანოები ევროგაერთიანების ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ თავიანთ ამოცანებს სუბსიდიარობის პრინციპის სათანადო გამოყენებით. ამ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:

- რეგლამენტები, რომლებიც მთლიანად სავალდებულოა და პირდაპირ მოქმედებს ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
- დირექტივები, რომლებიც განსაზღვრავენ სავალდებულო მიზანს, რომლის მისაღწევადაც წევრ სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ შეარჩიონ აღსრულების მექანიზმები;
- გადაწყვეტილებები, რომლებიც მთლიანად სავალდებულოა მათთვის, ვისთვისაც ისინია გამიზნული;'
- რეკომენდაციები და მოსაზრებები, რომლებიც არაა სავალდებულო და დეკლარაციული ხასიათი აქვს.

Competition - კონკურენცია

კონკურენციის მიზანია, უზრუნველყოს თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული ევროპის ეკონომიკური ზონის ეფექტური მუშაობა. ევროგაერთიანების კონკურენციის პოლიტიკა (მუხლები 81-89) ხუთ ძირითად პრინციპს ემყარება:

- შეთანხმებული ქმედებების, ასოციაციების აკრძალვა საწარმოებს შორის, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე, ან ხელი შეუშალოს და შეზღუდოს კონკურენცია ევროპის საერთო ბაზარზე,
- საერთო ბაზარზე დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების აკრძალვა, როდესაც ის გავლენას ახდენს ვაჭრობაზე წევრ სახელმწიფოებს შორის;
- წევრი სახელმწიფოების მიერ ნებისმიერი ფორმით გაღებული დახმარების ზედამხედველობა, როდესაც მან შესაძლოა ხელი შეუშალოს კონკურენციას ერთი რომელიმე საწარმოს ან პროდუქციის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებით;
- დიდ საწარმოთა გაერთიანებების პრევენტული ზედამხედველობა მთელი ევროკავშირის მასშტაბით, დაგეგმილი ალიანსების დაშვების ან აკრძალვის გზით;
- იმ სექტორების ლიბერალიზაცია, სადაც ესა თუ ის კერძო თუ სახელმწიფო საწარმოები თანდათანობით იქცნენ მონოპოლიებად, კერძოდ, ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი ან ენერგეტიკა.

პირველ ორ პრინციპთან დაკავშირებით შესაძლოა არსებობდეს გამონაკლისები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საწარმოთა შორის შეთანხმება აუმჯობესებს პროდუქციას ან მის დისტრიბუციას, ან ხელს უწყობს ტექნიკურ პროგრესს. სახელმწიფო დახმარებების სპეციალური სქემები, სოციალური სუბსიდიები თუ კულტურული სუბსიდიები, რომელთა მიზანია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, შესაძლო გამონაკლისთა მაგალითებს წარმოადგენს.

Composition of the Commission – კომისიის შემადგენლობა

კომისიის შემადგენლობის საკითხი მწვავედ დადგა ორი სამთავრობათშორისო კონფერენციის დროს, რომლებიც ორი ხელშეკრულების – ამსტერდამის (1996) და ნიცის (2000) – ხელმოწერით დასრულდა. ამსტერდამის ხელშეკრულებაში ამ მხრივ ცვლილებები არ განხორციელებულა. მაშინ უმთავრეს პრობლემას კომისიის ეფექტურობის ამაღლება, კოლექტიური პასუხისმგებლობისა და ლეგიტიმურობის გაზრდა წარმოადგენდა.

მოსალოდნელმა გაფართოებამ კომისიის შემადგენლობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახადა. ამ საკითხის გადაწყვეტა ნიცის ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია. 2005 წლის 1 იანვრიდან კომისიის შემადგენლობაში შევა თითოეული წევრი სახელმწიფოს ერთი წარმომადგენელი. ახალ წევრ სახელმწიფოს უფლება ექნება, ჰყავდეს კომისიის ერთი წევრი გაწევრიანებისთანავე. ხოლო მას შემდეგ, რაც კავშირის წევრთა რაოდენობა 27-ს შეადგენს (2007 წლიდან), კომისიის წევრები დაინიშნებიან წევრ სახელმწიფოთა შორის როტაციის წესით.

Concentric Circles – კონცენტრული წრეები

კონცენტრული წრეების ცნება აღნიშნავს ევროპის ინტეგრაციის პროცესს, როდესაც გაერთიანება სტრუქტურირებულია სახელმწიფოთა ქვეჯგუფებად, რომლებმაც ინტეგრაციის განსხვავებულ დონეებს მიაღწიეს.

Conciliation Committee - შემთანხმებელი კომიტეტი

მინისტრების საბჭოსა და პარლამენტს შორის თანაგადაწყვეტილების პროცედურის შესაბამისად, შესაძლებელია შემთანხმებელი კომიტეტის შექმნა, რომელიც შედგება საბჭოს წევრებისაგან ან მათი წარმომადგენლებისაგან და იგივე რაოდენობის ევროპარლამენტარებისაგან. ორ აღნიშნულ ორგანოს შორის ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებისას წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება განსახილველად გადაეცემა შემთანხმებელ კომიტეტს, რომელმაც

უნდა შეიმუშაოს ორივე მხარისათვის მისაღები ტექსტი.

შემუშავებული პროექტი ექვსი კვირის განმავლობაში კვალიფიციური უმრავლესობით უნდა მიიღოს საბჭომ და წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით პარლამენტმა. თუ რომელიმე ამ ორგანოთაგან არ მიიღებს ტექსტს, საკანონმდებლო ინიციატივა ჩავარდნილად ითვლება.

Confirmation of the Commission - კომისიის დამტკიცება

მაასტრიხტისა და ამსტერდამის ხელშეკრულებებმა ნაწილობრივ შეცვალეს კომისიის წევრების დანიშვნის წესი და დამტკიცების პროცედურა დააწესეს. დღეს ორი განსხვავებული პროცედურა არსებობს: ერთი კომისიის პრეზიდენტს ეხება, მეორე – კომისიის წევრებს.

თავდაპირველად წევრი სახელმწიფოების მთავრობები პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ თანხმდებიან კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურაზე. პრეზიდენტის კანდიდატურა უნდა მოიწონოს პარლამენტმა (ეს სიახლე ამსტერდამის ხელშეკრულებამ მოიტანა). შემდეგ წევრი სახელმწიფოები ასახელებენ კომისიის წევრობის კანდიდატებს, რისთვისაც კონსულტაციას გადიან პრეზიდენტობის კანდიდატთან. ამის შემდეგ, მთლიანი კაბინეტის შემადგენლობა უნდა მოიწონოს ევროპის პარლამენტმა. საბოლოოდ კომისიის პრეზიდენტი და წევრები ინიშნებიან წევრი სახელმწიფოების მთავრობების მიერ.

პირველად აღნიშნული პროცედურა გაიარა 1995-1999 წლის მოწვევის პარლამენტმა. მას ორმაგი უპირატესობა აქვს: პირველ რიგში, ზრდის კომისიის ლეგიტიმურობას და ამასთანავე, ინტენსიურს ხდის ორ ორგანოს შორის თანამშრომლობას.

ნიცის ხელშეკრულების თანხმად, გაფართოების შემდეგ კომისიის პრეზიდენტს დანიშნავს ევროპული საბჭო ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით და არა ერთხმად, როგორც ეს დღემდე ხდება. ამის შემდეგ, ევროპული საბჭო, ისევ კვალიფიციური უმრავლესობით და უკვე დანიშნული პრეზიდენტის თანხმობით, მიიღებს კომისიის წევრების სიას. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საბჭო პარლამენტის თანხმობის შემდეგ. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს პარლამენტი.

Consolidation of Legislation (formal/official or informal/declaratory) – კანონმდებლობის კონსოლიდაცია (ფორმალური/ოფიციალური და არაფორმალური/დეკლარაციული)

კანონმდებლობის ფორმალური ანუ ოფიციალური კონსოლიდაცია გულისხმობს ისეთი ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტის მიღებას, რომელიც ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში და აერთიანებს ან აუქმებს მანამდე მიღებულ აქტებს. კონსოლიდაცია შეიძლება იყოს:

- ვერტიკალური: ახალი დოკუმენტი ერთიან დოკუმენტად აქცევს ძირითად დოკუმენტს და მასში ცვლილებების შემტან აქტებს;
- ჰორიზონტალური: ახალი დოკუმენტი მოიცავს რამდენიმე პარალელურ ძირითად დოკუმენტს და ასევე თანდართულ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ერთსა და იმავე საკითხთან.

სპეციალური პროცედურა გამოიყენება კანონთა არაოფიციალური, დეკლარაციული ტიპის კონსოლიდაციისა და სამართლებრივი ინსტრუმენტების გამარტივებისას. შემდგომი ცვლილებების გადატანას ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტის ტექსტში ახალი დოკუმენტის მიღება არ სჭირდება. ამ ტიპის კონსოლიდაციას ახორციელებს კომისია გაერთიანების სამართლებრივ ინსტრუმენტთა გამარტივებისათვის. საბოლოო ტექსტს იურიდიული ძალა არ აქვს და ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამოქვეყნდეს ოფიციალურ გამოცემაში.

Consultation Procedure – კონსულტაციის პროცედურა

გადაწყვეტილებათა მიღებისას კონსულტაციის პროცედურის გამოყენება გულისხმობს მინისტრების საბჭოს კონსულტაციას ევროპის პარლამენტთან და მის მიერ ამ უკანასკნელის მოსაზრებათა გათვალისწინებას. ამასთანავე, საბჭო არაა ვალდებული გაითვალისწინოს პარლამენტის პოზიცია. ეს პროცედურა უმეტესწილად გამოიყენება ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას.

Consumer Protection – მომხმარებელთა დაცვა

მომხმარებელთა დაცვა გათვალისწინებულია ევროგაერთიანების ხელშეკრულების 153-ე მუხლით. იგი ეფუძნება მაასტრიხტის ხელშეკრულებას. მუხლი ითვალისწინებს მომხმარებელთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაცვას და, ასევე, მათ უფლებას, ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას.

153-ე მუხლი, ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, პირდაპირ მიუთითებს 95-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ზომის მიღებისას გამოიყენება თანაგადაწყვეტილების პროცედურა, რომელსაც ურთიერთშესაბამობაში მოჰყავს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობები.

თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მომხმარებელთა დაცვის უფრო მკაცრი ზომები შემოიღოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება დამფუძნებელ ხელშეკრულებას და თუ კომისია ინფორმირებულია ამის თაობაზე.

Convention - კონვენცია

მართლმსაჯულებისა და შინაგანი საქმეების საკითხებზე თანამშრომლობა მაასტრიხტის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. ხელშეკრულების მეექვსე თავი ამ სფეროში თანამშრომლობისათვის რამდენიმე სამართლებრივ ინსტრუმენტს, მათ შორის, კონვენციებს ითვალისწინებს. ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კონვენციები გამოიყენება მხოლოდ პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამსტერდამის ხელშეკრულებამ კონვენციათა დადების წესებიც შეცვალა.

კონვენცია მიიღება ერთხმად მინისტრების საბჭოს მიერ პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ. კონვენციას უნდა გაუკეთდეს რატიფიცირება წევრ სახელმწიფოებში. იგი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც წევრ სახელმწიფოთა ნახევარი მაინც გააკეთებს მის რატიფიცირებას.

Convergence Criteria - ურთიერთთავსებადობის კრიტერიუმები

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის დაარსებისათვის წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკის მდგრადი ურთიერთთავსებადობის მისაღწევად მაასტრიხტის ხელშეკრულება ითვალისწინებს ხუთ კრიტერიუმს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული წევრი სახელმწიფო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მესამე ეტაპზე გადასვლამდე. კომისია და ევროპის ცენტრალური ბანკი მუდმივად ამოწმებდნენ აღნიშნული კრიტერიუმების შესრულებას. ეს კრიტერიუმებია:

- ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტს;
- სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტს;
- უნდა შენარჩუნდეს ფასების სტაბილურობა და ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი შემოწმებამდე ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ, ინფლაცია ერთნახევარ პროცენტზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი სახელმწიფოს მონაცემებს;
- უნდა არსებობდეს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სამი ყველაზე წარმატებული ქვეყნის მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს ორ პროცენტზე მეტად;
- უნდა მოხდეს ევროპულ სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლის კურსების მექანიზმით გათვალიწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში.

F 6198 4

ურთიერთთავსებადობის კრიტერიუმების დანიშნულებაა, რომ ეკონომიკურმა განვითარებამ ეკონომიკურ და სავალუტო კავშირის შიგნით პრობლემები არ შეუქმნას თითოეულ წევრ სახელმწიფოს. ამასთანავე, სახელმწიფო ვალთან და დეფიციტთან დაკავშირებული კრიტერიუმები უნდა სრულდებოდეს მესამე ეტაპის დაწყების შემდეგაც. ამ მიზნის მისაღწევად 1997 წელს ამსტერდამის ევროპული საბჭოს მიერ მიღებულ იქნა სტაბილურობის პაქტი.

Cooperation procedure - თანამშრომლობის პროცედურა

გადაწყვეტილების მიღებისას თანამშრომლობის პროცედურა *ერთიანი ევროპული აქტის* მიღების შემდეგ ამოქმედდა (ევროგაერთიანების ხელშეკრულების 252-ე მუხლი). ამ პროცედურამ ევროპის პარლამენტს კომისიის წინადადების ორჯერ წაკითხვის უფლება მისცა, რითაც გაიზარდა პარლამენტის გავლენა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე. მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ეს პროცედურა გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ტრანსპორტი, დისკრიმინაციის აკრძალვა, ევროპის ცენტრალური ბანკის ფონდები, სოციალური ფონდი, პროფესიული მზადება, ტრანსევროპული ქსელები, რეგიონთა ეკონომიკური და სოციალური ურთიერთგათანაბრება, კვლევა, გარემოს დაცვა, თანამშრომლობა განვითარების სფეროში, მუშა-მოსამსახურეთა ჯანდაცვა და უსაფრთხოება და სხვა.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გადაწყვეტილებათა მიღებისას თანამშრომლობის პროცედურის მოქმედების სფერო საგრძნობლად შემცირდა თანაგადაწყვეტილების პროცედურის სასარგებლოდ. ამჯერად, თანამშრომლობის პროცედურა გამოიყენება ეკონომიკური და სავალუტო კავშირის რამდენიმე საკითხის მიმართ.

საქართველოს
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

Coordinated Strategy of Employment - დასაქმების კოორდინირებული სტრატეგია

ამსტერდამის ხელშეკრულებამ შემოიღო დასაქმების კოორდინირებული სტრატეგიის ცნება, რომელიც 1994 წლის დეკემბერის ესსენის ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით ამოქმედებული დასაქმების ინტეგრირებული სტრატეგიიდან გამომდინარეობს.

ესსენის ევროპულმა საბჭომ სთხოვა წევრ სახელმწიფოებს, შეემუშავებინათ დასაქმების მრავალწლიანი პროგრამები და წარედგინათ ანგარიშები კომისიისათვის მათი განხორციელების შესახებ. ეს ანგარიშები აღწერენ ბოლო 12 თვის განმავლობაში მთავრობათა მიერ გატარებულ ზომებს ამ მრავალწლიანი პროგრამების განხორციელებისათვის და აფასებენ, თუ რა შედეგი იქონიეს ამ ქმედებებმა დასაქმებაზე.

მომდევნო წლებში „ესსენის სტრატეგია" კიდევ უფრო დაიხვეწა საბჭოსა და კომისიის ერთობლივი ანგარიშების საფუძველზე. 1997 წელს ევროგაერთიანების ხელშეკრულებას ამსტერდამის ხელშეკრულებით დაემატა ახალი თავი, სადაც საუბარია კოორდინირებულ სტრატეგიასა და დასაქმების პრინციპებზე. პრაქტიკულად საქმე ეხებოდა ორ მთავარ ინოვაციას:

- მინისტრების საბჭო ყოველწლიურად შეიმუშავებს დასაქმების სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც ზოგად ეკონომიკურ პოლიტიკას ასახავს. ასეთ დროს საბჭო, კომისიის წინადადების საფუძველზე, პარლამენტთან, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტსა და რეგიონების კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვეტილებას იღებს კვალიფიციური უმრავლესობით;
- საბჭოს შეუძლია რეკომენდაციები შესთავაზოს წევრ სახელმწიფოებს თითოეულის დასაქმების პოლიტიკის ყოველწლიური შეფასების საფუძველზე, რაზეც გადაწყვეტილება მიიღება კვალიფიციური უმრავლესობით.

Coreper – კორეპერი

კორეპერი ფრანგული აკრონიმია (COmmitee des REpresentants PERmanents) და მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტს ნიშნავს. კორეპერი შედგება ევროკავშირთან წევრ სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლებისაგან (ელჩებისაგან) და მისი ფუნქციაა, დაეხმაროს მინისტრების საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების (კომისიის წინადადებების) განხილვის მომზადებაში. კორეპერი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს გაერთიანების გადაწყვეტილებათა მიღების სისტემაში, რომელშიც იგი, ერთი მხრივ, დიალოგის ფორუმს (მუდმივ წარმომადგენლებს შორის, ან მათსა და წევრ სახელმწიფოთა დედაქალაქებს შორის) წარმოადგენს და, მეორე მხრივ, პოლიტიკური კონტროლის ორგანოს (ექსპერტთა ჯგუფებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისა და მათი ზედამხედველობის გამო). ფაქტობრივად კორეპერი ორი ნაწილისაგან შედგება:

- კორეპერ 1 – მუდმივ წარმომადგენელთა მოადგილეები;
- კორეპერ 2 – მუდმივი წარმომადგენლები.

მინისტრების საბჭოს ეფექტური მოღვაწეობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული კორეპერში შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

COREU (CFSP) – კორეუ (საგარეო და უსაფრთხოების ერთიან პოლიტიკაში)

კორეუ არის ევროკავშირის საკომუნიკაციო ქსელი, რომელიც ემსახურება წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას შორის თანამშრომლობას საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში. საგანგებო ვითარებებში ეს ქსელი სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას აიოლებს.

Council of Europe - ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო სამთავრობათშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც შემდეგი მიზნები აქვს: 1) ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვა; 2) ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება, ევროპული კულტურის განვითარება; 3) ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიება (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა, კლონირება, შიდსი, ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული და სხვა).

ევროპის საბჭო არ უნდა აგვერიოს ევროკავშირთან, რომელიც თვისობრივად და ინტიტუციურად განსხვავებული ორგანიზაციაა, თუმცა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ევროპის საბჭოს წევრიცაა. ევროპის საბჭოში დღეს 45

წევრია გაერთიანებული. საქართველო ევროპის საბჭოში გაწევრიანდა 1999 წელს.

ევროპის საბჭოში გადაწყვეტილებები მიიღება მინისტრთა კომიტეტის მიერ. კომიტეტი წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან ან მათი მუდმივი წარმომადგენლებისაგან შედგება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა სათათბირო ორგანოა, რომლის მუშაობაში წევრი სახელმწიფოების პარლამენტების წევრები მონაწილეობენ. ევროპის საბჭოში ასევე შექმნილია ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ მმართველობათა კონგრესი, რომელიც საკონსულტაციო ორგანოა და ევროპის რეგიონებს წარმოადგენს.

Council of the European Union (The Council) – ევროპის კავშირის საბჭო (მინისტრების საბჭო)

ევროკავშირის საბჭო (შესაძლოა შეგვხვდეს როგორც საბჭო ან მინისტრების საბჭო) ევროკავშირში გადაწყვეტილებათა მიმღები მთავარი ორგანოა. იგი შედგება წევრ სახელმწიფოთა მინისტრებისაგან, რომელთაგან თითოეული პასუხისმგებელია დღის წესრიგით გათვალისწინებულ ცალკეულ საკითხზე, როგორიცაა, საგარეო პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს შემადგენლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კონკრეტულ საკითხს განიხილავს მოცემულ შეხვედრაზე, იგი მაინც ერთიანი ორგანოა.

ევროპის კავშირის თითოეული წევრი სახელმწიფო რიგ-რიგობით ხდება საბჭოს და შესაბამისად კავშირის თავმჯდომარე. თავმჯდომარე ქვეყანა ექვს თვეში იცვლება. საბჭოზე მისაღებ გადაწყვეტილებებს ამზადებს კორეპერი – მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი, რომელთაც სამუშაო ჯგუფები ან მთავრობათა წარმომადგენლები ეხმარებიან. საბჭოს მუშაობას დახმარებას უწევს გენერალური სამდივნო.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, საბჭოს გენერალური მდივანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ევროპის კავშირის უმაღლესი წარმომადგენელიცაა. მასთან ერთად მუშაობს გენერალური მდივნის მოადგილე, რომელიც ინიშნება საბჭოს მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. გენერალური მდივნის მოადგილე პასუხიმგებელია გენერალური სამდივნოს მუშაობაზე.

საბჭოში გადაწყვეტილებებს ძირითადად ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით იღებენ. თანდათანობით გაფართოვდა იმ სფეროთა ნუსხა, რომელზეც გადაწყვეტილებები კვალიფიციური უმრავლესობით მიიღება. მოსალოდნელ გაფართოებასთან დაკავშირებით ბელგია, იტალია და საფრანგეთი მიიჩნევდნენ, რომ მნიშვნელოვანია კვალიფიციური უმრავლესობის პროცედურის გავრცობა სხვა სფეროებზეც. ნიცის ხელშეკრულებით, რომელიც 2003 წელს შევიდა ძალაში და ძირითადად კავშირის აღმოსავლეთით გაფართოებისათვის ხელის შეწყობას ისახავს მიზნად, კიდევ უფრო გაიზარდა იმ სფეროთა რაოდენობა, რომლებზეც გადაწყვეტილებები კვალიფიციური უმრავლესობით მიიღება, კერძოდ, ევროკავშირის მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა (ევროგაერთიანების ხელშეკრულების მე-18 მუხლი), სამოქალაქო საკითხებზე სამართლებრივი თანამშრომლობა (ევროგაერთიანების ხელშეკრულების 65-ე მუხლი), საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება მომსახურების სფეროში (133-ე მუხლი), სამრეწველო პოლიტიკა (157-ე მუხლი), მესამე ქვეყნებთან ეკონომიკური, ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობა (მუხლი 181) და სხვ. (სულ 27 სფერო).

მინისტრების საბჭოში თითოეული სახელმწიფო ხმათა გარკვეულ რაოდენობას ფლობს. ნიცის ხელშეკრულების მიხედვით გაფართოების შემდეგ ხმათა რაოდენობები საბჭოში შემდეგნაირად განაწილდება: გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია – 29 ხმა, ესპანეთი, პოლონეთი – 27 ხმა, რუმინეთი – 14 ხმა, ნიდერლანდი – 13 ხმა, საბერძნეთი, ჩეხეთი, ბელგია, უნგრეთი, პორტუგალია – 12 ხმა, შვედეთი, ბულგარეთი, ავსტრია – 10 ხმა, სლოვაკეთი, დანია, ფინეთი, ირლანდია, ლიტვა – 7 ხმა, ლატვია, სლოვენია, ესტონეთი, კვიპროსი, ლუქსემბურგი – 4 ხმა, მალტა – 3 ხმა. საბჭოში ხმათა საერთო რაოდენობა 345-ს შეადგენს.

Court of Auditors – აუდიტორთა სასამართლო

აუდიტორთა სასამართლო შედგება 15 წევრისაგან (კავშირის წევრთა რაოდენობის შესაბამისად), რომელთაც მინისტრების საბჭო ნიშნავს ექვსი წლის ვადით. ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად, პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ. სასამართლო აუდიტს უტარებს გაერთიანების შემოსავალსა და ხარჯებს, მათი კანონიერების, სიზუსტის შესამოწმებლად და სწორი ფინანსური მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად. აუდიტორთა სასამართლო 1977 წელს შეიქმნა და სრულფასოვან ორგანოდ მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ იქცა. ამსტერდამის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ სასამართლოს უფლება აქვს საბჭოსა და პარლამენტს წარუდგინოს ანგარიში დარღვევათა შესახებ. მისი აუდიტორული უფლებამოსილება ასევე ვრცელდება გაერთიანების იმ ფონდებზეც, რომლებიც იმართება არაგაერთიანების ორგანოების და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ.

ნიცის ხელშეკრულების თანახმად, გაფართოების შემდეგ აუდიტორთა სასამართლოს შემადგენლობა გაიზრდება იმავე რაოდენობით, რამდენითაც ევროპის კავშირი.

Court of Justice - სასამართლო

ევროგაერთიანების სასამართლო შედგება 15 წევრისაგან (კავშირის წევრთა რაოდენობის შესაბამისად), რომელთაც დახმარებას უწევს ცხრა გენერალური ადვოკატი. ისინი ექვსი წლით ინიშნებიან წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საფუძველზე. სასამართლოს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: 1. შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება ევროგაერთიანების და წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები დამფუძნებელ ხელშეკრულებებს, და 2. განმარტოს გაერთიანების სამართლის ნორმები ეროვნული სასამართლოს თხოვნით.

გაფართოების შემდეგ სასამართლოს წევრთა რაოდენობაც გაიზრდება, რათა ახალ წევრებს საშუალება მიეცეთ, ჰყავდეთ ერთი მოსამართლე. დიდი პალატა, რომელშიც 11 მოსამართლე შევა, განიხილავს იმ საკითხებს, რომელსაც დღეს სასამართლოს პლენარული სესია იხილავს. სამი წლით აირჩევა ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი პალატები.

სასამართლოში ასევე ფუნქციონირებს პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც 1989 წელს შეიქმნა. ის ძირითადად გაერთიანების ორგანოებს შორის ადმინისტრაციულ და გაერთიანების კონკურენციის სამართლთან დაკავშირებულ დავებს აგვარებს.

Culture – კულტურა

კულტურის სფერო გაერთიანების კომპეტენციაში ევროკავშირის (მაასტრიხტის) ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ შევიდა. ევროგაერთიანების ხელშეკრულების 151–ე მუხლი სთხოვს გაერთიანებას, ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოებს შორის კულტურულ თანამშრომლობას და საჭიროების შემთხვევაში იმოქმედოს ისეთ სფეროებში როგორიცაა:

- ევროპელი ხალხების კულტურისა და ისტორიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- ევროპული მნიშვნელობის მქონე კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება;
- არაკომერციული სახის კულტურული გაცვლითი პროგრამები;
- ხელოვნების, ლიტერატურის ნიმუშები და აუდიოვიზუალური პროდუქცია;
- მესამე ქვეყნებთან და კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობა.

ამ სფეროში საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ერთხმად, რეგიონების კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ და გამოიყენება თანაგადაწყვეტილების პროცედურა. საბჭოს შეუძლია ერთხმად მიიღოს რეკომენდაციები კომისიის წინადადების საფუძველზე.

1990 წლის შემდეგ გაერთიანებამ შეიმუშავა სხვადასხვა პროგრამა კულტურის სფეროში: კალეიდოსკოპი (ევროპული კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა), არიანა (გამომცემლობები), რაფაელი (კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება). ევროგაერთიანებამ ასევე მხარი დაუჭირა წევრი სახელმწიფოების ინიციატივას „კულტურის ევროპული ქალაქის" დასახელების თაობაზე, რაც 1985 წლის შემდეგ ყოველწლიურად ხორციელდება.

D

Decision and Framework Decision – გადაწყვეტილება და ჩარჩო გადაწყვეტილება

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ *გადაწყვეტილებებმა* და *ჩარჩო გადაწყვეტილებებმა* შეცვალეს *ერთობლივი ქმედებები*, რომელსაც მიმართავდნენ ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავით გათვალისწინებულ სფეროებში (პოლიცია და სამართლებრივი თანამშრომლობა სისხლისსამართლებრივ საკითხებში). *გადაწყვეტილებები* და *ჩარჩო გადაწყვეტილებები* უფრო მეტად სავალდებულო ხასიათის სამართლებრივი ინსტრუმენტებია და მიზნად ისახავს ევროკავშირის მესამე საყრდენის ფარგლებში უფრო ეფექტური ღონისძიებების უზრუნველყოფას.

ჩარჩო გადაწყვეტილებების მიზანია წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის ერთმანეთთან დაახლოება. ინიციატივის უფლება აქვს კომისიას ან წევრ სახელმწიფოს, გადაწყვეტილება კი მიიღება საბჭოს მიერ ერთხმად. წევრი სახელმწიფოებისათვის ჩარჩო გადაწყვეტილებები სავალდებულოა შედეგის თვალსაზრისით, რაც შეეხება მის მისაღწევ საშუალებებსა და მეთოდებს, იგი თავად წევრ სახელმწიფოთა ხელისუფლებებმა უნდა აირჩიონ.

გადაწყვეტილებები მიიღება ნებისმიერი მიზნით, წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების დაახლოების გარდა. ისინი სავალდებულო ხასიათისაა და მათი განხორციელებისათვის აუცილებელ ქმედებებს განსაზღვრავს საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით.

Declaration (CFSP) – დეკლარაცია (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა)

დეკლარაცია არის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც არაა გათვალისწინებული ევროკავშირის ხელშეკრულების მეხუთე თავით, მაგრამ გამოიყენებოდა *ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის* მიერ. დეკლარაცია არაა სავალდებულო წევრი სახელმწიფოებისათვის და დღემდე ხშირად გამოიყენება საგარეო და უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის სფეროში.

Deepening - ინტეგრაციის გაღრმავება

გაღრმავებაში იგულისხმება ინტეგრაციის დინამიკა, რომელიც გაერთიანების დაარსების შემდეგ მუდმივად ვითარდება. აღნიშნულ დინამიკას ასახავს ევროგაერთიანების განვითარება, კერძოდ, საბაჟო კავშირის შემდეგ ერთიანი ბაზრისა და ბოლოს ერთიანი ვალუტის – ევროს შემოღება. ინტეგრაციის გარღმავება გაფართოების პარალელურ და ხშირად მის განხორციელებამდე გადასადგმელ აუცილებელ ნაბიჯად განიხილება.

ამ სულისკვეთებით გადაწყდა გაერთიანების პოლიტიკის ძირითადი სფეროების (ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკა და სტრუქტურული პოლიტიკა) და გაერთიანების ორგანოთა რეფორმირება აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან ახალი წევრების მიღებამდე.

Democratic Deficit – დემოკრატიული დეფიციტი

არსებობს მოსაზრება, რომ ევროპის კავშირი დემოკრატიის დეფიციტის გამო თანდათან შორდება ჩვეულებრივ ევროპელ მოქალაქეებს. უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ გაერთიანების ინსტიტუციურ მოწყობაში წამყვან როლს ასრულებენ ორგანოები, რომელთაგან ერთი აერთიანებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციებს (საბჭო), მეორეს კი აკლია დემოკრატიული ლეგიტიმურობა (კომისია – მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წევრებს წევრი სახელმწიფოები ნიშნავენ და მისი შემადგენლობა უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა, რომლის წინაშეც კომისია ანგარიშვალდებულია).

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გაერთიანების დემოკრატიული დეფიციტი შემცირდა. უფლებამოსილება გაეზარდა პარლამენტს, გარდა ამისა, დაწესდა წევრ სახელმწიფოთა პარლამენტებისათვის რეგულარული ანგარიშების წარდგენა გაერთიანების საქმიანობის შესახებ.

Differentiated Integration - დიფერენცირებული ინტეგრაცია

დიფერენცირებული ინტეგრაცია გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც წევრი სახელმწიფოების ინტეგრირება ხდება სხვადასხვა სიჩქარით ან სხვადასხვა მიზნებით. ეს განასხვავებს მას იმგვარი მონოლითური გაერთიანებისაგან, რომელშიც ქვეყნები თანაბარი სიჩქარით მიიწევენ ერთი და იმავე მიზნისაკენ.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ დიფერენცირებული ინტეგრაციის ცნებამ პოლიტიკური გამოხატულება პოვა ევროგაერთიანებისა და ევროკავშირის ხელშეკრულებაში დამატებულ ისეთ დებულებებში, რომლებიც დაკავშირებულია *გაღრმავებულ თანამშრომლობასთან.*

Double Majority – ორმაგი უმრავლესობა

მოსალოდნელი გაფართოების პირობებში შემუშავდა წინადადებები საბჭოში გადაწყვეტილებების მიღებისას დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის დღეს არსებული ბალანსის შესანარჩუნებლად. პატარა სახელმწიფოთა ზედმეტი წარმომადგენლობითობის თავიდან აცილების მიზნით გადაწყდა, რომ ხმათა რაოდენობა წევრებს შორის გადანაწილდებოდა იმგვარად, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მისი მომხრე უნდა იყვნენ როგორც საბჭოს წევრები, ისე ევროკავშირის მოსახლეობის უმრავლესობა.

ნიცის ხელშეკრულების თანახმად, კვალიფიციური უმრავლესობა მიღწეულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ხმათა აუცილებელი რაოდენობა და, ამასთანავე, წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა.

ECHO (European Community Humanitarian Office) - ევროგაერთიანების ჰუმანიტარული ოფისი

ევროგაერთიანების ჰუმანიტარული ოფისი 1992 წელს შეიქმნა. ევროპის კავშირი – მისი თხუთმეტი წევრი სახელმწიფო და ევროკომისია – ერთ-ერთ უმსხვილეს ჰუმანიტარულ დონორს წარმოადგენს. ევროგაერთიანების ჰუმანიტარული ოფისი ევროკომისიის სამსახურია, რომელიც სწორედ ჰუმანიტარულ დახმარებაზეა პასუხისმგებელი.

ევროგაერთიანების ჰუმანიტარული ოფისის მანდატი გულისხმობს გადაუდებელი დახმარების გაწევას სტიქიური უბედურებებისა და შეიარაღებული კონფლიქტების მსვერპლთათვის ევროპის კავშირის გარეთ. ევროგაერთიანების ჰუმანიტარული ოფისის დახმარება მოიცავს როგორც საკვებს, წამლებს, საწვავსა და სამედიცინო აღჭურვილობას, ასევე ექიმთა და სანიტართა ჯგუფებს, რომლებიც თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად ადგილზე იგზავნებიან.

1992 წლის შემდეგ ევროგაერთიანების ჰუმანიტარულმა ოფისმა 85 ქვეყანაში დააფინანსა ჰუმანიტარული დახმარება.

Economic and Monetary Union - ეკონომიკური და სავალუტო კავშირი

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის ჰარმონიზების შედეგად შეიქმნა. მთლიანი პროცესი კი ერთიანი ვალუტის შემოღებით დასრულდა. მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნამდე წევრ სახელმწიფოებს სამი ეტაპი უნდა გაევლოთ:

- პირველი ეტაპი (1 ივლისი 1990 – 31 დეკემბერი 1993) – წევრ სახელმწიფოებს შორის კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, ეკონომიკური პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაცია და ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებს შორის მჭიდრო თანაშრომლობა;
- მეორე ეტაპი (1 იანვარი 1994 – 31 დეკემბერი 1998) – წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის ურთიერთთავსებადობის მიღწევა ფასების სტაბილურობისა და მყარი სახელმწიფო ფინანსების უზრუნველსაყოფად;
- მესამე ეტაპი (1 იანვარი 1999) – იქმნება ევროპის ცენტრალური ბანკი, ფიქსირდება კურსი ევროპულ ვალუტებს შორის და შემოდის ერთიანი ვალუტა – ევრო.

Economic and Social Cohesion – ეკონომიკური და სოციალური ურთიერთგათანაბრება

ეკონომიკური და სოციალური ურთიერთგათანაბრების პოლიტიკა სათავეს იღებს რომის ხელშეკრულებიდან (ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება) და გულისხმობს ევროპის რეგიონთა განვითარების დონეებს შორის განსხვავებების შემცირებას. მიუხედავად ამისა, ევროგაერთიანებამ მხოლოდ 1970-იან წლებში მოახერხა ამ სფეროში წევრ სახელმწიფოთა ეროვნული პოლიტიკის კოორდინაცია და დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. მაშინ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი აღმოჩნდა. საერთო ბაზრის შექმნამაც ვერ შეძლო სხვადასხვა რეგიონების განვითარების განსხვავებული დონეების გათანაბრება.

ერთიანი ევროპული აქტის მიღების შემდეგ (1986 წ.) ევროგაერთიანების რეგიონთა ეკონომიკური და სოციალური ურთიერთგათანაბრება, საერთო ბაზრის შექმნასთან ერთად, გაერთიანების ერთ-ერთ მიზნად იქცა.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირისათვის მზადების პროცესში *ერთიანმა ევროპულმა აქტმა* ევროგაერთიანებას რეგიონული განვითარების პოლიტიკაში გადამწყვეტი ზომების გატარებისათვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა.

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ დაასრულა ეკონომიკური და სოციალური ურთიერთგათანაბრების პოლიტიკის ინკორპორაცია (გადატანა) ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში (მუხლები 158-162). ეს პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებსა და რეგიონებს შორის სოლიდარობას ემყარება და გულისხმობს დაბალანსებულ და მდგრად განვითარებას ევროპის კავშირში. მისი მიზანია ევროპის რეგიონებს შორის სტრუქტურული უთანასწორობის შემცირება და თითოეული პიროვნების უზრუნველყოფა თანაბარი შესაძლებლობებით. პრაქტიკაში ეს გაერთიანების მიერ რეგიონებისათვის გამოყოფილი დაფინანსების, კერძოდ, სტრუქტურული ფონდების საშუალებით ხორციელდება. მინისტრების საბჭო, კომისიის წინადადების საფუძველზე, პარლამენტის თანხმობის მიღებისა და ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან და რეგიონების კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ, ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას სტრუქტურული

ფონდების მიზნებისა და მათი გამოყენების შესახებ.

ეკონომიკური და სოციალური ურთიერთგათანაბრების პოლიტიკას ევროგაერთიანების ბიუჯეტში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ადგილი უკავია. მაგალითად 1994-1999 წლებში მას ბიუჯეტის 35% ეკავა. მისი მნიშვნელობა ისევ აისახა ევროგაერთიანების 2000-2006 წლების *ფინანსურ პერსპექტივაში.*

Economic and Social Committee - ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი შედგება 222 წევრისაგან, რომლებიც საზოგადოების სამ ფენას წარმოადგენენ: დამქირავებლები, მუშა-მოსამსახურეები და კონკრეტული დარგის წარმომადგენლები (ფერმერები, ხელოსნები, მომხმარებელთა ინტერესების დამცველები, მეცნიერები, მასწავლებლები, ოჯახის ინტერესების დამცველები, გარემოს დამცველები და სხვადასხვა კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლები). კომიტეტის წევრები ინიშნებიან საბჭოს მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით. იგი კონსულტაციებს იძლევა სხვადასხვა სამართლებრივი აქტის მიღებამდე და შეუძლია საკუთარი ინიციატივითაც გამოსცეს ოფიციალური მოსაზრება.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კომიტეტის კონსულტაციის სფეროები გაფართოვდა და მოიცვა დასაქმების პოლიტიკა, სოციალური საკითხები, საზოგადოებრივი ჯანდაცვა. კომიტეტს შეუძლია კონსულტაციები გაუწიოს ევროპის პარლამენტსაც.

Economic Policy - ეკონომიკური პოლიტიკა

ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკას გაერთიანების საერთო ინტერესის სფეროდ აღიარებს.

მინისტრების საბჭო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე კვალიფიციური უმრავლესობით აყალიბებს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების პროექტს, რომელიც ევროპულ საბჭოს გადაეგზავნება. ამ უკანასკნელის დასკვნის საფუძველზე მინისტრების საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით იღებს რეკომენდაციას, რაც განსაზღვრავს წევრ სახელმწიფოთა და გაერთიანების ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ პრინციპებს. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ატყობინებენ ევროპის პარლამენტს.

ევროგაერთიანების ხელშეკრულების 98-104 მუხლები ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებათა მიღების სხვადასხვა პროცედურას ითვალისწინებენ:

- გადაწყვეტილება მიიღება *თანამშრომლობის პროცედურით,* როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ პოლიტიკაზე წევრი სახელმწიფოების მიერ მრავალმხრივი ზედამხედველობის განხორციელების საკითხებს (მუხლი 99); გაერთიანების ან წევრი სახელმწიფოს ცენტრალური თუ რეგიონული/ადგილობრივი ორგანოების მიერ ფინანსური ინსტიტუტებით პრივილეგირებული სარგებლობის უფლების აკრძალვას (მუხლი 102); გაერთიანების გათავისუფლებას წევრ სახელმწიფოთა ცენტრალური თუ ადგილობრივი მთავრობების მიერ აღებული ვალდებულებებისაგან (მუხლი 103);
- დეფიციტის თავიდან ასაცილებლად კომისია მეთვალყურეობს თითოეული წევრი სახელმწიფოს ბიუჯეტის მდგომარეობას *კონსულტაციის პროცედურით* და საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით იგი ააამოქმედებს ჭარბი დეფიციტის პროცედურის ოქმს (# 20), რომელიც თან ერთვის ევროგაერთიანების ხელშეკრულებას.
- საბჭო ერთხმად მიიღებს გადაწყვეტილებას შექმნილი ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე ქმედებებზე;
- საბჭო ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე იმ წევრი სახელმწიფოსათვის, რომელიც ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის (გარდა სტიქიური უბედურებებისა). ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პარლამენტს.

Education, Vocational Training and Youth - განათლება, პროფესიული გადამზადება და ახალგაზრდული საქმეები

ევროპის გაერთიანებამ განათლების სფეროში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა 1976 წლიდან დაიწყო, თუმცა სამართლებრივი ბაზა ამ ქმედებებს მაასტრიხტის ხელშეკრულებამ შეუქმნა (ევროგაერთიანების ხელშეკრულების 149-ე და 150-ე მუხლები). ამსტერდამის ხელშეკრულებას ამ სფეროში თითქმის არაფერი შეუცვლია. განათლების სფეროში ევროგაერთიანება თანამშრომლობის პროცედურით იღებს გადაწყვეტილებებს ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან და რეგიონების კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ.

1995 წლის შემდეგ განათლებისა და პროფესიული გადამზადების სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა განხორციელდა:

- „სოკრატეს“ პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტთა გაცვლას და ამ მიზნით უნივერსიტეტებს (ერასმის პროგრამა) და სკოლებს (კომენიუსის პროგრამა) შორის თანამშრომლობას და უცხო ენების სწავლას (ლინგუას პროგრამა). სოკრატეს პროგრამით ასევე ხდება ევროპული ქსელების განვითარება განათლების კვალიფიკაციის ურთიერთაღიარების მიზნით, განათლების სფეროში ინფორმაციით უზრუნველყოფა (ევრიდიკეს პროგრამა), განათლების სფეროში პასუხისმგებელ პირთა გამოცდილების გაზიარება (პროგრამა არიონი).
- „ლეონარდო და ვინჩის“ პროგრამის მიზანია პროფესიული მომზადების ხელშეწყობა გადამზადების ეროვნული სისტემების გაუმჯობესებით.
- პროგრამა „ახალგაზრდები ევროპისათვის“ ითვალისწინებს ნაკლებად შეძლებული ახალგაზრდების ხელშეწყობას განათლების სისტემის გარეთ ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობით;

გარდა ამისა, 1990 წლიდან მოქმედებს *ტემპუსის* პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება გაცვლები უმაღლესი განათლების სფეროში, ერთი მხრივ, ევროკავშირის ქვეყნებიდან და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან და მონღოლეთიდან.

ამასთანავე, ევროპის კომისიამ დააარსა ორი სტრუქტურა, რომელიც ეხმარება ევროგაერთიანებას პროფესიული გადამზადების სფეროში:

- პროფესიული გადამზადების ევროპული ცენტრი, რომელიც შეიქმნა 1975 წელს და სალონიკში მდებარეობს;
- ევროპის გადამზადების ცენტრი, რომელიც 1995 წელს შეიქმნა და ტურინში მდებარეობს.

ყველა ამ პროგრამით ევროკავშირი ცდილობს, ყველას მისცეს განათლების მიღებისა და გადამზადების საშუალება წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებაში ჩარევის გარეშე.

Elyssee Treaty - ელისეს ხელშეკრულება

ელისეს ხელშეკრულება ანუ მეგობრობის ხელშეკრულება 1963 წელს დაიდო საფრანგეთსა და გერმანიას შორის. 1960 წელს, გერმანიის კანცლერ ადენაუერთან კონსულტაციის შემდეგ, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ევროპული უსაფრთხოების გაერთიანების შექმნის ინიციატივა წამოაყენა. საფრანგეთისა და გერმანიის გარდა, ამ გეგმას ყველა წევრი სახელმწიფო უკმაყოფილო შეხვდა, რის გამოც ეს ინიციატივა ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, დე გოლი მაინც ეცადა გეგმის თუნდაც მცირედი სახით შენარჩუნებას და გადაწყვიტა მისი გამოყენება ფრანკო-გერმანულ ურთიერთობათა განმტკიცებისათვის. დე გოლმა ადენაუერს ორი ქვეყნის მეთაურთა და მინისტრთა შორის რეგულარული შეხვედრების იდეა შესთავაზა თავდაცვის, საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის საკითხების განსახილველად. შემუშავდა ხელშეკრულება, რომელსაც შერიგებისა და მეგობრობის ფრანკო-გერმანული ხელშეკრულება ეწოდა. ამ დოკუმენტს 1963 წელს მოეწერა ხელი ელისეს სასახლეში და შესაბამისად ელისეს ხელშეკრულების სახელითაა ცნობილი. ეს ხელშეკრულება ევროგაერთიანებაში ფრანკო-გერმანული ღერძის შექმნის საფუძველი გახდა, რამაც დიდი როლი შეასრულა 1970 წლის შემდგომ დასავლეთ ევროპულ პოლიტიკაზე.

Employment - დასაქმება

დასაქმება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. უმუშევრობამ 2000 წლის მაჩვენებლებით 11%-ს მიაღწია. ამ პრობლემის დასაძლევად 1993 წელს ევროკომისიამ გამოსცა ე.წ. *თეთრი წიგნი*, რომელიც ეკონომიკური ზრდის საკითხებს, კონკურენციის ხელშეწყობას და უმუშევრობის პრობლემას ეხებოდა. ამის შემდეგ, 1994 წლის დეკემბერში, ესსენის ევროპულმა საბჭომ დასაქმების სფეროში პრიორიტეტები განსაზღვრა:

- უმუშევრობის შემცირება პროფესიულ გადამზადებაში ინვესტიციების ხელშეწყობით;
- შრომის არასახელფასო ხარჯების შემცირება;
- შრომის ბაზრის ეფექტურობის გაზრდა;
- უმუშევრობისაგან დაზარალებულ პირთა დახმარების სისტემის გაუმჯობესება.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ დასაქმება ევროგაერთიანების ერთ-ერთ მთავარ მიზნად იქცა. გაერთიანებას დაეკისრა პასუხისმგებლობა, წევრ სახელმწიფოებთან ერთად შეიმუშაოს დასაქმების კოორდინირებული სტრატეგია. ამ მიზნით ევროგაერთიანების ხელშეკრულებას დაემატა ახალი თავი დასაქმების შესახებ, რომელიც

ითვალისწინებს:

- გაერთიანების საერთო პოლიტიკაში დასაქმების პრობლემების ასახვას;
- კოორდინაციის მექანიზმის შექმნას ევროგაერთიანების დონეზე (საბჭოს მიერ დასაქმების პრინციპების შემუშავება და წევრი სახელმწიფოების მიერ მათი განხორციელება);
- საბჭოს მიერ კვალიფიციური უმრავლესობით წამქეზებელი ზომების მიღებას, მათ შორის, საცდელი პროექტების განხორციელებასაც.

Employment Committee – დასაქმების კომიტეტი

ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე დაარსდა დასაქმების კომიტეტი, რომელმაც მანამდე არსებული დასაქმებისა და შრომის ბაზრის კომიტეტი შეცვალა.

კომიტეტი შედგება თითოეული წევრი სახელმწიფოს და კომისიის ორ-ორი წარმომადგენლისაგან. კომიტეტის ამოცანაა, დახმარება გაუწიოს საბჭოს დასაქმებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრაში. იგი მეთვალყურეობას უწევს წევრ სახელმწიფოთა დასაქმებისა და შრომის ბაზრის პოლიტიკას.

Enlargement – გაფართოება

ევროგაერთიანების დამფუძნებელი წევრები არიან: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი. ამის შემდეგ ევროგაერთიანება ოთხჯერ გაფართოვდა:

- 1973 წელს: დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, დანია;
- 1981 წელს: საბერძნეთი;
- 1986 წელს: ესპანეთი, პორტუგალია;
- 1995 წელს: შვედეთი, ავსტრია, ფინეთი.

2002 წლის დეკემბრის კოპენჰაგენის ევროპულმა საბჭომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება მომავალი გაფართოების შესახებ და დაასახელა ის ათი ქვეყანა, რომელიც 2004 წლისათვის ევროპის კავშირის წევრები გახდებიან: ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთი. რაც შეეხება ბულგარეთსა და რუმინეთს, 2007 წლისათვის ეს ორი ქვეყანაც მიუერთდება ევროპის კავშირს. 2004 წელს კი გადაწყდება აკმაყოფილებს თუ არა თურქეთი კრიტერიუმებს მიერთების მოლაპარაკებათა დასაწყებად. 2003 წლის 16 აპრილს ხელი მოეწერა გაწევრიანების ხელშეკრულებებს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ათ ქვეყანას შორის.

Environment - გარემოს დაცვა

ევროგაერთიანების გარემოს დაცვითი პოლიტიკის მიზანი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. გარდა ამისა, იგი მიზნად ისახავს ბუნებრივი რესურსებით უფრო ფრთხილი და რაციონალური სარგებლობის წახალისებას. ამასთანავე, გაერთიანება ცდილობს, საერთაშორისო დონეზე წამოჭრას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები.

გარემოს დაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბება და ამ სფეროში გადაწყვეტილებების მიღება სხვადასხვა პროცედურით მიმდინარეობს:

- თანაგადაწყვეტილების პროცედურა გამოიყენება 174-ე მუხლით განსაზღვრული მიზნების (გარემოს დაცვა) მიღწევისათვის კონკრეტული ქმედებების განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში საბჭო კონსულტაციისათვის მიმართავს ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს და რეგიონების კომიტეტს. საბჭო ასევე მოქმედებს თანაგადაწყვეტილების პროცედურის შესაბამისად იმ ზოგადი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, რომლებიც პრიორიტეტულ მიზნებს განსაზღვრავენ;
- საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ერთხმად, ევროპის პარლამენტთან და ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ, როდესაც საქმე ეხება ფინანსური ხასიათის საკითხებს, როგორიცაა, ქალაქისა დაგეგმარება და მიწით სარგებლობა; ან იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ამა თუ იმ წევრი სახელმწიფოს მიერ ენერგორესურსების არჩევანზე.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ მდგრადი განვითარება ევროკავშირის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრა. ამასთანავე, გარემოს დაცვის მოთხოვნებს განსაკუთრებული როლი დაეკისრა გაერთიანების პოლიტიკაში, განსკუთრებით კი

საერთო ბაზრის განვითარების კონტექსტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა წევრი სახელმწიფოების მიერ ევროგაერთიანებაზე უფრო მკაცრი ზომების მიღება გარემოს დაცვის სფეროში. კომისია მეთვალყურეობს ამ გამკაცრებულ ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ საერთო ბაზრის განვითარებას. კომისია ამზადებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტს. მის საკანონმდებლო ინიციატივას შესაძლოა გარემოს დაცვის მხრივ გარკვეული შედეგები მოჰყვეს.

Equal opportunities - თანაბარი საშუალებები

თანაბარი საშუალებების ზოგადი პრინციპი ორი ძირითადი ელემენტისაგან შედგება: ეროვნების მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა (ევროგაერთიანების ხელშეკრულება მუხლი 12) და თანაბარი ანაზღაურება ქალებისა და მამაკაცებისათვის (მუხლი 141). ეს პრინციპი ყველა სფეროში მოქმედებს, კერძოდ, ეკონომიკის, სოციალურ და კულტურის სფეროებში.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროგაერთიანების ხელშეკრულების 13-ე მუხლის თანახმად, გაერთიანებას უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი ზომები სქესის, რასობრივი თუ ეთნიკური კუთვნილების, სარწმუნოების, ინვალიდობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

Equal Treatment for Men and Women - ქალებისა და მამაკაცების თანაბარუფლებიანობა

1957 წელს ამოქმედებული ევროგაერთიანების ხელშეკრულების 141-ე მუხლი ითვალისწინებს ქალებისა და მამაკაცების თანაბარუფლებიანობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ქალებმა და მამაკაცებმა მსგავსი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურება უნდა მიიღონ. 1975 წლის შემდეგ მიღებულმა რამდენიმე დირექტივამ გააფართოა ეს პრინციპი და მოიცვა დასაქმების სფერო, გადამზადება, დაწინაურება და სამუშაო პირობები.

EURO - ევრო

ევრო არის ევროკავშირის ერთიანი ვალუტა და იგი 1999 წლიდან, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მესამე ფაზის დასაწყისიდან მოქმედებს. თუმცა, 2001 წლის იანვრამდე ევრო მხოლოდ ნომინალურად არსებობდა. 2001 წლის დასაწყისიდან კი ევროკავშირის იმ ქვეყნებში, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს შეერთებოდნენ ერთიან ვალუტას, მიმოქცევაში შემოვიდა ევროს ბანკნოტები.

ევრო ევროკავშირის მხოლოდ 12 წევრ სახელმწიფოში მოქმედებს. ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, გერმანია, ესპანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი. დიდმა ბრიტანეთმა და დანიამ უარი თქვეს ერთიან ვალუტაზე. შვედეთი კი შეუერთდება ერთიანი ვალუტის ქვეყნებს მას შემდეგ, რაც იგი საამისო ყველა პირობას დააკმაყოფილებს.

ევროზონაში გაერთიანებული სახელმწიფოების ფულად პოლიტიკას *ევროპის ცენტრალური ბანკი* წარმართავს, რომლის უმთავრესი ამოცანა ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა.

Eurocorps - ევროკორპუსი

ევროკორპუსი საფრანგეთ-გერმანიის 59-ე სამიტზე შეიქმნა 1992 წლის მაისში. მოგვიანებით მათ კიდევ სამი ქვეყანა შეუერთდა: ბელგია – 1993 წლის ივნისში, ესპანეთი – 1993 წლის დეკემბერში და ლუქსემბურგი – 1996 წლის მაისში. ეს სამხედრო შენაერთი 50 000 ჯარისკაცს აერთიანებს და 1995 წლის ნოემბრიდან მოქმედებს. ევროკურპუსი *დასავლეთ ევროპის კავშირის* დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალების შემადგენელი ნაწილია. მას შეუძლია იმოქმედოს როგორც *დასავლეთ ევროპის კავშირის*, ასევე ნატოს ფარგლებშიც (ნატო-ს წესდების მე-5 მუხლი) და შეასრულოს ჰუმანიტარული მისიები, კერძოდ, მოახდინოს წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეების ევაკუაცია და მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო ოპერაციებში გაეროს ან ეუთოს ეგიდით. ევროკორპუსის დასავლეთ ევროპის კავშირის პოლიტიკურ დაქვემდებარებაში გადასვლა 1993 წლის ნოემბრის შეთანხმებით განხორციელდა, ხოლო მის ნატო-სთან ურთიერთობას განსაზღვრავს 1993 წლის იანვარში ნატო-სთან დადებული შეთანხმება.

Eurofor/Euromarfor – ევროპის სახმელეთო და საზღვაო ძალები

დასავლეთ ევროპის კავშირის 1995 წლის მაისის ლისაბონის დეკლარაციით ესპანეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ საერთო სახმელეთო და საზღვაო ძალები ჩამოაყალიბეს. ეს ძალები *დასავლეთ ევროპის კავშირის* ძალების ნაწილს შეადგენენ და მათი მიზანია ევროპული სამხედრო შესაძლებლობების განვითარება *პეტერსბერგის დეკლარაციით* გათვალიწინებული ამოცანების შესასრულებლად.

პორტუგალია დათანხმდა ორივე შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობაზე მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ისინი მოქმედებენ *დასავლეთ ევროპის კავშირის* კონტექსტში და ზიანს არ აყენებენ წევრ სახელმწიფოთა კოლექტიურ თავდაცვას.

Europe agreement – ევროპული შეთანხმება

ევროპული შეთანხმება ასოციაციის შეთანხმების ერთ-ერთი სახეა, რომელიც ევროპის კავშირსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის იდება. მისი მიზანია ასოცირებული ქვეყნის მომზადება ევროკავშირის წევრობისათვის. იგი ითვალისწინებს ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და საბაზრო ეკონომიკა. ეს შეთანხმება ათ განმცხადებელ ქვეყანასთან დაიდო. ეს ქვეყნებია: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკია, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთი.

ევროპული შეთანხმება განუსაზღვრელი ვადით იდება და შემდეგი ნაწილებისგან შედგება:

- პოლიტიკური დიალოგი, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივ და მრავალმხრივ კონსულტაციებს საერთო ინტერესის ნებისმიერ საკითხზე;
- სავაჭრო ურთიერთობები, რომლის მიზანია თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა;
- ეკონომიკური, ფინანსური და კულტურული თანამშრომლობა;
- კანონმდებლობების დაახლოება, განსაკუთრებით ინტელექტუალური საკუთრებისა და კონკურენციის სფეროებში.

რაც შეეხება შეთანხმების ინსტიტუციურ უზრუნველყოფას, ევროპა შეთანხმების განხორციელებას უზრუნველყოფს ასოციაციის საბჭო, რომელიც ერთი მხრივ, საბჭოსა და კომისიის, მეორე მხრივ, ასოცირებული ქვეყნის წარმომადგენლებისაგან შედგება. ასოციაციის კომიტეტი, რომელშიც ასოციაციის საბჭოს წევრები მონაწილეობენ, ამზადებს საბჭოს შეხვედრებს და თვალყურს ადევნებს შეთანხმებათა შესრულებას. დაბოლოს, ასოციაციის საპარლამენტო კომიტეტს, რომელიც, ერთი მხრივ, ევროპარლამენტის წევრებისაგან და, მეორე მხრივ, ასოცირებული ქვეყნის პარლამენტის წარმომადგენლებისაგან შედგება, შეუძლია რეკომენდაციები გაუწიოს ასოციაციის საბჭოს.

Europe à la carte

ეს ტერმინი აღნიშნავს ინტეგრაციის პროცესის არაერთგვაროვან მიმდინარეობას, როდესაც გაერთიანების ცალკეული წევრი სახელმწიფოები ირჩევენ პოლიტიკის ამა თუ იმ სფეროს და ახდენენ ინტეგრირებას ამ კონკრეტულ სფეროებში. თუმცა ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, რომ არსებობდეს ყველა წევრისათვის საერთო მიზნების მინიმალური რაოდენობა.

European Bank of Reconstruction and Development (EBRD) – რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი 1991 წელს დაარსდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მხარდაჭერის მიზნით. დღეს ბანკი ინვესტიციების საშუალებით ცდილობს ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 27 ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებასა და დემოკრატიული სახელმწიფოების მშენებლობას.

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია ამ რეგიონში, რომელიც საკუთარი ფინანსების გარდა მობილიზებას უკეთებს უცხოურ ინვესტიციებს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის. ბანკის მესაკუთრეა სამოცი ქვეყანა და ორი არასამთავრობო ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოწილეები ძირითადად საჯარო სექტორს წარმოადგენენ, ინვესტიციები უმთავრესად კერძო სექტორში ხორციელდება. ინვესტიციების საშუალებით რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი ხელს უწყობს სტრუქტურულ და სექტორულ რეფორმებს, კონკურენციის განვითარებასა და პრივატიზაციას, ძლიერი

ფინანსური ინსტიტუციებისა და სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბებას, ინფრასტრუქტურების განვითარებას და სხვა.

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მანდატის თანახმად, ბანკი ითანამშრომლებს მხოლოდ იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნებიან.

European Central Bank – ევროპის ცენტრალური ბანკი

ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც ფრანკფურტში მდებარეობს, 1998 წლის ივნისში შეუდგა მუშაობას. 1999 წლის 1 იანვრიდან, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა ერთიანი ევროპული ვალუტა – ევრო, იგი პასუხისმგებელია ევროპის ფულადი პოლიტიკის გატარებაზე. ევროპის ცენტრალური ბანკის მმართველი ორგანოები (მმართველი საბჭო და აღმასრულებელი საბჭო) განაგებენ ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემას. მათი ამოცანაა მიმოქცევაში მყოფი ფულის მართვა, სავალუტო ოპერაციები, წევრ სახელმწიფოთა ოფიციალური საგარეო რეზერვების მართვა და გადახდის სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა. ევროპის ცენტრალური ბანკის წინამორბედი იყო ევროპის სავალუტო ინსტიტუტი.

European Commission – ევროპის კომისია (ევროკომისია)

ევროპის კომისია (ევროკომისია) ევროგაერთიანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა, რომლის უფლებამოსილებაში შედის:

- საკანონმდებლო ინიციატივა;
- გაერთიანების პოლიტიკის ადმინისტრირება და აღსრულება;
- ბიუჯეტის მართვა;
- გაერთიანების საგარეო ურთიერთობები;
- ხელშეკრულებათა დაცვის მეთვალყურეობა.

გარდა ამისა, კომისია მხოლოდ გაერთიანების ინტერესებს წარმოადგენს და ევროპული ინტეგრაციის ძირითად მამოძრავებელ ძალადაა მიჩნეული.

გაფართოებამდე კომისია 20 წევრისაგან შედგება. ორ-ორი წევრი ჰყავთ საფრანგეთს, გერმანიას, დიდი ბრიტანეთს, იტალიასა და ესპანეთს. კავშირის დანარჩენ წევრებს კი კომისიაში თითო-თითო წევრი ჰყავთ. კომისიის შემადგენლობა ხუთი წლის ვადით ინიშნება წევრ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე. საბოლოო დანიშვნამდე კომისიის მთლიან შემადგენლობას ხმა უნდა მისცეს ევროპის პარლამენტმა, რომლის წინაშეც იგი ანგარიშვალდებულია. პარლამენტს ასევე შეუძლია ხმების ორი მესამედით დაითხოვოს კომისიის მთლიანი შემადგენლობა.

კომისიის წევრებს დახმარებას უწევს ადმინისტრაცია, რომელიც გენერალურ-დირექტორატებადაა დაყოფილი. კომისიის ადმინისტრაცია ძირითადად ბრიუსელში მდებარეობს. 1999 წლიდან 2004 წლამდე კომისიის პრეზიდენტია რომანო პროდი.

ნიცის ხელშეკრულება ითვალისწინებს კომისიის ახალ შემადგენლობას გაფართოების შემდეგ. 2005 წლიდან კომისიაში იმდენი წევრი იქნება, რამდენიც სახელმწიფო ევროკავშირში. ამრიგად, დიდი წევრი სახელმწიფოები კომისიის ერთ წევრს კარგავენ. მას შემდეგ, რაც ევროკავშირის წევრთა რაოდენობა 27-ს მიაღწევს, ყველა წევრი სახელმწიფო ვეღარ შეძლებს წარადგინოს თავისი წევრი კომისიაში.

European Council - ევროპული საბჭო

ევროპული საბჭო ეწოდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების რეგულარულ შეხვედრებს. საბჭო 1974 წელს დაარსდა საფრანგეთის ინიციატივით და პირველად დუბლინში შეიკრიბა 1975 წელს. ევროპული საბჭოს შექმნამდე 1961-1974 წლებში წევრ სახელმწიფოთა მეთაურები ევროპის უმაღლესი დონის კონფერენციებზე იკრიბებოდნენ. ევროპული საბჭოს მუშაობამ სამართლებრივი აღიარება 1987 წელს მიიღო *ერთიანი ევროპული აქტით*, ოფიციალური სტატუსი კი ევროკავშირის ხელშეკრულებით მიენიჭა 1993 წელს.

ევროპული საბჭო წელიწადში ორჯერ იკრიბება. მის მუშაობას ესწრება კომისიის პრეზიდენტი, როგორც სრულუფლებიანი წევრი. საბჭოს მიზანია ევროკავშირის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების შემუშავება, მისი განვითარების სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა და სამომავლო ამოცანების დასახვა. გარდა ამისა,

ევროპული საბჭო წარმოადგენს ფორუმს, სადაც კავშირის წევრ სახელმწიფოთა მეთაურები ეცნობიან ერთმანეთის მოსაზრებებს ამა თუ იმ აქტუალურ საკითხზე, თანხმდებიან და აკეთებენ პოლიტიკურ განცხადებებს, აწესრიგებენ კავშირის შიგნით წარმოშობილ დავებს, განსაზღვრავენ მომავალი ინტეგრაციის მიმართულებებს, თანხმდებიან დამფუძნებელ ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე და ნიშნავენ კომისიისა და ცენტრალური ბანკის პრეზიდენტებს.

EFTA / European Free Trade Association – ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონა

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონა 1960 წელს შექმნა ექვსმა დასავლეთ ევროპულმა სახელმწიფომ, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ სურდათ ან არ შეეძლოთ მიეღოთ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ზესახელმწიფოებრივი პრინციპები. შეთანხმება ითვალისწინებდა ტარიფების თანდათანობით გაუქმებას სამრეწველო საქონელზე, თუმცა საგარეო სავაჭრო ტარიფები არ უქმდებოდა. ამ შეთანხმების მონაწილე ქვეყნები ფიქრობდნენ, რომ ასეთი გაერთიანება მათ საკუთარი პოზიციების გამყარების საშუალებას მისცემდა ევროგაერთიანებასთან ურთიერთობებისას. 1973 წელს დანიამ და დიდმა ბრიტანეთმა დატოვეს თავისუფალი ვაჭრობის ზონა და ევროგაერთიანებას შეუერთდნენ. 1991 წელს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონასა და ევროგაერთიანებას შორის დაიდო შეთანხმება ევროპის ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ. 1995 წელს შვედეთი, ფინეთი და ავსტრია ევროკავშირში გაწევრიანდნენ, რის შემდეგაც თავისუფალი ვაჭრობის ზონაში მხოლოდ ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი დარჩნენ.

European Parliament – ევროპის პარლამენტი (ევროპარლამენტი)

ევროპის პარლამენტი ევროკავშირის 370 მილიონი მოქალაქის 626 წარმომადგენელს აერთიანებს. 1979 წლიდან ტარდება ევროპარლამენტის პირდაპირი არჩევნები. მისი დღევანდელი შემადგენლობა აღმოსავლეთ ევროპისაკენ გაფართოების შემდეგ გაიზრდება, თუმცა, ნიცის ხელშეკრულების თანახმად, არ გადააჭარბებს 732 წევრს. ევროპარლამენტში თითოეული ქვეყნის წარმომადგენელთა რაოდენობა ამ ქვეყნის მოსახლეობის სიდიდეზეა დამოკიდებული. პარლამენტის წევრები ჯგუფდებიან არა ეროვნების, არამედ პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით, თუმცა ერთი ეროვნების პარალმეტარებსაც შეუძლიათ შექმნან პოლიტიკური ჯგუფი, ოღონდ ამისთვის დეპუტატთა გარკვეული რაოდენობაა აუცილებელი.

ევროპარლამენტს შემდეგი ძირითადი ფუნქციები აქვს:

- იგი განიხილავს კომისიის წინადადებებს და საბჭოსთან ერთად მონაწილეობს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და საკანონმდებლო საქმიანობაში სხვადასხვა პროცედურის საშუალებით (თანაშრომლობის პროცედურა, თანაგადაწყვეტილების პროცედურა, თანხმობის პროცედურა);
- იგი კონტროლს უწევს კავშირის საქმიანობას საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რაც კომისიის მთლიანი შემადგენლობის დამტკიცებისა და მისი დათხოვნის უფლებაშიც გამოიხატება. პარლამენტი რეგულარულად მიმართავს კომისიას და საბჭოს შეკითხვებით (როგორც წერილობით, ისე ზეპირად);
- იგი საბჭოსთან ერთად ინაწილებს საბიუჯეტო უფლებამოსილებას ბიუჯეტის მიღებისა და განხორციელების საკითხში. იგი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ბიუჯეტის არასავალდებულო ხარჯებზე.

გარდა ამისა, ევროპის პარლამენტი ნიშნავს ევროპის ომბუდსმენს, რომელსაც უფლება აქვს, ევროკავშირის მოქალაქეებისაგან მიიღოს საჩივრები, რომლებიც გაერთიანების ორგანოთა საქმიანობას შეეხება. ევროპის პარლამენტს უფლება აქვს ჩამოაყალიბოს დროებითი საგამოძიებო კომიტეტები, რომელთაც შეუძლიათ შეისწავლონ არა მხოლოდ გაერთიანების ორგანოთა საქმიანობა, არამედ წევრი სახელმწიფოების მიერ გაერთიანების პოლიტიკის განხორციელებაც.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ საკანონმდებლო პროცედურა ბევრ სფეროში გაამარტივა თანაშრომლობის პროცედურის თანაგადაწყვეტილების პროცედურით შეცვლის გზით, რითაც გაიზარდა ევროპის პარალმენტის უფლებამოსილებები. თანაშრომლობის პროცედურა ჯერ კიდევ გამოიყენება ეკონომიკურ და საგალუტო კავშირთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე.

Europol - ევროპოლი (ევროპის პოლიციის სამსახური)

საუბარი ევროპის პოლიციის სამსახურის შექმნის შესახებ პირველად 1991 წელს დაიწყო. მაშინდელი გეგმის მიხედვით უნდა შექმნილიყო ახალი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა წევრ სახელმწიფოებს შორის საპოლიციო თანაშრომლობის განვითარებას საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. კონვენციას ევროპოლის შექმნის შესახებ 1995 წელს მოეწერა ხელი, ძალაში კი 1998 წელს შევიდა.

საპოლიციო თანამშრომლობა გათვალისწინებულია ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავით. მის დებულებათა განსახორციელებლად 1995 წელს შეიქმნა ევროპოლის ნარკოტიკების დროებითი განყოფილება. ამ განყოფილების მთავარი მიზანი ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მოგვიანებით მისი მოქმედების სფერო გაფართოვდა და რადიაქტიული და ბირთვული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობის, უკანონო საიმიგრაციო ქსელების, ავტომობილებით უკანონო ვაჭრობისა და კრიმინალურ ქმედებებთან დაკავშირებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა მოიცვა, რასაც, მოგვიანებით, ადამიანებით ვაჭრობაც დაემატა. ევროპის პოლიციის სამსახურმა ევროპოლის ნარკოტიკების განყოფილება 1999 წლის 1 ივლისიდან შეცვალა.

ევროპოლის შტაბბინა მდებარეობს ჰაგაში.

European Political Cooperation – ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა

ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა ეწოდებოდა ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და სამინისტროების მაღალჩინოსანთა რეგულარულ შეხვედრებს, რომელსაც 1970 წელს ჩაეყარა საფუძველი, 1969 წელს გამართული ევროგაერთიანების ჰაგის სამიტის გადაწყვეტილებათა შედეგად. 1987 წელს *ერთიანი ევროპული აქტის* მიერ მოხდა ამ პრაქტიკის გაფორმება. ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენდა წევრ სახელმწიფოთა კონსულტაცია საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. აღნიშნული თანამშრომლობის საშუალებით წევრი სახელმწიფოები შესაძლებისდაგვარად გამოხატავდნენ ერთიან პოზიციას საერთაშორისო ორგანიზაციებში და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზე. მოგვიანებით (1993 წ.) ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა ევროკავშირის ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა *ერთიანმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკამ* (ევროკავშირის მეორე საყრდენმა) შეცვალა.

Eureopan Security and Defence Identity – ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტურობა

ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის ჩამოყალიბების იდეა ორი მიზეზით იყო განპირობებული:

- 90-იან წლებში ევროპაში დესტაბილიზაციისა და კონფლიქტის ორმა კერამ იფეთქა – ბოსნია-ჰერცეგოვინასა და კოსოვოში;
- ევროპის თავდაცვაში შეერთებული შტატების წილის შემცირებამ საჭირო გახადა ევროპელთა ძალისხმევის ზრდა საკუთარი თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მოგვიანებით ნათელი გახდა ნატო-ს შესაძლებლობათა საზღვრებიც, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი თავის თავდაცვით მოვალეობებს მხოლოდ საგარეო საფრთხის შემთხვევაში აღიარებდა. ამასთანავე, თანდათან გამოიკვეთა ევროპისათვის ისეთი საერთო პოლიტიკური ერთეულის აუცილებლობა, რომელიც გაუმკლავდებოდა ევროპის უსაფრთხოების წინაშე მდგარ ახალ პრობლემებს.

1994 წელს ბრიუსელში ნატო-ს საბჭომ აღიარა ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის განსაზღვრის აუცილებლობა. შესაბამისად, 1996 წელს ბერლინში ნატო-ს საბჭომ საფუძველი ჩაუყარა შერეული ერთობლივი შეიარაღებული ძალების იდეას. ალიანსის ლიდერებმა შეიმუშავეს კონცეფცია, რომლის თანახმადაც ნატო-ს სამხედრო საშუალებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ევროკავშირის წარმოებულ ოპერაციებში.

External Responsibilities of the Community – ევროპის გაერთიანების საგარეო უფლებამოსილება

გაერთიანება ორი სახის უფლებამოსილებითაა აღჭურვილი: ექსკლუზიური, როდესაც მოცემულ სფეროში გაერთიანებას აქვს სრული კომპეტენცია (მაგალითად, ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკა) და შერეული, როდესაც გაერთიანების კომპეტენცია ამა თუ იმ სფეროში განაწილებულია წევრ სახელმწიფოებთან (მაგალითად, ტრანსპორტის პოლიტიკა). ეს სხვაობა ნაგულისხმევი კომპეტენციის პრინციპს ეფუძნება. საგარეო ურთიერთობებში გაერთიანებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპეტენცია ორ შემთხვევაში აქვს: სავაჭრო პოლიტიკა (მუხლი 133) და ასოციაციის შეთანხმებები (მუხლი 310).

უნდა აღინიშნოს, რომ *ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა* საერთოდ არაა გაერთიანების კომპეტენციაში და იგი წევრი სახელმწიფოების მიერ *მთავრობათშორისი თანამშრომლობის* პროცედურით იმართება.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ 133-ე მუხლში შეიტანა ცვლილებები, რის შედეგადაც საბჭოს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით შეუძლია გააფართოოს საერთო სავაჭრო პოლიტიკის მოქმედების სფერო და მოიცვას საერთაშორისო მოლაპარაკებები და შეთანხმებები მომსახურების სფეროსა და ინტელექტუალური საკუთრებაზე.

Fight against drugs - ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა

ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა მოიცავს ქმედებათა ფართო სპექტრს, რომელთაგან უმთავრესია ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულებისა და უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ სფეროში სამოქმედოდ ევროკავშირს შეუძლია სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველს დაეყრდნოს.

ნარკოტიკების მოხმარების აღკვეთას ევროგაერთიანების ხელშეკრულების 152-ე მუხლი ითვალისწინებს (საზოგადოებრივი ჯანმრთელობა). ამ მუხლის დებულებათა საფუძველზე გაერთიანებამ შეიმუშავა 1996-2000წწ. სამოქმედო პროგრამა.

ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა ევალება ევროპოლის ნარკოტიკების განყოფილებას, რომელმაც ჩამოაყალიბა საგამოძიებო ქვედანაყოფი წევრ სახელმწიფოთა პოლიციებსა და საბაჟოებს შორის თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად. 1998 წლის 1 ოქტომბერს ეს ქვედანაყოფი ევროპის პოლიციის სამსახურის ნაწილი გახდა.

ამსტერდამის ხელშეკრულება განსაზღვრავს ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავის (სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციისა და სასამართლო თანამშრომლობა) ერთ-ერთ მიზანს. ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 29-ე მუხლის საფუძველზე კომისიამ მიიღო ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა (2000-04). ეს გეგმა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას კავშირის ერთ-ერთ საშინაო და საგარეო პრიორიტეტად აქცევს. იგი რეკომენდაციას უწევს მონაცემების გაცვლასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას ევროკავშირის საჭირო საშუალებებით აღჭურვის მიზნით.

Fight against fraud - თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა

თაღლითობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ეფუძნება ორ სამართლებრივ საფუძველს, რომელთაგან ორივეში შეტანილ იქნა ცვლილებები ამსტერდამის ხელშეკრულებით:

- ევროკავშირის ხელშეკრულების 29-ე მუხლი ითვალისწინებს ამ სფეროში „უფრო მჭიდრო თანამშრომლობას" წევრ სახელმწიფოთა პოლიციის ძალებს, საბაჟო სამსახურებსა და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს შორის, პირდაპირ ან ევროპოლის მეშვეობით;
- ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლი ეხება ქმედებებს, რომელთაც გავლენა აქვთ გაერთიანების ფინანსურ ინტერესებზე. ამ შემთხვევაში, საბჭოს და ევროპარლამენტს უფლება აქვთ მიიღონ ზომები თანაგადაწყვეტილების პროცედურის შესაბამისად, აუდიტორთა სასამართლოსთან კონსულტაციის შემდეგ.

1995 წლის 26 ივლისს ხელი მოეწერა კონვენციას გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ. იგი წარმოადგენს მესამე საყრდენის (თანამშრომლობა მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებში) კომპეტენციაში შემავალ დოკუმენტს. კონვენციის ძირითადი მიზანია, რომ თითოეული წევრი სახელმწიფოს სისხლის სამართალში იყოს მუხლი, რომელიც ითვალისწინებს თაღლითობის დანაშაულს გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ. 1988 წლიდან ამ ტიპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა ევროკომისიის სპეციალურ სამუშაო ჯგუფს, რომელიც 1999 წელს თაღლითობის წინააღმდეგ მებრძოლმა ევროპულმა სამსახურმა შეცვალა.

Fight Against International Organised Crime and Money-Laundering - საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა

საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა ევროპოლის ნარკოტიკების ქვედანაყოფს ევალება. იგი ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლას საპოლიციო და სასამართლო თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით. 1998 წლის 1 ოქტომბერს ევროპის პოლიციის ახალმა სამსახურმა (ევროპოლმა) გადაიბარა ნარკოტიკების ქვედანაყოფის მოვალეობები, რომელიც დროებით შეიქმნა 1994 წელს, ევროპოლის კონვენციის ძალაში შესვლამდე.

საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, რომელსაც ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავი ითვალისწინებს. ხელშეკრულებაში პირდაპირაა მითითებული, რომ ევროპის კავშირში თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სივრცის შექმნის ერთ-ერთ საშუალებას სწორედ

საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. ეს სამართლებრივი საფუძველი წევრ სახელმწიფოებს აძლევს იმის უფლებას, რომ გასცდნენ მხოლოდ ინფორმაციის გაცვლის ეტაპს და გაატარონ ქმედითი პოლიტიკა საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამისათვის მათ შეუძლიათ გამოიყენონ 34-ე მუხლით გათვალისწინებული საშუალებები (საერთო პოზიციები, გადაწყვეტილებები, ჩარჩო გადაწყვეტილებები და კონვენციები).

1997 წლის ივნისში ამსტერდამის ევროპულ საბჭოზე წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს ევროკავშირის პრიორიტეტების განმსაზღვრელი სამოქმედო გეგმა, რომელშიც აისახა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაც. გარდა ამისა, 1998 წლის 28 მაისს განმცხადებელი ქვეყნების მიერ ხელმოწერილ იქნა მეერთებისწინა პაქტი ორგანიზებული დანაშაულის შესახებ.

Fight Against Racism and Xenophobia - რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლა

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ გამოიყენებოდა სხვადასხვა ზომები სოციალური პოლიტიკის ფარგლებში. მაგალითად, ევროკავშირის მინისტრების საბჭოს რეზოლუციით 1997 წელი გამოცხადდა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ წლად, თუმცა პრაქტიკული ქმედებების განხორციელება წევრ სახელმწიფოებს ევალებოდათ.

1998 წლის 25 მარტს, მას შემდეგ, რაც პარლამენტმა აღნიშნულთან დაკავშირებით მიიღო რამდენიმე დადგენილება, კომისიამ წარმოადგინა რასიზმის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა. იგი მიზნად ისახავდა 1997 წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების კონსოლიდირებას და ნიადაგის მომზადებას ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ ევროპის კავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებას დაამატა 29-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს რასმიზმისა და ქსენოფობიის აღკვეთისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის შექმნას. ამით შესაძლებელი გახდა ევროკავშირის ქმედითი პოლიტიკის გატარება.

ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით 1997 წელს ვენაში ჩამოყალიბდა რასიზმისა და ქსენოფობიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი. ამ ცენტრსა და ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის კომიტეტს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად 1998 წლის 21 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება ცენტრსა და ევროპის საბჭოს შორის.

Fight Against Terrorism - ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 29-ე მუხლი კონკრეტულად მიუთითებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, რაც წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, შეიმუშაონ საერთო პოზიციები, მიიღონ გადაწყვეტილებები, ჩარჩო გადაწყვეტილებები და კონვენციები უფრო მჭიდრო კოორდინაციის დასამყარებლად ამ სფეროში.

ოგივე მუხლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციას ევროპული პოლიციის ოფისს (ევროპოლს) აკისრებს. ტერორიზმის წინააღმდეგ საპოლიციო თანამშრომლობა ევროპოლის ფარგლებში 1999 წლის 1 იანვარს დაიწყო.

Financial Perspective 2000-06 - ფინანსური პერსპექტივა 2000-06

ფინანსური პერსპექტივა წარმოადგენს გაერთიანების ხარჯების ჩარჩოს რამდენიმე წლის განმავლობაში. ოგი ევროპის პარლამენტს, მინისტრების საბჭოსა და კომისიას შორის ინტერინსტიტუციური შეთანხმების შედეგია და მოიცავს გაერთიანების შესაძლო ხარჯების მაქსიმალურ მოცულობას. კომისია ახდენს მის ყოველწლიურ კორექტირებას ფასებისა და გაერთიანების მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის გათვალისწინებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური პერსპექტივა არ წარმოადგენს მრავალწლიან ბიუჯეტს, რადგან ფაქტობრივი დანახარჯების ოდენობას და ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლს ყოველწლიური საბიუჯეტო პროცედურა განსაზღვრავს.

დღეისათვის დადებულია ამ ტიპის სამი ინტერინსტიტუციური შეთანხმება: პირველი - 1988-92 ფინანსური პერსპექტივა (დელორის პირველი პაკეტი), მეორე - 1993-99 ფინანსური პერსპექტივა (დელორის მეორე პაკეტი) და მესამე - 2000-06 ფინანსური პერსპექტივა.

ფინანსური პერსპექტივა 2000-06 იმ ახალი ინტერინსტიტუციური შეთანხმების ნაწილია, რომელიც პროგრამა

2000-ის ფინანსური პაკეტის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს შეთანხმება, რომელზეც პოლიტიკური გადაწყვეტილება 1999 წლის მარტში ბერლინის სამიტზე იქნა მიღებული, შესაძლებლობას აძლევს ევროპის კავშირს, მიიღოს ახალი წევრები და იმავდროულად გააძლიეროს თავისი პოლიტიკა მკაცრი ფინანსური ჩარჩოების დაცვით.

ფინანსური პერსპექტივა ადგენს სახელმძღვანელო ჩარჩოებს შვიდწლიანი პერიოდისათვის (2000-06). მიუხედავად ამისა, რომ გაფართოებამდე მასში არ შეიძლება ჩაიდოს გაფართოებასთან დაკავშირებული ხარჯები, შეთანხმებას აქვს ამ მხრივ საყურადღებო სამი თვისება:

- გაზრდილია სოფლის მეურნეობის დაფინანსება, რათა მან მოიცვას სასოფლო განვითარების ახალი პოლიტიკა, ვეტერინარული ზომები, მიერთებისწინა დახმარება სასოფლო-სამეურნეო სფეროში და გაფართოებისათვის დატოვებული ზღვარი;
- 2002 წლიდან 15 წევრი სახელმწიფოსათვის განკუთვნილ სტრუქტურულ ფონდებში ასიგნებები თანდათანობით შემცირდება რეგიონთა უფრო შეზღუდულ რაოდენობაზე პრიორიტეტების კონცენტრაციის გზით. სტრუქტურული ოპერაციები აგრეთვე მოიცავენ მიერთებისწინა დახმარებას;
- საგარეო მოქმედებებისათვის გამოყოფილი თანხები გაზრდილია წელიწადში 2%-ით ისე, რომ დაფაროს Phare-ს პროგრამით გათვალისწინებული მიერთებისწინა დახმარების ზრდა. გარდა ამისა, მიერთებისწინა დახმარებისათვის (Phare, ISPA და Sapard) განკუთვნილი ასიგნებები უცვლელი რჩება იმის მიუხედავად, თუ განმცხადებელი ქვეყნების რა რაოდენობა მიუერთდება ევროპის კავშირს 2000-06 წლებში. ამგვარად, შესაძლებელი იქნება რესურსების კონცენტრაცია იმ ქვეყნებზე, რომლებსაც ეს განსაკუთრებით სჭირდებათ.

დაბოლოს, საბიუჯეტო დისციპლინა შესაძლებელს გახდის ამჟამინდელი დანახარჯების ზედა ზღვრის (გაერთიანების მთლიანი ეროვნული პროდუქტის 1,27%) შენარჩუნებას 2006 წლამდე.

Four Freedoms - ოთხი თავისუფლება

1957 წელს ამოქმედებული ევროპის ეკონომიკური გაერთიანების უმთავრესი მიზანი იყო წევრ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ბარიერების გაუქმება. ამ მიზნით გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება ითვალისწინებდა ერთიანი ბაზრის შექმნას, რომელიც ოთხ თავისუფლებას დაეფუძნებოდა: საქონლის გადაადგილების, პირთა გადაადგილების, მომსახურებისა და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლებას.

საქონლის გადაადგილების თავისუფლება უპირველეს ნაბიჯად განიხილებოდა ერთიანი ბაზრის შექმნის გზაზე. ეს თავისუფლება ვრცელდებოდა როგორც წევრ სახელმწიფოებში წარმოებულ საქონელზე, ასევე მესამე სახელმწიფოებიდან შემოტანილ პროდუქციაზეც. იმისათვის რომ საქონელს თავისუფლად ემოძრავა წევრ სახელმწიფოებს შორის, ამ უკანასკნელებმა გადაწყვიტეს საბაჟო კავშირის შექმნა, რაც გულისხმობდა გადასახადების გაუქმებას იმპორტსა და ექსპორტზე და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ გადასახადზე. ამასთანავე, დაწესდა ერთიანი საბაჟო ტარიფი მესამე სახელმწიფოებთან მიმართებაში.

პირთა თავისუფალ გადაადგილებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში ეს ეხება მუშახელის თავისუფალ გადაადგილებას, რაშიც იგულისხმება ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიმართ მისი მოქალაქეობიდან გამომდინარე ნებისმიერი დისკრიმინაციის აკრძალვა სამუშაოზე დაქირავებისას, ანაზღაურებისას ან სხვა სამუშაო პირობების განსაზღვრისას. მეორე მხრივ, პირთა თავისუფალი გადაადგილების უფლება გულისხმობს თითოეული წევრი სახელმწიფოს მოქალაქის უფლებას იცხოვროს ან ეკონომიკური საქმიანობა აწარმოოს მეორე წევრ სახელმწიფოში.

მიუხედავად იმისა, რომ პირთა თავისუფალ გადაადგილებას და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას ბევრი რამ აერთიანებთ, ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული უფლებებია. ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ თუ პირთა თავისუფალი გადაადგილების უფლება გულისხმობს სხვა წევრ სახელმწიფოში მუდმივი ცხოვრებისა და ეკონომიკური მოღვაწეობის უფლებას, მომსახურების გადაადგილების უფლება ისეთ ანაზღაურებად მოღვაწეობას გულისხმობს, რომელიც დროითაა შეზღუდული. სიტყვა „მომსახურებას" ფართო მნიშვნელობა აქვს. თავდაპირველად ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულება თავად მოიცავდა ამ მომსახურებათა კლასიფიკაციას, კერძოდ, მრეწველობასთან დაკავშირებული მომსახურება, სავაჭრო მომსახურება, სხვადასხვა ხელობასთან დაკავშირებული თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელთა მომსახურება. მოგვიანებით ამ ჩამონათვალს ევროკომისიამ ტურიზმთან და რადიომაუწყებლობასთან დაკავშირებული მომსახურებებიც დაუმატა.

Free Movement of Persons (visas, asylum, immigration and other policies) - პირთა თავისუფალი გადაადგილება (ვიზები, თავშესაფარი, იმიგრაცია და სხვა)

ამსტერდამის ხელშეკრულებამ ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში დაამატა მეოთხე თავი, რომელიც შემდეგ სფეროებს მოიცავს:

- პირთა თავისუფალი გადაადგილება;
- საგარეო საზღვრების კონტროლი;
- თავშესაფარი, იმიგრაცია და მესამე სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა;
- სამოქალაქო საქმეებში სასამართლო თანამშრომლობა.

ეს სფეროები განხილული იყო ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავში (მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები). ამსტერდამის ხელშეკრულებამ მოახდინა მათი „კომუნიტიზება", ანუ თავი მოუყარა მათ ევროგაერთიანების (პირველი საყრდენი) სამართლებრივ ჩარჩოებში. გადაწყდა, რომ ეს სფეროები ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში თანდათანობით შევლენ გაერთიანების სამართალში.

ამ გარდამავალი პერიოდის შემდეგ, საბჭო იმოქმედებს კომისიის წინადადებებათა საფუძველზე და გამოიყენებს თანაგადაწყვეტილების პროცედურას ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით. მეტიც, ევროპის სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ახალ მეოთხე თავში მოცემულ სფეროებზე.

დიდმა ბრიტანეთმა და ირლანდიამ უარი განაცხადეს მეოთხე თავით გათვალისწინებულ სფეროებში თანამშრომლობაზე. დანია მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ვიზებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

G

Globalisation of Economy - ეკონომიკის გლობალიზაცია

ეკონომიკური გლობალიზაციის ფენომენი ტურინის ევროპული საბჭოს მიერ მე-20 საუკუნის დასასრულს ევროპის კავშირის წინაშე მდგარ ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად დასახელდა. ტერმინი გულისხმობს მსოფლიოს მასშტაბით მზარდი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს, რომლის მამოძრავებელი ძალებია:

- საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის გადაადგილების ლიბერალიზაცია;
- დაჩქარებული ტექნოლოგიური პროგრესი და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება;
- დერეგულაცია.

ეს სამი ფაქტორი გავლენას ახდენს ერთმანეთზე: ტექნოლოგიური პროგრესი ასტიმულირებს საერთაშორისო ვაჭრობას; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ტექნოლოგიური პროგრესის უფრო ეფექტურ გავრცელებას. ამავე დროს, დერეგულაცია ავითარებს ტექნოლოგიების ახალ ფორმებს და ხელს უწყობს სავაჭრო ბარიერების მოხსნას.

Green Paper - მწვანე წიგნი

კომისიის მწვანე წიგნი არის დოკუმენტი, რომლის მიზანია დებატების წამოწყება სხვადასხვა საკითხებზე (სოციალური პოლიტიკა, ერთიანი ვალუტა, ტელეკომუნიკაციები) და საერთო ევროპულ სტრუქტურათა დონეზე კონსულტაციების დაწყება. ამ კონსულტაციებს შესაძლოა მოჰყვეს *თეთრი წიგნის* გამოქვეყნება, რომელიც მოიცავს ამ დებატების შედეგად წარმოქმნილ პრაქტიკულ წინადადებებს.

H

Hard Core - ძირითადი ბირთვი

ძირითადი ბირთვი ევროკავშირის სახელმწიფოთა ის ჯგუფია, რომელთაც შეუძლიათ და სურთ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ. ასეთი ჯგუფის არსებობა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული *გაღრმავებული თანამშრომლობის* კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. ძირითადი ბირთვის ქვეყნებმა თანამშრომლობა უნდა განაგრძონ გაერთიანების ინსტიტუციურ ჩარჩოებში და არ უნდა მოხდეს ახალი ჯგუფების ჩამოყალიბება ევროკავშირის ინსტიტუციური ჩარჩოს გარეთ (როგორც მაგალითად შენგენის ჯგუფის შემთხვევაში).

Hierarchy of Community Acts (hierarchy of norms) - გაერთიანების აქტების იერარქია (ნორმების იერარქია)

ევროპის კავშირის ხელშეკრულებას ერთვის დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანების აქტების კლასიფიკაციის გადასინჯვის შესაძლებლობას, რათა დამყარდეს სათანადო იერარქია გაერთიანების სხვადასხვა კატეგორიის აქტებს შორის.

ამგვარი იერარქიის მიზანია, საშუალება მისცეს კანონშემოქმედ ორგანოებს, ყურადღება გაამახვილონ კონკრეტული საკითხის პოლიტიკურ ასპექტებზე და არა მის წვრილმანებზე. ეს განსაზღვრავს გაერთიანების გადაწყვეტილების მიღების ფორმას და უზრუნველყოფს, რომ კონსტიტუციური სტატუსის მქონე დოკუმენტებმა გაიარონ უფრო რთული პროცედურები (გადაწყვეტილების მიღება ერთხმად ან გაზრდილი კვალიფიციური უმრავლესობით), ვიდრე საკანონმდებლო დოკუმენტებმა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელნი ასევე გადიან უფრო რთულ პროცედურას (თანაგადაწყვეტილების პროცედურა), ვიდრე აღსრულების აქტები (კომისიისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება).

1990 წელს განიხილეს ხელშეკრულებაში თანაგადაწყვეტილების პროცედურის გათვალისწინების შესაძლებლობის საკითხი, რათა არ მომხდარიყო მეორადი მნიშვნელობის ზოგიერთი აქტის მიმართ ზედმეტად მკაცრი პროცედურის გამოყენება და ამით საკანონმდებლო მექანიზმის გადატვირთვა. 1991 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს კომისიამ გამოთქვა წინადადება აქტების იერარქიისა და გაერთიანებების დოკუმენტების (ხელშეკრულებები, კანონები, მეორადი ან სააღსრულებლო აქტები) კლასიფიკაციის ახალი სისტემის შექმნის შესახებ, მაგრამ წინააღმდეგობებს შეხვდა სხვადასხვა ეროვნულ-სამართლებრივ ტრადიციათა გამო. 1996-97 წლების მთავრობათშორისი კონფერენციის დროს გამართულ მოლაპარაკებებზე ეს საკითხი აღარ განხილულა.

High Representative for the CFSP - ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი

ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა ამსტერდამის ხელშეკრულებით შეიქმნა. ეს თანამდებობა უკავია მინისტრების საბჭოს გენერალურ მდივანს, რომლის ამოცანაა დახმარება აღმოუჩინოს კავშირის თავმჯდომარე ქვეყანას ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებში.

უმაღლესი წარმომადგენელი ასევე ეხმარება მინისტრების საბჭოს პოლიტიკის ფორმულირების მომზადებასა და განხორციელებაში. საბჭოს სახელით და თავმჯდომარე ქვეყნის თხოვნით მას შეუძლია აწარმოოს პოლიტიკური დიალოგი მესამე მხარესთან. ეს თანამდებობა პირველად დაიკავა ხავიერ სოლანამ, რომელიც მანამდე ნატო-ს გენერალური მდივანი იყო.

საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე ხელმძღვანელობს საბჭოს გენერალურ სამდივნოს.

Human Rights - ადამიანის უფლებები

ევროპის გაერთიანებების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აღიარებს *ევროპის საბჭოს* ადამიანის უფლებათა კონვენციის პრინციპებს. წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემა 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტის პრეამბულაში დადასტურდა და მოგვიანებით ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლში აისახა. ეს მუხლი ეფუძნება ზემოხსენებულ კონვენციას და წევრ სახელმწიფოთა საერთო კონსტიტუციურ ტრადიციებს.

ძირითადი უფლებების დაცვის გარანტიები შემდგომში გამყარდა ამსტერდამის ხელშეკრულებით, რომელმაც განავრცო სასამართლოს იურისდიქცია მე-6 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებზე. ახალი დებულება განსაზღვრავს ზომებს, რომელიც უნდა გამოიყენონ იმ შემთხვევაში, როცა წევრი სახელმწიფო არღვევს კავშირის ფუძემდებლურ პრინციპებს.

I

Incorporation of the Community Acquis - გაერთიანების სამართლის ინკორპორაცია (გადატანა შიდა სამართალში)

ესსენის ევროპულმა საბჭომ (1994 წლის დეკემბერი) მიმართა კომისიას, წარმოედგინა თეთრი წიგნი ცენტრალური

და აღმოსავლეთ ევროპის ასოცირებული ქვეყნების ევროგაერთიანების ერთიან ბაზარში ინტეგრაციისათვის, მომზადების შესახებ, რაც კომისიამ 1995 წლის ივნისში კანის ევროპულ საბჭოზე შეასრულა. თეთრი წიგნი შეიცავს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის კავშირის შიდა საბაზრო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის ინდიკატურ პროგრამას. პროგრამის მიხედვით ამ ქვეყნებს უნდა განესაზღვრათ პრიორიტეტები გაერთიანების სამართლის შიდა კანონმდებლობაში გადატანის მიზნით. ამ საქმეში მათ დახმარებას გაუწევდა ტექნიკური დახმარების ოფისი (TAIEX), განსაკუთრებით, ინფორმაციის მოპოვებაში გაერთიანების კანონმდებლობის შესახებ.

გაერთიანების კანონმდებლობის შიდა კანონმდებლობაში გადატანა (ინკორპორაცია) და მისი დანერგვა განმცხადებელი ქვეყნების წინაშე მდგარი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა. განმცხადებელ ქვეყნებს მოეთხოვებათ აღმინისტრირებისა და სამართლებრივი სისტემების გაძლიერება, ინფრასტრუქტურის ძირეულად ადაპტირება, მათი მოყვანა გაერთიანების სტანდარტებთან შესაბამისობაში და ქმედითი სატრანსპორტო, ენერგეტიკული და სატელეკომუნიკაციო ქსელების განვითარება. ამ მნიშვნელოვანი ცვლილებების გასაადვილებლად განმცხადებელი ქვეყნებისათვის გათვალისწინებულია მიერთებისწინა დახმარება.

1998 წლის 30 მარტს თერთმეტ განმცხადებელ ქვეყანასთან გაწევრიანების მოლაპარაკებები დაიწყო. პირველ რიგში შეფასდა განმცხადებელი ქვეყნის კანონმდებლობა გაერთიანების სამართალთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით (*სკრინინგის* პროცესი). ეს შეფასება წარმოადგენდა საფუძველს მეორე ეტაპზე გადასვლისათვის, როდესაც დაიწყო ორმხრივი მოლაპარაკებები კავშირსა და თითოეულ განმცხადებელს ქვეყანას შორის. პროცედურით გათვალისწინებულია გარდამავალი პერიოდები მიერთებიდან გაერთიანების კანონმდებლობის სრულ ამოქმედებამდე. თუმცა, თითოეული ეს პერიოდი უნდა იყოს შესაძლებისდაგვარად მოკლე და შეზღუდული კონკრეტული სფეროებით.

Incorporation of the Social Policy Agreement (abolition of the Social Policy Protocol) - სოციალური პოლიტიკის შესახებ შეთანხმების ინკორპორირება (სოციალური პოლიტიკის ოქმის გაუქმება)

ამსტერდამის ხელშეკრულებამ გააუქმა სოციალური პოლიტიკის ოქმი, რომელსაც ხელს აწერდა ყველა წევრი სახელმწიფო გარდა დიდი ბრიტანეთისა, რითაც ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევდა სხვა წევრ სახელმწიფოებს უფრო მჭიდროდ ეთანამშრომლათ სოციალური პოლიტიკის სფეროში მისი მონაწილეობის გარეშე. ეს ოქმი თან ერთვოდა მაასტრიხტის ხელშეკრულებას. დიდ ბრიტანეთის ახალი მთავრობის (ტონი ბლერის) მოსვლის შემდეგ ბრიტანეთმა მოხსნა ის წინააღმდეგობა, რომელიც სოციალური პოლიტიკის სფეროს გაერთიანების კომპეტენციაში გადასვლას უკავშირდებოდა. სოციალური პოლიტიკის ოქმი გაუქმდა და სოციალური პოლიტიკის შეთანხმება ევროპის გაერთიანებების ხელშეკრულებაში გადავიდა.

დიდი ბრიტანეთს მიეცა ორი წელი სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ სოციალური პოლიტიკის შეთანხმების ფარგლებში მიღებული 14 დირექტივის ასამოქმედებლად. რეალურად, ბრიტანეთმა თავისი წინააღმდეგობა ჯერ კიდევ 1997 წელს მოხსნა ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე და სოციალური პოლიტიკის ოქმის ფორმალურ გაუქმებამდე.

Industry - მრეწველობა

ევროკავშირის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მრეწველობის სფერო გათვალისწინებული იყო ევროგაერთიანების ხელშეკრულების 157-ე მუხლით. ეს მუხლი ავალდებულებს ევროგაერთიანებასა და წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ გაერთიანების მრეწველობის კონკურენტუნარიანობისათვის აუცილებელი პირობები.

გაერთიანებას შეუძლია მიიღოს კონკრეტული ზომები მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი ხელს არ შეუშლიან კონკურენციას. გაერთიანებას ასევე მოეთხოვება ხელი შეუწყოს 157-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას, ხელშეკრულების სხვა დებულებებიდან გამომდინარე პოლიტიკისა და ქმედებების საშუალებით.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას, საბჭო მას იღებს ერთხმად კომისიის წინადადების საფუძველზე *ევროპარლამენტთან* და *ეკონომიკურ* და *სოციალურ კომიტეტთან* კონსულტაციის შემდეგ.

1995 წლის მარტში კომისიამ წარმოადგინა სამოქმედო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია სამრეწველო კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის ოთხი პრიორიტეტული მიმართულება:

- ერთიანი ბაზრის გაძლიერება;
- კვლევის პოლიტიკაში სამრეწველო მოთხოვნილებების გათვალისწინება;

- საინფორმაციო საზოგადოების განვითარება;
- სამრეწველო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

Institutional Balance and Democratic Legitimacy - ინსტიტუციური წონასწორობა და დემოკრატიული ლეგიტიმურობა

გაერთიანების ინსტიტუციური ბალანსი დიდი ხნის განმავლობაში ეფუძნებოდა წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც წარმართავდნენ ევროპული ინტეგრაციის პროცესს. ინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად წინ წამოიწია ლეგიტიმურობის საკითხმა. ამიტომ მაასტრიხტის ხელშეკრულებამ გაითვალისწინა დემოკრატიული ლეგიტიმურობის პრობლემა და იგი ევროკავშირის ინსტიტუციური სისტემის ცენტრში მოათავსა. კერძოდ, მოხდა ევროპარლამენტის უფლებების გაზრდა, მისთვის კომისიის დანიშვნისა და მისი ზედამხედველობის საკითხებში მეტი უფლებამოსილების გადაცემით.

მიუხედავად ევროკავშირის ხელშეკრულების მიერ წინგადადგმული ნაბიჯებისა, ჯერ კიდევ არსებობს დისბალანსი საბჭოსა და პარლამენტის საკანონმდებლო ძალაუფლებას შორის. წევრი სახელმწიფოების მიერ ევროკავშირის ხელშეკრულების რატიფიცირების პროცესში წარმოქმნილმა ზოგიერთმა სირთულემ კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა სხვაობა ევროკავშირის რეალურ ლეგიტიმურობასა და იმ დემოკრატიულ ლეგიტიმურობას შორის, რომელსაც საზოგადოება ელის მისგან.

ამსტერდამის ხელშეკრულება, როგორც ინსტიტუციური რეფორმის ნაწილი, ითვალისწინებს ევროგაერთიანების ორგანოებს შორის ისეთი წონასწორობის დამყარებას, რომელიც გაზრდიდა ლეგიტიმურობას და მოახდენდა ძალაუფლების უფრო დემოკრატიულ განაწილებას კავშირის ორგანოებს შორის. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს ევროპის მოქალაქეების და ეროვნული პარლამენტების უფრო მჭიდროდ ჩაბმას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ამსტერდამის ხელშეკრულების მიერ განხორციელებული ცვლილებია:

- თანაგადაწყვეტილების პროცესის თანდათანობით დამკვიდრება ყველა სფეროში და იმავდროულად ევროპარლამენტის კანონშემოქმედებითი უფლებების გაფართოება;
- კომისიის ლეგიტიმურობის გაზრდა კომისიის დანიშვნის პროცედურის შეცვლითა და მისი პრეზიდენტის როლის გაზრდის საშუალებით.

Intergovernmental Conference (IGC) - მთავრობათშორისი კონფერენცია

მთავრობათშორის კონფერენციას იწვევენ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის მიზნით. კონფერენცია გულისხმობს წევრ სახელმწიფოებს შორის გამართულ მოლაპარაკებებს. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპული ინტეგრაციის პროცესში, რადგან სწორედ მთავრობათშორისი კონფერენციის შედეგია ცვლილებები ინსტიტუციურ და სამართლებრივ სისტემაში ან დამფუძნებელი ხელშეკრულებების შინაარსში.

ევროგაერთიანების ისტორიაში შვიდი მთავრობათშორისი კონფერენცია ჩატარდა, მათ შორის ოთხი – 1985 წლის შემდეგ. მე-6 მთავრობათშორისი კონფერენცია დაიწყო 1996 წლის 29 მარტს და დასრულდა ამსტერდამის ევროპულ საბჭოზე 1997 წლის 16 და 17 ივნისს ამსტერდამის ხელშეკრულების მიღებით. იმის გათვალისწინებით, რომ ამსტერდამის ხელშეკრულებამ არ წარმოადგინა ყველა საჭირო ინსტიტუციური რეფორმა გაფართოების შემდგომ ორგანოების მუშაობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ევროპულმა საბჭომ კიოლნის სამიტზე (1999 წ.) გადაწყვიტა მე-7 მთავრობათშორისი კონფერენციის ჩატარება (2000 წ.), რომელიც ნიცის ხელშეკრულების მიღებით დასრულდა. ამ კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება კომისიის მოცულობასა და შემადგენლობაზე, მინისტრების საბჭოში ხმების დატვირთვასა და კვალიფიციური უმრავლესობით ხმის მიცემის გახშირების თაობაზე ევროკავშირის გაფართოების შემდეგ.

კონფერენციის მიმდინარეობისას ტარდება რეგულარული შეხვედრები, ძირითადად, თვეში ერთხელ, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებს წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების წარმომადგენლებისა და ინსტიტუციურ საკითხებზე პასუხისმგებელი კომისიის წევრებისაგან შემდგარი ჯგუფი. ხოლო პრაქტიკული საკითხების მოგვარება ხდება საბჭოს გენერალური სამდივნოს მიერ.

კონფერენციის განმავლობაში ევროპარლამენტი საქმის კურსშია და შესაძლებლობა აქვს გამოთქვას თავისი მოსაზრებები ნებისმიერ განსახილველ საკითხზე.

Ioannina Compromise - იოანინას კომპრომისი

იაოანინას კომპრომისი ეწოდება შეთანხმებას, რომელსაც მიაღწიეს საბერძნეთის ქალაქ იოანინაში 1994 წლის 27 მარტს გამართულ საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალურ შეხვედრაზე. ამ შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის არის საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება გაფართოებულ 16-წევრიან გაერთიანებაში კვალიფიციური უმრავლესობით ხმის მიცემის საკითხს. ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით შეიცვალა, რადგან ნორვეგიამ უარი თქვა ევროგაერთიანებაში გაწევრიანებაზე. მიღწეული კომპრომისი გულისხმობს, რომ თუ მინისტრების საბჭოს წევრები, რომლებიც შეადგენენ 23-დან (ძველი დამბლოკავი უმცირესობა) 26 ხმამდე (ახალი დამბლოკავი უმცირესობა), გამოხატავენ თავიან განზრახვას, წინ აღუდგნენ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას კვალიფიციური უმრავლესობით, საბჭო, თავისი ძალაუფლების ფარგლებში, არ დაიჭერებს ძალისხმევას, რათა დროის დასაშვებ ფარგლებში მიაღწიოს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნას, სულ მცირე, 65 ხმით 87-დან.

J

Joint Action (CFSP) - ერთობლივი ქმედება (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა)

ერთობლივი ქმედება წარმოადგენს ევროპის კავშირის ხელშეკრულების მეხუთე თავში მოცემულ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც ითვალისწინებს წევრ სახელმწიფოთა კოორდინირებულ ქმედებას. იგი იძლევა ყველა სახის რესურსის (ადამიანური რესურსები, ფინანსები, აღჭურვილობა და ა.შ.) მობილიზაციის საშუალებას საბჭოს მიერ დადგენილი იმ კონკრეტული მიზნების მისაღწევად, რომლებიც ეფუძნება ევროპული საბჭოს ზოგად სახელმძღვანელო პრინციპებს.

Joint Action (Justice and Home Affairs) - ერთობლივი ქმედება (მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები)

ერთობლივი ქმედება წარმოადგენდა ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავის სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც 1993-1999 წლებში გამოიყენებოდა. ეს ინსტრუმენტი ითვალისწინებდა ევროკავშირის სახელით ან მის ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა კოორდინირებულ ქმედებას იმ შემთხვევაში, როდესაც დასახული მიზნის ან შედეგის მიღწევა ერთობლივად უფრო შესაძლებლად მიიჩნეოდა, ვიდრე წევრ სახელმწიფოთა ინდივიდუალური ქმედებებით. ეს ინსტრუმენტი გააუქმა ამსტერდამის ხელშეკრულებამ, რომელმაც იგი „გადაწყვეტილებებით" და „ჩარჩო გადაწყვეტილებებით" შეცვალა.

Joint position (EU Treaty, Title VI) - ერთობლივი პოზიცია (ევროკავშირის ხელშეკრულება, მეექვსე თავი)

ერთობლივი პოზიციის გამოხატვა განსაზღვრულია მაასტრიხტის ხელშეკრულებით. და მართლმსაჯულებისა და შინაგანი საქმეების სფეროში წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას გულისხმობს. ამსტერდამის ხელშეკრულებამ შეინარჩუნა ეს ინსტრუმენტი ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავში (სისხლის სამართლის საქმეებში პოლიციისა და სასამართლო თანამშრომლობა).

ერთობლივი პოზიცია არის სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს მინისტრების საბჭოს, განსაზღვროს კავშირის დამოკიდებულება ნებისმიერი კონკრეტული საკითხისადმი. წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, სრულად გაითვალისწინონ საბჭოს მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებები როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

Justice and Home Affairs - მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები

მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებზე თანამშრომლობას ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 თავი ითვალისწინებს, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ევროკავშირის მესამე საყრდენი. ამ თანამშრომლობის მიზანია ხელი შეუწყოს პირთა თავისუფალი გადაადგილების პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას. იგი შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- თავშესაფრის პოლიტიკა;
- წევრ სახელმწიფოთა საგარეო საზღვრების გადაკვეთის მარეგულირებელი წესები;
- საიმიგრაციო პოლიტიკა;
- ნარკოტიკებთან ბრძოლა;
- საერთაშორისო თაღლითობასთან ბრძოლა;
- სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ საქმეებზე სასამართლო თანამშრომლობა;

- საბაჟო თანამშრომლობა;
- საპოლიციო თანამშრომლობა;

ამ სფეროში ქმედებათა განხორციელებისათვის რამდენიმე სამართლებრივი ინსტრუმენტი შეიქმნა. ესენია: გადაწყვეტილებები, ჩარჩო გადაწყვეტილებები, ერთიანი პოზიცია და კონვენცია. მიუხედავად ამ სფეროში მიღწეული გარკვეული პროგრესისა, ერთხმად გადაწყდა უფრო ეფექტური დებულებების შემოღება შესაბამისი სტრუქტურების გაძლიერებისათვის და გაერთიანების ინსტიტუციურ ჩარჩოში ზემოხსენებული სფეროების გადატანის მიზნით (თავშესაფარი, იმიგრაცია და საზღვრების გადაკვეთა).

ამსტერდამის ხელშეკრულებამ მოახდინა მართლმსაჯულებისა და შინაგანი საქმეების სფეროებში თანამშრომლობის რეორგანიზაცია და მიზნად დაისახა ევროპის კავშირში თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლსაჯულების სივრცის ჩამოყალიბება. ზოგიერთი საკითხი მთავრობათშორისი თანამშრომლობიდან გაერთიანების ჩარჩოებში მოექცა და, ამავე დროს, ახალი სფეროები და მეთოდებიც გამოჩნდა.

ევროკავშირისა და ევროგაერთიანების ხელშეკრულებებში ბოლოს ასევე გადავა „შენგენის სივრცე", რომელიც შეიქმნა ევროკავშირის სამართლებრივ ჩარჩოს გარეთ იმ ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს ინიციატივით, რომელთაც სურდათ უფრო წინ წასულიყვნენ პირთა თავისუფალი გადაადგილების სფეროში თანამშრომლობის თვალსაზრისით.

L

Legal personality of the European Union - ევროპის კავშირის სამართლებრივი ქმედუნარიანობა

ევროკავშირის სამართლებრივი სტატუსის საკითხი, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია მის შესაძლებლობასთან, დადოს ხელშეკრულებები ან შეუერთდეს შეთანხმებებსა და კონვენციებს. ევროკავშირს, რომელიც მოიცავს სამართლებრივი ქმედუნარიანობის მქონე სამ სხვადასხვა გაერთიანებას (ევროპის გაერთიანება, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და ევროატომი) და მთავრობათშორისი თანამშრომლობის ორ სფეროს, არა აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილება.

ამსტერდამის ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ ახალ დებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგანაც წევრმა სახელმწიფოებმა ვერ მოახერხეს მიეღწიათ შეთანხმებისათვის მთავრობათშორის კონფერენციაზე. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც კავშირს არ შეუძლია დადოს საერთაშორისო შეთანხმებები და დაიკაოს თავისი ადგილი საერთაშორისო არენაზე.

Luxembourg Compromise - ლუქსემბურგის კომპრომისი

1966 წლის იანვარში ლუქსემბურგის კომპრომისით დასრულდა ე.წ. „ცარიელი სკამის" კრიზისი, რომელიც გამოწვეული იყო საფრანგეთის უარით, მონაწილეობა მიეღო მინისტრების საბჭოს შეხვედრებში 1965 წლის ივლისში. შექმნილმა კრიზისმა ცხადყო ის დაპირისპირება, რომელიც არსებობდა ორი განსხვავებული მიდგომის მქონე ქვეყნებს შორის. საფრანგეთის გარდა ყველა წევრ სახელმწიფოს მიაჩნდა, რომ მინისტრების საბჭოზე მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებული საკითხის განხილვისას საბჭოს წევრები, დროის დასაშვებ ფარგლებში და მაქსიმალური ძალისხმევით, უნდა მისულიყვნენ ისეთ გადაწყვეტილებამდე, რომელიც არ ხელყოფდა ერთმანეთის ინტერესებს და მისაღები იქნებოდა ყველა მხარისათვის. საფრანგეთს კი მიაჩნდა, რომ სხდომაზე დისკუსიები უნდა გაგრძელებულიყო გადაწყვეტილების ერთხმად მიღებამდე. კომპრომისის შედეგად სხვა წევრ სახელმწიფოებს მოუწიათ გაეზიარებინათ საფრანგეთის მიდგომა.

კომპრომისმა ხელი ვერ შეუშალა საბჭოს, მიეღო გადაწყვეტილებები ევროგაერთიანების ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც ბევრ შემთხვევაში ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღებას კვალიფიციური უმრავლესობით.

M

Marshall Plan - მარშალის გეგმა

1947 წლის ივნისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას აუდიტორიას გააცნო გეგმა, რასაც შემდგომში მარშალის გეგმა ეწოდა. მარშალმა აღწერა ის უკიდურესი გაჭირვება და უიმედობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომგამოვლილ ევროპაში სუფევდა. ამის შემდეგ მან შეახსენა

ამერიკელებს, რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა ევროპის სამუდამო განადგურებას მათსავე ეკონომიკაზე. გეგმა არ ერთი იდეოლოგიისა თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ არ იყო მიმართული. მიუხედავად ამისა, სტალინის მითითებით ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა უარი თქვეს აშშ–ის დახმარების მიღებაზე.
მარშალის გეგმა ითვალისწინებდა ამერიკელთა დახმარებას ევროპის რეკონსტრუქციისა და ეკონომიკური აღორძინების პროცესში. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარების განსაწილებლად შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი. ეს გეგმა მოგვიანებით ევროპის აღორძინების პროგრამად გადაიქცა. აშშ–ის მოთხოვნით, აღნიშნული დახმარების შესაბამის პრიორიტეტებზე განაწილება ევროპელებს უნდა ეკისრათ. ამ მიზნით ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციად გადაკეთდა.

პროგრამა 1952 წლამდე გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში ევროპის რეკონსტრუქციისა და ეკონომიკური აღორძინებისათვის გაწეულმა დახმარებამ 17 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. მარშალის გეგმით, პრეზიდენტ ტრუმენის მიერ გამოცხადებული დოქტრინითა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის შექმნით შეერთებული შტატები აქტიურად ჩაერთო დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებში.

Monetary Policy - ფულადი პოლიტიკა

ფულადი პოლიტიკა განსაზღვრულია ევროგაერთიანების ხელშეკრულების 105_111–ე მუხლებით. პოლიტიკის ეს სფერო უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის დაარსებისათვის. გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განსხვავდება განსახილველი საკითხების მიხედვით:

- წევრი სახელმწიფოების მიერ ფულის გამოშვებისათვის (მუხლი 106(2)) გამოიყენება *თანამშრომლობის პროცედურა* ევროპის ცენტრალური ბანკთან კონსულტაციების შემდეგ;
- ვალუტის გადაცვლის კურსის ფორმულირებისათვის (მუხლი 111(2)) ევროპის ცენტრალური ბანკის ან კომისიის რეკომენდაციით მინისტრების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით *ევროპის ცენტრალურ ბანკთან* კონსულტაციების შემდეგ;
- ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემის ქარტიით გათვალისწინებული ზომების განსახორციელებლად (მუხლი 107(6)) და ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ ჯარიმების დაკისრების ზღვრებისა და პირობების შესახებ მინისტრების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით ევროპის ცენტრალური ბანკის რეკომენდაციის საფუძველზე და ევროპარლამენტთან და კომისიასთან კონსულტაციების შემდეგ;
- ევროპის ცენტრალურ ბანკთა სისტემის წესდებაში ტექნიკური ცვლილებების შეტანისათვის მინისტრების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კვალიფიციური უმრავლესობით ევროპის ცენტრალური ბანკის რეკომენდაციის საფუძველზე კომისიასთან კონსულტაციისა და ევროპარლამენტისგან თანხმობის მიღების შემდეგ;
- არაგაერთიანების ვალუტებთან ევროს გადაცვლის კურსის შესახებ (მუხლი 111(1)) საბჭო ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას ევროპის ცენტრალური ბანკის ან კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ევროპარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ.

Monitoring the Application of Community Law - გაერთინების სამართლის განხორციელების მონიტორინგი

გაერთიანების სამართლის განხორციელების მონიტორინგი ევალება ევროპის კომისიას, როგორც ხელშეკრულებების შესრულებაზე მეთვალყურე ორგანოს. კომისიის ეს ფუნქცია გამომდინარეობს ევროპის კავშირში კანონის უზენაესობის პრინციპიდან და მისი მიზანია უზრუნველყოს კანონის აღსრულება თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ. მონიტორინგის ფუნქციის განხორციელებისას კომისია ითვალისწინებს იმას, რომ იგივე ფუნქცია აკისრიათ სახელმწიფოებრივ ორგანოებსაც, განსაკუთრებით სასამართლოებს.

ევროპის სამართლის განხორციელებაზე მონიტორინგმა შეიძლება შემდეგი ფორმები მიიღოს:
- კანონის დარღვების შესახებ საჩივრის საფუძველზე საქმის აღძვრა;
- სასამართლოს მიერ საქმის აღძვრა სხვა ორგანოების წინააღმდეგ;
- წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემული დახმარების კანონიერების შემოწმება;
- ზოგიერთი სახის შეთანხმების, გადაწყვეტილებების, შეთანხმებული ქმედებების და დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი პრინციპების შესრულების შემოწმება.

Most Favored Nation Treatment- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დებულებებს მოიცავს საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისად, ნებისმიერი პრივილეგია თუ უპირატესობა, რომელსაც პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ერთი მხარე ანიჭებს ამა თუ იმ პროდუქციას, რომლის წარმოშობის ან დანიშნულების ადგილი არის რომელიმე მესამე სახელმწიფო, უნდა გავრცელდეს იმ პროდუქციაზეც, რომლის წარმოშობის ან დანიშნულების ადგილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების მონაწილე რომელიმე ქვეყანაა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თუკი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ერთ-ერთი მხარე მესამე ქვეყანას ასარგებლებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით, მან უპირობოდ უნდა გაავრცელოს იგივე რეჟიმი შეთანხმების სხვა მხარეებზე.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით განსაზღვრულია გამონაკლისებიც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმიდან. კერძოდ, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ შეიძლება დამყარდეს: 1) როდესაც მხარეთა მიზანია საბაჟო კავშირის ან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა; 2) როდესაც უპირატესობა ამა თუ იმ ქვეყანას ენიჭება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილებების ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად; 3) როდესაც პრივილეგიები დაკავშირებულია მოსაზღვრე ქვეყნებს შორის სასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობასთან.

Mr/Ms CFSP - ბატონი/ქალბატონი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში

მთავრობათშორისი კონფერენციის დროს, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულებით დასრულდა, განიხილეს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში ახალი თანამდებობის შექმნის შესახებ. ამ თანამდებობის შექმნის მიზანი იყო, საშუალება მისცემოდა ევროკავშირს, უფრო ნათლად გამოჩენილიყო საერთაშორისო ასპარეზზე და ჰქონოდა ერთიანი ხმა საერთაშორისო ურთიერთობებისას. ეს თანამდებობა, რომელიც ამჟამად ცნობილია როგორც „ბატონი/ქალბატონი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში“, ოფიციალურად ამსტერდამის ხელშეკრულებით შეიქმნა შემდეგი სახელწოდებით – „უმაღლესი წარმომადგენელი ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში“.

“Multi-speed” Europe - „მრავალსიჩქარიანი“ ევროპა

‘ მრავალსიჩქარიანი~ ევროპა არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება დიფერენცირებული ინტეგრაციის მეთოდის აღსანიშნავად. კერძოდ, შესაძლოა არსებობდნენ სახელმწიფოთა განსხვავებული ჯგუფები, რომელთაც შეუძლიათ და სურთ განავითარონ უფრო მჭიდრო ინტეგრაციის პროცესი და მიისწრაფვიან გარკვეული საერთო მიზნებისაკენ. ამასთანავე, იგულისხმება, რომ სხვა სახელმწიფოები მათ მოგვიანებით შეუერთდებიან.

N

National parliaments - ეროვნული პარლამენტები

მაასტრიხტის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ ევროპის კავშირმა შეიძინა უფლებამოსილება ისეთ სფეროებში, რომლებიც ტრადიციულად სახელმწიფოების კომპეტენციას განეკუთვნებოდა, კერძოდ, მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები. ამიტომ ევროპის პარლამენტსა და ეროვნულ პარლამენტებს შორის კონტაქტების მნიშვნელობა ხაზგასმით აღინიშნა დეკლარაციაში, რომელიც ევროპის კავშირის მუშაობაში ეროვნული პარლამენტების როლს შეეხებოდა. მთავრობებს ეთხოვათ, უზრუნველყონ კომისიის წინადადებების ეროვნული პარლამენტებისადმი დროულად მიწოდება მათი შესაძლო განხილვის მიზნით. ეროვნული პარლამენტებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება საშუალებას მისცემს მათ, უფრო მჭიდროდ ჩაერთონ გაერთიანებაში მიმდინარე პროცესებში და განახორციელონ უფრო მკაცრი დემოკრატიული კონტროლი.

ამსტერდამის ხელშეკრულებით ევროკავშირის შეთანხმებას ეროვნული პარლამენტების როლის შესახებ ოქმი დაერთო. ეს ოქმი აკონკრეტებს იმ ინფორმაციას, რომელიც უნდა გაეგზავნოს ეროვნულ პარლამენტებს (*თეთრი წიგნი, მწვანე წიგნი, საკანონმდებლო წინადადებები*). ამ უკანასკნელთ საკანონმდებლო წინადადებაზე მსჯელობისათვის აქვთ ექვსკვირიანი ვადა, კომისიის მიერ მისი ევროპარლამენტისა და მინისტრების საბჭოსათვის მიწოდების დღიდან საბჭოს დღის წესრიგში შეტანამდე.

ეროვნულ პარლამენტთა მიერ ევროგაერთიანების საქმეთა განხილვის ხელშეწყობისათვის 1989 წლიდან, ყოველ 6 თვეში ერთხელ, მუშაობს ევროგაერთიანების საქმეთა კომიტეტების კონფერენცია. ოგი შედგება ეროვნული პარლამენტების შესაბამის კომიტეტთა წარმომადგენლებისა და ევროპარლამენტის წევრებისაგან.

კონფერენციას უფლება აქვს გაუგზავნოს კავშირის ორგანოებს ნებისმიერი მოსაზრება, რომელსაც ის მართებულად მიიჩნევს და განიხილოს ევროკავშირში თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა.

NATO (North Atlantic Treaty Organisation) - ნატო (ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია)

ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო ან ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი) 1949 წელს დაარსდა და ბრიუსელში აქვს შტაბ-ბინა. იგი 19 წევრს აერთიანებს: ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები (ავსტრიის, ფინეთის, ირლანდიის და შვედეთის გარდა), კანადა, აშშ, ისლანდია, ნორვეგია და თურქეთი, 1999 წლის 12 მარტიდან კი, პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.

ევროპის კავშირი პატივს სცემს თავის წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნატო-ს წევრობიდან და შეესაბამებიან ნატოს ერთიანი უსაფრთხებისა და თავდაცვის პოლიტიკას. ევროკავშირის ხელშეკრულების თანდართული დეკლარაცია, რომელიც *დასავლეთ ევროპული კავშირს* შეეხება, ნატოსა და ამ კავშირს შორის მომავალ ურთიერთობებს განმარტავს. თავად *დასავლეთ ევროპული კავშირი* წარმოადგენს ევროკავშირის თავდაცვით კომპონენტს და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ევროპული საყრდენის გაძლიერების საშუალებას.

Non-discrimination Principle - არადისკრიმინაციის პრინციპი

ამ პრინციპის მიზანია, უზრუნველყოს ადამიანთა თანაბარი უფლებები განურჩევლად მათი ეროვნების, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, რწმენის, ქმედუნარიანობის, ასაკისა და სექსუალური ორიენტაციისა.

ევროგაერთიანების ხელშეკრულების მე-12 მუხლი უკანონოდ აცხადებს დისკრიმინაციას ეროვნული კუთვნილების საფუძველზე. ამსტერდამის შეთანხმებით ევროგაერთიანების ხელშეკრულებას დაემატა ახალი მე-13 მუხლი, დამფუძნებელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული არადისკრიმინაციის პრინციპის დაცვისა და ამ პრინციპის ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებზე გავრცობის მიზნით.

O

OLAF (European Anti-fraud Office) - თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული სამსახური

თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული სამსახური ჩამოყალიბდა ევროკომისიის 1999 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით. მან შეცვალა კომისიაში თაღლითობასთან ბრძოლის კოორდინაციის ჯგუფი, რომელიც 1998 წელს შეიქმნა და მხოლოდ კომისიის საქმიანობით იყო შემოფარგლული. 1998 წლის 6 ოქტომბერს ეკ სანტერმა ევროპარლამენტს მიმართა წინადადებით, გადაკეთებულიყო ეს განყოფილება დამოუკიდებელ ორგანოდ გაფართოებული უფლებამოსილებებით.

1999 წლის 1 ივნისიდან ევროკავშირის ბიუჯეტთან დაკავშირებული თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ სამსახურს ავალია.

ამ ახალ სამსახურს შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს ევროკავშირის ორგანოების მენეჯმენტსა და დაფინანსებას. იგი სრულიად დამოუკიდებელია თავისი ფუნქციების შესრულებისას. მისი დამოუკიდებლობა კი უზრუნველყოფილია:

- სამსახურის დირექტორის მიერ. იგი ინიშნება პარლამენტის, კომისისა და მინისტრების საბჭოს შეთანხმებით და უფლებამოსილია სასამართლოში აღძრას საქმე საკუთარი დამოუკიდებლობის დასაცავად. გარდა ამისა, მას შეუძლია წამოიწყოს გამოძიება არა მარტო დაინტერესებული ორგანოს, ორგანიზაციის ან წევრი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე, არამედ საკუთარი ინიციატივითაც;
- საზედამხედველო კომიტეტის მიერ. იგი პასუხისმგებელია გამოძიებების მონიტორინგზე და შედგება პარლამენტის, კომისიისა და მინისტრების საბჭოს მიერ ერთობლივად დანიშნული ხუთი საყოველთაოდ ცნობილი, დამოუკიდებელი, გარეშე პირისაგან.

Ombudsman - სახალხო დამცველი

ევროპის სახალხო დამცველი ინიშნება ევროპარლამენტის მიერ ყოველი არჩევნების შემდეგ საპარლამენტო ვადის ხანგრძლივობით. იგი უფლებამოსილია მიიღოს საჩივრები კავშირის ნებისმიერი მოქალაქისგან ან წევრი სახელმწიფოების

რეზიდენტი ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისაგან გაერთიანების ორგანიზაციებისა ან ორგანოების (გარდა სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოსი) საქმიანობაში დარღვევების ფაქტებზე.

როდესაც სახალხო დამცველი დაადგენს არამართლზომიერი ადმინისტრირების ფაქტს, იგი ამის შესახებ აცნობებს დაინტერესებულ ორგანიზაციას, იწყებს გამოძიებას, ეძებს პრობლემის გადაჭრის გზებს, და თუ საჭიროა, წარუდგენს დაინტერესებულ ორგანიზაციას რეკომენდაციების პროექტებს, რომელზეც ამ უკანასკნელმა უნდა გასცეს პასუხი დეტალური ანგარიშის სახით სამი თვის განმავლობაში.

სახალხო დამცველი წარადგენს ანგარიშს ევროპარლამენტში ყოველწლიური სესიის ბოლოს.

Opt out - განზე გადგომა

ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროებში თანამშრომლობაზე უარის თქმის უფლება აქვს ყველა წევრ სახელმწიფოს, რომელსაც არ სურს შეუერთდეს სხვა წევრ სახელმწიფოებს ამ სფეროში უფრო მჭიდრო ინტეგრაციისათვის. ამ უფლების მიზანია, არ მოხდეს გაერთიანების ინტეგრაციული პროცესის შეფერხება ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს პოზიციის გამო. მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა ითხოვა ნებართვა, არ მიეღო მონაწილეობა ეკონომიკური და ფულადი კავშირის მესამე ფაზაში, ანალოგიურად, იმავე შეთანხმებას მიაღწიეს დანიასთან ეკონომიკური და ფულადი კავშირის, თავდაცვის სფეროში და ევროპის მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით.

Outermost Regions - ზღვის გაღმა რეგიონები

ევროპის კავშირის ქვეყნებს აქვთ შვიდი ზღვის გაღმა რეგიონი: გვადელუპე, ფრანგული გვიანა, მარტინიკი, საფრანგეთის ზღვის გაღმა დეპარტამენტები, აზორის, კანარის კუნძულები და მადეირა. ევროგაერთიანების ხელშეკრულებას ერთვის დეკლარაცია, რომლითაც განსაზღვრულია ამ ტერიტორიების სტატუსი.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ეს რეგიონები სერიოზულად ჩამორჩებიან სტრუქტურული თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ევროგაერთიანების ხელშეკრულება და მეორადი სამართალი ავტომატურად მოქმედებს ამ ტერიტორიებზე, შესაძლებელია, სპეციფიკური ზომების მიღება მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშესაწყობად, თუკი არსებობს ასეთი ზომების ობიექტური აუცილებლობა.

ამსტერდამის ხელშეკრულებით ცვლილებები შევიდა 299(2)-ე მუხლში, რითაც მინისტრების საბჭოს შესაძლებლობა მიეცა კვალიფიციური უმრავლესობით მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელიც განსაზღვრავს ზღვის გაღმა ტერიტორიებზე დამფუძნებელი ხელშეკრულების მოქმედებისა და საერთო პოლიტიკის სფეროების განხორციელების პირობებს. ამასთანავე, მინისტრების საბჭომ უნდა უზრუნველყოს გაერთიანების სამართლებრივი წესრიგის ერთიანობა და მთლიანობა.

Own Resources - საკუთარი რესურსები

საკუთარი რესურსები არის საგადასახადო შემოსავლები, რომლებიც გამოიყოფა ევროპის კავშირს ხარჯების დასაფინანსებლად. იგი არ უნდა აღემატებოდეს გაერთიანების მთლიანი ეროვნული პროდუქტის 1,27%-ს. თავდაპირველად, გაერთიანების ბიუჯეტი დამოკიდებული იყო წევრ სახელმწიფოთა ფინანსურ შენატანებზე. თუმცა, 1970 წლის 21 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ფინანსური ავტონომიურობა და 1978 წლის 1 იანვრიდან გაერთიანების ბიუჯეტი მთლიანად ფინანსდება საკუთარი რესურსებით. ბიუჯეტი ოთხი ელემენტისგან შედგება:

- სასოფლო-სამეურნეო გადასახადები, მოსაკრებლები შაქარზე. ეს ელემენტი ძირითადად შედგება სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისგან და წარმოებისა და შენახვის მოსაკრებელებისგან შაქრის ბაზრის საერთო ორგანიზაციის ფარგლებში;
- საბაჟო გადასახადები. მესამე ქვეყნებიდან იმპორტზე დაწესებული საერთო საბაჟო ტარიფები;
- დამატებითი ღირებულების გადასახადი. თითოეული წევრი სახელმწიფოს საბაზისო დღგ-ს ფიქსირებული პროცენტი (1999 წლიდან - 1%);
- „მეოთხე რესურსი". ე.წ. დამატებითი რესურსი შემოღებულია 1988 წელს. იგი განისაზღვრება სხვა სამი საბიუჯეტო შემოსავლის მიხედვით და ეფუძნება ყველა წევრი სახელმწიფოს მთლიან ეროვნულ პროდუქტზე დადგენილ პროცენტს.

მაგალითისთვის, 1999 წელს ევროკავშირის დაგეგმილმა შემოსავალმა შეადგინა 86 მილიონი ევრო, საიდანაც 48,1% მთლიანი ეროვნული პროდუქტის რესურსია, 35,2% დღგ-ს რესურსი, 13,8% საბაჟო გადასახადები და 2,2% სასოფლო-სამეურნეო მოსაკრებლები.

Parliamentary Committees - საპარლამენტო კომიტეტები

ევროპარლამენტში მოქმედებს სხვადასხვა კომიტეტი, რომლებშიც დეპუტატები წევრიანდებიან მათი პოლიტიკური კუთვნილების და გამოცდილების მიხედვით ყოველი საპარლამენტო ვადის დასაწყისსა და შუა პერიოდში.

პარლამენტის საპროცედურო წესების მიხედვით პარლამენტის წევრები აღგენენ კომიტეტების რაოდენობას და განსაზღვრავენ მათ უფლებამოსილებებს. ამჟამად არსებობს 17 სპეციალიზებული მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელშიც კომისიის წინადადებები განიხილება. პარლამენტს შეუძლია აგრეთვე ჩამოაყალიბოს ქვეკომიტეტები, დროებითი და მომკვლევი კომიტეტები.

მუდმივმოქმედი კომიტეტების მთავარი ამოცანაა, იმსჯელონ ახალ საკანონმდებლო წინადადებებზე, რომლებიც წამოაყენა ევროპის კომისიამ და წარმოადგინონ საკუთარი ინიციატივები. ნებისმიერი საკანონმდებლო ან სხვა საინიციატივო წინადადებისათვის მომხსენებლი ინიშნება პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური ჯგუფების შეთანხმებით. მის ანგარიშს განიხილავენ, ცვლილებები შეაქვთ და კენჭს უყრიან საპარლამენტო კომიტეტში. ამის შემდეგ ანგარიშს გადაგზავნიან პლენარულ ასამბლეაზე, სადაც განხილვა და ხმის მიცემა ხდება ამ ანგარიშის საფუძველზე. ასამბლეა იკრიბება თვეში ერთხელ სტრასბურგში.

საპარლამენტო კომიტეტები კომისიის შემადგენლობის დამტკიცებამდე ისმენენ, აგრეთვე, კომისიის წევრობის კანდიდატთა მოხსენებებს მათი კონკრეტული სფეროების მიხედვით.

Partnership and Cooperation Agreement (PCA) - პარტნიორობის და თანამშრომლობის შეთანხმება

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება დაიდო, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროგაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის. შეთანხმება თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გარდა.

შეთანხმების მიზნებია: 1) პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობა; 2) საქართველოში დემოკრატიის განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობა; 3) ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა; 4) სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და კულტურული ურთიერთობებისათვის საფუძვლის შექმნა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის განსაკითარებლად შექმნილია სპეციალური ინსტიტუციური ჩარჩო. კერძოდ, არსებობს შემდეგი ინსტიტუტები: თანამშრომლობის საბჭო, კომიტეტი და საპარლამენტო კომიტეტი. თანამშრომლობის საბჭო ზედამხედველობას უწევს შეთანხმების განხორციელებას და უფლებამოსილია მიმართოს სხვადასხვა ქმედებებს შეთანხმების მიზნების მისაღწევად. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მინისტრები და, ევროკავშირის მხრიდან, წევრი სახელმწიფოებისა და ევროკომისიის წარმომადგენლები. იგივე მხარეები არიან წარმოდგენილი კომიტეტში, ოღონდ შესაბამისი სფეროს საჯარო მოხელეებით. კომიტეტი ამზადებს საბჭოს შეხვედრებს. საპარლამენტო კომიტეტი საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრებისაგან შედგება და ორ მხარეს შორის დიალოგის ფორუმს წარმოადგენს.

Petersberg Declaration (Petersberg tasks) - პეტერსბერგის დეკლარაცია (პეტერსბერგის ამოცანები)

1992 წლის 19 ივნისის პეტერსბერგის დეკლარაცია *დასავლეთ ევროპული კავშირის* უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომლითაც ეს ორგანიზაცია განისაზღვრება, როგორც ევროპის კავშირის თავდაცვის კომპონენტი და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ევროპული საყრდენის გაძლიერების საშუალება. დეკლარაციის სამი ნაწილი განსაზღვრავს *დასავლეთ ევროპული კავშირის* სამომავლო განვითარების პრინციპებს.

დასავლეთ ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოები აცხადებენ მზადყოფნას, გამოყონ თავიანთი ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებიდან სამხედრო შენაერთები სამხედრო დავალებების განსახორციელებლად *დასავლეთ ევროპული კავშირის* უფლებამოსილების ფარგლებში. განიზღვრა სამხედრო ოპერაციათა სახეები, რომელთა განხორციელებაც შეიძლება იტვირთოს *დასავლეთ ევროპულმა კავშირმა*, ვაშინგტონის ხელშეკრულების (ნატო) მე-5 და ბრუსელის ხელშეკრულების მე-5 მუხლიდან გამომდინარე ერთიან თავდაცვაში მონაწილეობის გარდა. კერძოდ, *დასავლეთ ევროპული კავშირის* წევრ სახელმწიფოთა სამხედრო შენაერთები შეიძლება ამოქმედდნენ:

- ჰუმანიტარულ და სამაშველო ოპერაციებისათვის;
- სამშვიდობო ოპერაციებისათვის;
- საბრძოლო ოპერაციებისათვის, კრიზისულ სიტუაციებში მშვიდობის დამყარების ჩათვლით.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალით ზემოჩამოთვლილი „პეტერსბერგის ამოცანები" გადავიდა ევროკავშირის ხელშეკრულების მე-17 მუხლში.

პეტერსბერგის დეკლარაცია ასევე აცხადებს, რომ დასავლეთ ევროპის კავშირი მზადაა საკუთარი პროცედურების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტების თავიდან აცილებისა და კრიზისების მართვის ღონისძიებებში, ეუთოს ან გაეროს უშიშროების საბჭოს საშვიდობო ღონისძიებების ჩათვლით.

Petitions - პეტიციები

ეროკავშირის ყოველ მოქალაქეს ან მოქალაქეთა ჯგუფს აქვს უფლება, მიმართოს ევროპარლამენტს თხოვნით ან საჩივრით ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ხვდება გაერთიანების საქმიანობის სფეროში და პირდაპირ ეხება ამ მოქალაქეს ან მოქალაქეთა ჯგუფს (ევროკავშირის ხელშეკრულების 21-ე და 194-ე მუხლები.

პარლამენტის პეტიციების კომიტეტი განიხილავს, რამდენად მისაღებია ესა თუ ის თხოვნა ან საჩივარი. მას შეუძლია დასვას საკითხი სახალხო დამცველის წინაშე. კომიტეტს შეუძლია სთხოვოს ევროკომისიას შესაბამისი დოკუმენტების ან ინფორმაციის მიწოდება.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ 21-ე მუხლს დაუმატა ახალი აბზაცი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ ორგანოს, *ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის, რეგიონების კომიტეტისა* და *სახალხო დამცველის* ჩათვლით, ევროკავშირის ნებისმიერ ოფიციალურ ენაზე (ირლანდიურის ჩათვლით) და მიიღოს პასუხი წერილობით იმავე ენაზე.

Phare

Phare-ის პროგრამამ მუშაობა 1989 წელს დაიწყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ. მისი მიზანი ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური დახმარება იყო. თავდაპირველად იგი მხოლოდ პოლონეთსა და უნგრეთს მოიცავდა, მაგრამ თანდათანობით მისი მოქმედების არეალი გაფართოვდა და დღესდღეობით ეს პროგრამა ფარავს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს (ბულგარეთი ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია).

1995-99 წლებში Phare-ს პროგრამით დაფინანსებამ მთლიანობაში დაახლოებით 6,7 მილიარდი ევრო შეადგინა და 15 სექტორი მოიცვა, რომელთაგან ხუთი მთავარი სფეროა:
- ინფრასტრუქტურა (ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები);
- კერძო სექტორის განვითარება და ბიზნესის დახმარება;
- განათლება, გადამზადება და კვლევა;
- გარემოს დაცვა და ბირთვული უსაფრთხოება;
- სოფლის მეურნეობის რესტრუქტურიზაცია.

იმავდროულად, Phare ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათი განმცხადებელი სახელმწიფოს მიერთებისწინა სტრატეგიის მთავარი ფინანსური ინსტრუმენტია. 1994 წლიდან Phare-ის პრიორიტეტები იცვლებოდა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების საჭიროებების შესაბამისად.

Phare-ს შესწორებულ პროგრამას, რომლის ბიუჯეტი 2000-06 წლებისათვის შეადგენს 10 მილიარდ ევროს, ორი კონკრეტული პრიორიტეტი აქვს, კერძოდ:
- ინსტიტუციური განვითარება;
- ფინანსური ინვესტიციები.

კომისიის 1997 წლის ივლისის პროგრამა 2000-ის კომუნიკეში გაკეთებული წინადადებების შემდეგ, Phare-ის პროგრამით გათვალისწინებული მიერთებისწინა დახმარების პროგრამებს დაემატა ახალი ფორმები. ესენია:
- (ISPA) განმცხადებელი ქვეყნების გარემოს დაცვისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დონის ევროპის კავშირის დონესთან მიახლოების სტრუქტურული ღონისძიებები;
- (Sapard) სოფლის მეურნეობის დახმარება.

Pillars of the European Union - ევროპის კავშირის საყრდენები.

ევროკავშირი სამ ინსტიტუციურ საყრდენს ეფუძნება. ესენია:

- პირველი საყრდენი – ევროგაერთიანება, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ გაერთიანებას, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებას და ევრატომს;
- მეორე საყრდენი – ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრულია ევროკავშირის ხელშეკრულების მეხუთე თავში;
- მესამე საყრდენი – სისხლის სამართლის საქმეებში პოლიციის და სასამართლო თანამშრომლობა, რომელიც განსაზღვრულია ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავში.

ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე ზოგიერთი სფერო, რომელიც შედიოდა მესამე საყრდენის კომპეტენციაში და შესაბამისად, მთავრობათშორისი თანამშრომლობის მეთოდით იმართებოდა, გადავიდა პირველ საყრდენში – ევროგაერთიანება, სადაც გადაწყვეტილებებს გაერთიანების ორგანოები იღებენ.

Planning and Early Warning Unit - დაგეგმვისა და დროული შეტყობინების დანაყოფი

ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმვისა და დროული შეტყობინების დანაყოფის ჩამოყალიბება ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტურობისათვის საჭიროა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი საგარეო პოლიტიკური პროცესების დროული და უფრო ღრმა ანალიზი. გამომდინარე აქედან, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ემყარებოდნენ სარწმუნო ინფორმაციას, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება კავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის.

დასკვნითი აქტის თანდართული დეკლარაციით წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ საბჭოს გენერალურ სამდივნოში დაგეგმვისა და დროული შეტყობინების დანაყოფის შექმნაზე, რომელიც დაექვემდებარებოდა საბჭოს გენერალურ მდივანს. დანაყოფი შედგება საბჭოს გენერალური სამდივნოს, წევრი სახელმწიფოების, კომისიის და *დასავლეთ ევროპული კავშირის* წარმომადგენლებისგან.

Police and Judicial Cooperation in Criminal Matters - პოლიციის და სასამართლო თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებზე

ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავი (მესამე საყრდენი) მთლიანად შეიცვალა ამსტერდამის ხელშეკრულებით, რომელმაც მიზნად დაისახა თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სივრცის შექმნა ევროპის კავშირის ტერიტორიაზე. ეს თავი ფარავს „პოლიციისა და სასამართლოს თანამშრომლობას სისხლის სამართლის საქმეებზე", რომლის მიზანია, თავიდან აიცილოს და ებრძოლოს შემდეგ პრობლემებს:

- რასიზმი და ქსენოფობია;
- ტერორიზმი;
- ადამიანებით ვაჭრობა და დანაშაული ბავშვების წინააღმდეგ;
- ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა;
- იარაღით უკანონო ვაჭრობა;
- კორუფცია და თაღლითობა.

ახალი თავი პოლიციის ძალებს საბაჟო და სასამართლო ორგანოებთან ახლო თანამშრომლობის საშუალებას აძლევს პირდაპირ ან ევროპული პოლიციის სამსახურის (ევროპოლის) მეშვეობით. იგი, საჭიროების შემთხვევაში, ასევე ითვალისწინებს წევრ სახელმწიფოთა სისხლის სამართალთა დაახლოებას.

მინისტრების საბჭო კვლავ წამყვან როლს შეასრულებს ამ სფეროში, თუმცა მის განკარგულებაში მყოფი სამართლებრივი ინსტრუმენტები შეიცვალა. *საერთო პოზიციისა* და *კონვენციის* გარდა მის განკარგულებაშია ორი ახალი ინსტრუმენტი: *გადაწყვეტილებები* და *ჩარჩო გადაწყვეტილებები*.

მეტიც, ზოგი წევრი სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის გარეთ მთავრობათშორისი თანამშრომლობის ჩარჩოებში განვითარებული შენგენის კანონმდებლობა, რომელიც ფარავს პოლიციის და სასამართლო თანამშრომლობასაც, ახლო მომავალში ინკორპორირებულ იქნება ევროკავშირის სტრუქტურაში.

Political Agenda of the European Union - ევროპის კავშირის პოლიტიკური პროგრამა

მადრიდის ევროპულმა საბჭომ (1995 წლის 15-16 დეკემბერი) საუკუნის ბოლოსათვის ევროკავშირის ამოცანად განსაზღვრა მომავალი ევროპისათვის საფუძვლის ჩაყრა, რომელიც იქნება ხალხთა თავისუფალი, აყვავებული და სტაბილური გაერთიანება. პრაქტიკულად ეს ნიშნავს:

- ევროკავშირის ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას;
- ერთიან ვალუტაზე გადასვლას შეთანხმებული განრიგისა და პირობების შესაბამისად;
- გაფართოების მოლაპარაკებებისათვის მომზადებას და მის განხორციელებას;
- 1999 წლის 31 დეკემბრის მომდევნო პერიოდისათვის ფინანსური პერსპექტივის მიღებას;
- ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას;
- კავშირის მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით რუსეთთან, უკრაინასთან, თურქეთთან და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან მიმდინარე დიალოგის, თანამშრომლობისა და ასოცირების პოლიტიკის აქტიურად განვითარებას.

Political Committee - პოლიტიკური კომიტეტი

პოლიტიკური კომიტეტი შედგება წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა სამინისტროების პოლიტიკური დირექტორებისაგან. იგი მეთვალყურეობს მსოფლიოში შექმნილ ვითარებას ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებში და მოსაზრებებს აწვდის მინისტრების საბჭოს პოლიტიკის განსაზღვრისათვის. იგი ასევე ზედამხედველობს შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელებას თავმჯდომარე ქვეყნისა და კომისიის უფლებათა ხელყოფის გარეშე.

Pre-accession Aid - მიერთებისწინა დახმარება

2000-06 წლებისათვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დაგეგმილი დახმარება განმცხადებელი ქვეყნების მიმართ ევროპის კავშირის სტრატეგიის ძირეული ელემენტია და იგი ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს:

- Phare-ს პროგრამა. ამ პროგრამით ფინანსდება პროექტები განმცხადებელი ქვეყნების ადმინისტრაციული და სამართლებრივი სისტემების შესაცვლელად და მათი ინფრასტრუქტურის განსავითარებლად (10.5 მილიარდი ევრო);
- ჩამოყალიბდა დახმარების ორი დამატებითი ფონდი სოფლის მეურნეობის სფეროსა (Sapard - 3,5 მილიარდი ევრო) და ინფრასტრუქტურისათვის, განსაკუთრებით გარემოსა და ტრანსპორტის სფეროში (7 მილიარდი ევრო). ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის განკუთვნილი ფონდი წარმოადგენს მიერთებისწინა სტრუქტურულ დახმარებას, რომელიც განმცხადებელი ქვეყნებისათვის იმავე როლს ითამაშებს, რასაც ურთიერთგათანაბრების ფონდი ასრულებს ესპანეთის, პორტუგალიის, საბერძნეთისა და ირლანდიისათვის.

Pre-accession Pact on Organised Crime - მიერთებისწინა პაქტი ორგანიზებულ დანაშაულზე

ევროკავშირის გაფართოების მომზადების პროცესში 1998 წლის 28 მაისს წევრი სახელმწიფოების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა და განმცხადებელმა ქვეყნებმა მიიღეს მიერთებისწინა პაქტი ორგანიზებულ დანაშაულზე, რომლის მიზანია:

- განმცხადებელი ქვეყნებისათვის ევროკავშირის პრიორიტეტულ ღონისძიებათა გაცნობა;
- განცხადებელი ქვეყნების დახმარება მართლმსაჯულებისა და შინაგანი საქმეების სფეროში ევროპული სამართლის მიღებაში;
- დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი პროექტების შემუშავება, რომელთა განხორციელებისათვის სასურველია ევროპის კავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარება.

განმცხადებელმა ქვეყნებმა ვალდებულება აიღეს, დროულად შეუერთდნენ სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციას, კერძოდ, ექსტრადიციის შესახებ (1957 წლის ევროპული კონვენცია), ნარკოტიკებით ვაჭრობის შესახებ (გაეროს კონვენცია) და ტერორიზმის შესახებ (1977 წლის ევროპული კონვენცია). დაიდო შეთანხმებები ევროპოლთან ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობისა და იმ პრიორიტეტების განსაზღვრისათვის, რომელსაც ევროპის კავშირი ახორციელებს თავის პარტნიორებთან ერთად.

Pre-accession strategy - მიერთებისწინა სტრატეგია

1989 წელს ევროპის კომისიამ დაიწყო ფინანსური დახმარების პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანზიციის ხელშეწყობა (Phare-ს პროგრამა). 1991 წელს ევროგაერთიანებამ და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს პირველ ასოციაციის შეთანხმებებს (ე.წ. *ევროპული შეთანხმებები*). თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის მიზნით დაიდო შუალედური შეთანხმებები. მიუხედავად იმისა, რომ რჩება შეზღუდვები სასოფლო-სამეურნეო და რკინისა-ფოლადის პროდუქციაზე, დღეს საქონელი თავისუფალად მოძრაობს 26 ევროპულ ქვეყანაში.

ასოციაციის შეთანხმებების საფუძველზე კომისიამ წამოაყენა ინიციატივა ასოცირებულ ქვეყნებსა და კავშირის ორგანოებს შორის „სტრუქტურული დიალოგის" ორგანიზების შესახებ შეხვედრების ფორმით, სადაც პარტნიორ მხარეებს შეეძლებოდათ ერთმანეთისათვის კონსულტაციების გაწევა.

1994 წლის დეკემბერში ესსენის ევროპულმა საბჭომ მიიღო მიერთებისწინა სტრატეგია, რომელიც ეფუძნება:
- ასოცირებულ ქვეყნებსა და კავშირის ორგანოებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას (პარლამენტისა და მთავრობის დონეზე სტრუქტურული დიალოგის გაძლიერება);
- ასოციაციის შეთანხმებების შემდგომ განვითარებას;
- Phare-ის ფინანსური დახმარების ადაპტაციას;
- ერთიან ბაზარზე ინტეგრაციისთვის მომზადებას.

მადრიდის ევროპული საბჭოს შემდეგ (1995 წლის დეკემბერი) წამოიჭრა კითხვები იმის თაობაზე, თუ რა გავლენა ექნებოდა გაფართოებას გაერთიანების პოლიტიკაზე, კერძოდ, სოფლის მეურნეობის პოლიტიკაზე, სტრუქტურულ ფონდებზე და 1999 წლის შემდგომ ფინანსურ პერსპექტივაზე. „პროგრამა 2000", რომელიც კომისიამ წარმოადგინა 1997 წლის ივლისში, ითვალისწინებს რეფორმებს, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ევროპის კავშირისათვის უმნიშვნელოვანესი ეს სამი საკითხი.

პარალელურად, განმცხადებელი ქვეყნებისათვის შეიქმნა ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტები კავშირში გაწევრიანების პროცესში დახმარების აღმოსაჩენად, როგორც ფინანსური, ისე საკანონმდებლო თვალსაზრისით. 1998 წელს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათივე ქვეყანასთან დაიდო შეთანხმებები, რომელსაც *პარტნიორობა გაწევრიანებისათვის* ეწოდებოდა.

Presidency of the Union (rotation of the Presidency) - კავშირის თავმჯდომარეობა (თავმჯდომარეობის როტაცია)

კავშირის თავმჯდომარეობა 6 თვიანი ვადით მორიგეობით გადაეცემა თითოეულ წევრ სახელმწიფოს. თავმჯდომარეობის პერიოდში თითოეულ წევრ სახელმწიფოს საშუალება ეძლევა თავისი წვლილი შეიტანოს კავშირის განვითარებაში. ამჟამად, თითოეულ წევრ სახელმწიფოს თავმჯდომარეობა ყოველ 7 წელიწადნახევარში ერთხელ უწევს. მოსალოდნელ გაფართოებასთან ერთად, ეს ხანგრძლივობა კიდევ უფრო გაიზრდება.

President of the European Commission - ევროკომისიის პრეზიდენტი

ევროკომისიის პრეზიდენტზე ხშირადაა დამოკიდებული კომისიის საქმიანობის ეფექტურობა და ის, თუ რა ტემპით მიმდინარეობს ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესი. ამ მხრივ, საუკეთესო მაგალითად გამოდგებიან ვალტერ ჰალშტაინი (პირველი პრეზიდენტი), როი ჯენკინსი (1977-1981), და განსაკუთრებით ჟაკ დელორი (1985-1995). 1999 წლიდან 2004 წლამდე ევროკომისიის პრეზიდენტი იტალიელი რომანო პროდია.

კომისიის პრეზიდენტს შემდეგი ფუნქციები აკისრია:
- წარმოადგენს ევროკავშირის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ინიციატივებს;
- ხელს უწყობს კომისიის წევრებს შორის უთანხმოებების მოგვარებას და პარლამენტს წარუდგენს კომისიის ყოველწლიურ ანგარიშს;
- წარმოადგენს კომისიას მინისტრების საბჭოში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისას;
- წარმოადგენს კომისიას ევროპულ საბჭოში;
- წარმოადგენს კომისიას უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ფორუმებზე, კერძოდ, დიდი შვიდეულის შეხვედრებზე და აშშ-ევროკავშირის შეხვედრებზე, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება.

ნიცის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ პრეზიდენტის დანიშვნას განახორციელებს ევროპული საბჭო

კვალიფიციური უმრავლესობით. ამის შემდეგ, კომისიის პრეზიდენტთან შეთანხმებით ხდება კომისიის წევრთა სიის მიღება, რის შემდეგაც პრეზიდენტის და კომისიის წევრების კანდიდატურებს ამტკიცებს ევროპარლამენტი. ბოლოს, მინისტრების საბჭო ნიშნავს კომისიის პრეზიდენტს და წევრებს კვალიფიციური უმრავლესობით

Public Health - საზოგადოებრივი ჯანმრთელობა

საზოგადოებრივ ჯანმრთელობას ითვალისწინებს ევროგაერთიანების ხელშეკრულების 152-ე მუხლი, რომელიც დაემატა ევროგაერთიანების ხელშეკრულებას მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად. ამ მუხლში ნათქვამია, რომ გაერთიანება იმოქმედებს, რათა თავიდან აიცილოს სხვადასხვა დაავადებები, მათ შორის, ნარკოტიკებზე დამოკიდებულებაც, მათი გამომწვევი და გავრცელების მიზეზების კვლევისა და, ასევე, შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებისა და განათლების გზით.

152-ე მუხლის მიხედვით, ევროგაერთიანება მიმართავს ზომებს, რომლებიც ავსებენ წევრ სახელმწიფოთა ქმედებებს ამ სფეროში. უმთავრესი კი, ამ მხრივ, წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის წახალისებაა *სუბსიდიარობის პრინციპის* შესაბამისად.

მინისტრების საბჭო იღებს წამახალისებელ ზომებს *თანაგადაწყვეტილების პროცედურის* საფუძველზე, ხოლო კომისიის წინადადების საფუძველზე რეკომენდაციები მიიღება კვალიფიციური უმრავლესობით. ამსტერდამის ხელშეკრულებამ განავრცო თანაგადაწყვეტილების პროცედურის გამოყენება და მოიცვა ღონისძიებები, რომლებიც ადგენენ ადამიანის ორგანოების უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს და აგრეთვე, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სფეროები.

Public Service Charter - ქარტია საჯარო სამსახურის შესახებ

საჯარო სამსახურის ქარტია განსაზღვრავს მომხმარებლის მომსახურების მარეგულირებელ ძირითად უფლებებს და პრინციპებს. ეს პრინციპებია:

- მომსახურების უწყვეტობა;
- ხარისხი;
- მიწოდების გარანტია;
- თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- ხელმისაწვდომი ფასები;
- მისაღებობა სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური თვალსაზრისით.

Q

Qualified Majority - კვალიფიციური უმრავლესობა

ევროგაერთიანების ხელშეკრულების 205-ე მუხლის თანხმად, თუკი ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, მინისტრების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს გადაწყვეტილების კვალიფიციური უმრავლესობით მიღებას, ხმები წევრ სახელმწიფოებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: საფრანგეთი, გერმანია, იტალია და დიდი ბრიტანეთი - 10 ხმა; ესპანეთი - 8 ხმა; ბელგია, საბერძნეთი, ნიდერლანდები და პორტუგალია - 5 ხმა; დანია, ირლანდია და ფინეთი - 3 ხმა; ლუქსემბურგი - 2 ხმა. კვალიფიციურ უმრავლესობას შეადგენს 62 ხმა 87 ხმიდან.

ნიცის ხელშეკრულებამ (ძალაში შევიდა 2003 წელს), ევროპის კავშირში 10 ახალი წევრის მიერთების გამო, ხმები ხელახლა გადაანაწილა. კერძოდ: გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია - 29 ხმა, ესპანეთი, პოლონეთი - 27 ხმა, რუმინეთი 14 ხმა, ნიდერლანდი - 13 ხმა, საბერძნეთი, ჩეხეთი, ბელგია, უნგრეთი, პორტუგალია - 12 ხმა, შვედეთი, ბულგარეთი, ავსტრია - 10 ხმა, სლოვაკეთი, დანია, ფინეთი, ირლანდია, ლიტვა - 7 ხმა, ლატვია, სლოვენია, ესტონეთი, კვიპროსი, ლუქსემბურგი - 4 ხმა, მალტა - 3 ხმა. გაფართოების შემდეგ საბჭოში ხმათა საერთო რაოდენობა 345-ს შეადგენს.

რაც შეეხება კვალიფიციურ უმრავლესობას გაფართოების შემდეგ, ნიცის ხელშეკრულების თანახმად, კვალიფიციური უმრავლესობა მიღწეულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს კვალიფიციური უმრავლესობისათვის აუცილებელი ხმათა რაოდენობა და, ამასთანავე, წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაც.

ნიცის ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს საბჭოს წევრის უფლებას, მოითხოვოს გადამოწმება, შეადგენს თუ

არა კვალიფიციური უმრავლესობა ევროკავშირის მთლიანი მოსახლეობის სულ მცირე 62%-ს. თუ ეს პირობა არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება არ ჩაითვლება მიღებულად. თუმცა, ეს პირობა უნდა შესრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას რომელიმე წევრი სახელმწიფო მოითხოვს.

R

Recasting of Legislation - კანონმდებლობის გადამუშავება

კანონმდებლობის გადამუშავება ნიშნავს ძირითად დოკუმენტში ცვლილების შეტანისას ისეთი ახალი სამართლებრივი დოკუმენტის მიღებას, რომელიც ახდენს ხსენებული ცვლილებების შეტანას ძირითად დოკუმენტში. ამავე დროს, ახალი დოკუმენტი აუქმებს ამ უკანასკნელს და იკავებს მის ადგილს. ფორმალური კონსოლიდაციისგან განსხვავებით, იგი გულისხმობს შინაარსის შეცვლას. ახალი სამართლებრივი დოკუმენტი ქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში.

Reflection Group for the 1996 IGC (Westendorp Group) - 1996 მთავრობათშორისი კონფერენციის მომამზადებელი ჯგუფი (ვესტენდორპის ჯგუფი)

1994 წლის 24-25 ივლისს ქალაქ კორფუში ჩატარებულმა ევროპულმა საბჭომ ჩამოაყალიბა სპეციალური მომამზადებელი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო კავშირის წინაშე მდგომი საშინაო და საგარეო პრობლემების შესაძლო გადაწყვეტის გზების შემოთავაზება, რითაც იგი ნიადაგს მოუმზადებდა 1996 წლის *მთავრობათშორის კონფერენციას.*

ჯგუფი შედგებოდა წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან, ევროპის პარლამენტის წარმომადგენლებისა და კომისიის ერთი წარმომადგენლისაგან, რომელიც პასუხისმგებელი იყო ინსტიტუციურ საკითხებზე. ჯგუფს თავმჯდომარეობდა ესპანეთის მთავრობის მიერ დანიშნული კარლოს ვესტენდორპი.

ჯგუფი იკრიბებოდა 1995 წლის ივნისიდან დეკემბრამდე. მომზადდა წინასწარი ანგარიში ევროპის კავშირის ხელშეკრულების მოქმედების შესახებ. ჯგუფის დასკვნებმა, რომელიც მადრიდის ევროპულ საბჭოს გადაეცა (1995 წლის დეკემბერი), ნიადაგი მოუმზადა 1996 წლის მთავრობათშორის კონფერენციას, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულების მიღებით დასრულდა.

Research and Development - კვლევა და განვითარება

ევროპის კვლევისა და განვითარების პოლიტიკა სამი დამფუძნებელი ხელშეკრულების დებულებებს ეფუძნება (ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროატომისა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულებები). ერთიანმა ევროპულმა აქტმა გაერთიანების სამართალში შემოიტანა ტექნოლოგიის ცნება, რის შემდეგაც, ევროკავშირის ხელშეკრულებამ ამ სფეროში გაერთიანების მიზნები დასახა. ევროპის მრეწველობის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა და ტექნოლოგიური ცვლილებებიდან გამომდინარე სირთულეების დაძლევის ხელშეწყობა გაერთიანების პრიორიტეტებია.

გაერთიანებაში კვლევისა და განვითარების ინიციატივების კოორდინაცია სხვადასხვა სამართლებრივ ინსტრუმენტს ეფუძნება:

- კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო პროგრამა. ეს არის მრავალწლიანი პროგრამა, რომელიც დაიწყო 1984 წელს. იგი კოორდინაციას უწევს უფრო სპეციფიკურ პროგრამებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, გარემო, ბიოლოგია, ენერგეტიკა (ბირთვულის ჩათვლით), ტრანსპორტი. მეხუთე ჩარჩო პროგრამის (1998-2000წ.) ფარგლებში გამოიყო 14,9 მილიარდი ევრო;
- ერთობლივი კვლევითი ცენტრი და ევროატომის მიწოდების სააგენტო. ცენტრი შედგება ევროპის გაერთიანებაში განლაგებული რვა კვლევითი ინსტიტუტისგან, რომლებიც მუშაობენ კომისიის კონკრეტულ წინადადებებზე. იგი მთავარი დაწესებულებაა ბირთვული ენერგეტიკის კვლევის სფეროში და იყოფა შემდეგ სექციებად: მასალები, გარემოს დაცვა და საწარმოო რისკი;
- COST ანუ თანამშრომლობა სამეცნიერო და ტექნიკური კვლევის სფეროში 1971 წელს შეიქმნა და 25 ქვეყანას აერთიანებს: ევროკავშირის 15 ქვეყანას, აგრეთვე, ისლანდიას, ნორვეგიას, შვეიცარიას, ხორვატიას, ჩეხეთის რესპუბლიკას, უნგრეთს, პოლონეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას და თურქეთს. ამ თანამშრომლობის პროგრამის მიზანია კოორდინაცია გაუწიოს კვლევით პრიორიტეტებს ევროპის ქვეყნებში;
- ევრიკა არის 26 ქვეყნის მთავრობათშორისი ორგანიზაცია. მასში მონაწილეობენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რუსეთი, შვეიცარია, თურქეთი და სხვა ქვეყნები. ორგანიზაცია 1985 წელს შეიქმნა და

მიზნად ისახავს მეწარმეებსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის პარტნიორობის მხარდაჭერას, განსაკუთრებით, განვითარებული ტექნოლოგიების სფეროში.

კვლევისა და განვითარების მრავალწლიანი ჩარჩო პროგრამა თანაგადაწყვეტილების პროცედურით მიიღება. ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ საბჭოში გადაწყვეტილებები მიიღება კვალიფიციური უმრავლესობით (და არა ერთხმად, როგორც მანამდე), კომისიის წინადადების საფუძველზე და ევროპარლამენტთან და ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ.

Right of Initiative - ინიციატივის უფლება

ევროკომისიას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის ექსკლუზიური უფლება, რის საფუძველზეც მას მოეთხოვება ინიციატივების წარმოდგენა ხელშეკრულებით გათვალიწინებულ საკითხებზე, როდესაც ამას პირდაპირ მოითხოვს ხელშეკრულება ან როცა თვითონ კომისია მიიჩნევს საჭიროდ.

- ინიციატივის უფლება ექსკლუზიურია, როდესაც გაერთიანების საკითხებს ეხება. ეს ნიშნავს იმას, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ „კომისიის წინადადების საფუძველზე";
- ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში კომისიას, წევრ სახელმწიფოთა მსგავსად, შეუძლია ინიციტივით გამოსვლა. ამასთან, მას ამგვარი უფლება ჯერ კიდევ არ გააჩნია, როდესაც საქმე მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს ეხება.

მინისტრების საბჭოს და ევროპის პარლამენტს შეუძლიათ სთხოვონ კომისიას, წარმოადგინოს საკანონმდებლო ინიციატივა. ინიციატივის უფლება ევროგაერთიანებაში ინსტიტუციური ბალანსის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.

Rural Development - სასოფლო განვითარება

სასოფლო განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთიან სოფლის მეურნეობის პოლიტიკასთან და დასაქმებასთან. შესაბამისად, ამ სფეროში განსახორციელებელი ქმედებები სხვადასხვა მიზნების მქონე სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს ეფუძნება.

სასოფლო განვითარება ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. იგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ფერმების მოდერნიზაცია;
- საკვები პროდუქტების უსაფრთხოება და ხარისხი;
- ფერმერების სტაბილური და სამართლიანი შემოსავლები;
- გარემოსდაცვითი საკითხები;
- დამატებითი ან ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნა, ქვეყნიდან გადინების შეჩერებისა და სოფლებში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
- საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესება და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა.

ამ მიზნების მისაღწევად არსებობს ორი ტიპის ღონისძიებები:

- ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის 1992 წლის რეფორმით გათვალიწინებული ზომები: პენსიაზე ადრეული გასვლა, სასოფლო-ეკოლოგიური ღონისძიებები, ტყის განაშენიანება და პროგრამები ნაკლებად პრივილეგირებული რეგიონებისთვის;
- ფერმების მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია: ინვესტიციების ჩადება ფერმებში, პროგრამები დამწყები ფერმერებისთვის, მეტყევეობისთვის დამატებითი დახმარება, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და რესტრუქტურიზაცია.

S

Schengen (Agreement and Convention) - შენგენი (შეთანხმება და კონვენცია)

ქალაქ შენგენში 1985 წლის 14 ივნისს ხელმოწერილი შეთანხმებით ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები შეთანხმდენენ, თანდათანობით გაეუქმებინათ საერთო სასაზღვრო კონტროლი და შემოეღოთ გადაადგილების თავისუფლება ევროკავშირის ხელმომწერი წევრი სახელმწიფოების, სხვა წევრი სახელმწიფოების ან მესამე სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის.

იმავე ხუთმა სახელმწიფომ 1990 წლის 19 ივნისს ხელი მოაწერა შენგენის კონვენციას. იგი განსაზღვრავს თავისუფალი გადაადგილების განხორციელების ზომებს. ამ კონვენციით ცვლილებები შედიოდა ეროვნულ კანონებში და პარლამენტის მიერ რატიფიცირებას ექვემდებარებოდა. მოგვიანებით ხელმომწერთა სიას იტალია (1990წ.), ესპანეთი და პორტუგალია (1991წ.), საბერძნეთი (1992წ.), ავსტრია (1995წ.), შვედეთი, ფინეთი და დანია (1996წ.) შეუერთდნენ. კონვენციის მხარეები არიან, აგრეთვე, ნორვეგია და ისლანდია.

შეთანხმება და კონვენცია, შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის დეკლარაციებთან და გადაწყვეტილებებთან ერთად, ქმნიან შენგენის კანონმდებლობას. ამსტერდამის ხელშეკრულების პროექტის შექმნისას გადაწყდა, რომ 1999 წლის 1 მაისიდან შენგენის შეთანხმება გადავიდოდა ევროპის კავშირში, რადგანაც იგი ერთიანი ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ამოცანასთან – პირთა თავისუფალ გადაადგილებასთანაა დაკავშირებული.

ამ მიზნით, მინისტრების საბჭომ შენგენის კანონმდებლობა მიაკუთვნა ან ევროპის გაერთიანებების დამფუძნებელი ხელშეკრულების მეოთხე თავს (ვიზები, თავშესაფარი, იმიგრაცია და პირთა თავისუფალი გადაადგილება) ან ევროპის კავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავს (სისხლის სამართლის საქმეებში პოლიციისა და სასამართლოს თანამშრომლობა).

ევროპის კავშირში შენგენის შეთანხმების გადასვლას მოჰყვა ინსტიტუციური ინტეგრაციაც. ევროკავშირის მინისტრების საბჭომ დაიკავა შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის ადგილი, ხოლო მინისტრების საბჭოს გენერალურმა სამდივნომ შენგენის სამდივნოს ფუნქციები შეითავსა.

Schuman Plan - შუმანის გეგმა

1950 წლის 9 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა ფრანგი ეკონომისტისა და ევროპული ინტეგრაციის იდეოლოგის ჟან მონეს მიერ შემოთავაზებული გეგმის შესახებ. გეგმა ითვალისწინებდა ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შექმნას, რომლის წევრი ქვეყნები ერთად განახორციელებდნენ ამ ორი სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულის მართვას. ამ იდეის მთავარი მიზანი გერმანიისა და საფრანგეთის შერიგება იყო ამ ორი ქვეყნის მიერ გერმანული ქვანახშირისა და ფოლადის ერთობლივი მართვის გზით. ამასთანავე, შესაძლებელი გახდებოდა გერმანიის მრეწველობის აღორძინება საფრანგეთის უსაფრთხოების ინტერესთა გათვალისწინებით, რადგან საფრანგეთი შიშობდა, რომ გერმანიის ეკონომიკური აღორძინება შესაძლოა კვლავ ახალი ომის საფუძველი გამხდარიყო. მეორე მხრივ, შუმანის გეგმა გერმანიისათვისაც მისაღები იყო. გერმანიას ჯერ კიდევ შეზღუდული სუვერენიტეტი ჰქონდა და მაშინდელი კანცლერი კონრად ადენაუერი მიიჩნევდა, რომ მსგავს გაერთიანებაში გაწევრიანება თანდათანობით გზას გაუხსნიდა გერმანიის სუვერენიტეტის სრულ აღდგენას და მისი ქვეყნის საერთაშორისო აღიარებას. გერმანიის გარდა ეს წინადადება კიდევ ოთხმა სახელმწიფომ გაიზიარა: იტალიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა. 1952 წელს დაიდო პარიზის ხელშეკრულება, რომლითაც ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება დაარსდა.

Screening - სქრინინგი

1995 წლის მაისში კომისიის *თეთრმა წიგნმა* განსაზღვრა გაერთიანების იმ კანონების ჩამონათვალი, რომელთა ეროვნულ კანონმდებლობაში თანდათანობით გადასვლის შემდეგ განმცხადებელი ქვეყნები შეძლებდნენ ევროკავშირში გაწევრიანებას. 1998 წლის 30 მარტს დაიწყო მოლაპარაკებები იმ ქვეყნების გაწევრიანებისათვის, რომლებიც დაასახელა ლუქსემბურგის ევროპულმა საბჭომ 1997 წლის დეკემბერში. 1998 წლის 3 აპრილს დაიწყო გაერთიანების კანონმდებლობის ანალიზი.

პირველი ეტაპი გულისხმობდა შეფასებას, თუ რამდენად შეესაბამება თითოეული განმცხადებელი ქვეყნის კანონმდებლობა გაერთიანების წესებს. სწორედ ამ პროცესს ჰქვია სქრინინგი. იგი კომისიისა და თითოეული განმცხადებელი ქვეყნის მიერ ერთობლივად ხორციელდებოდა და გაგრძელდა 1999 წლის ივნისამდე. სექტორების მიხედვით განისაზღვრა ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უნდა მიეღო ან შეეცვალა განმცხადებელ ქვეყანას, რათა მიერთებიდან რაც შეიძლება მოკლე ხანში ყოფილიყო გაერთიანების სამართალთან სრულ შესაბამისობაში. *ტექნიკური დახმარების ოფისი* პასუხისმგებელია განმცხადებელი ქვეყნების მიერ გაერთიანების კანონმდებლობის შიდა სამართალში გადატანის ზედამხედველობაზე.

სქრინინგის პროცესი ევროპის კავშირსა და თითოეულ განმცხადებელ ქვეყანას შორის ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველს წარმოადგენს.

Services of General Economic Interest - საერთო ეკონომიკური ინტერესის მომსახურებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო ეკონომიკური ინტერესისაა ის კომერციული მომსახურებანი, რომლებსაც ხელისუფლების ორგანოების მიერ განსაკუთრებული ვალდებულებები ეკისრებათ (ევროგაერთიანების ხელშეკრულების 86-ე მუხლი). ამ სახის მომსახურებებს პირველ რიგში ტრანსპორტი, ენერგეტიკა და კომუნიკაციები მიეკუთვნებიან. ევროგაერთიანების ხელშეკრულების 86-ე მუხლის თანახმად, საწარმო-დაწესებულებები, რომელთაც საერთო ეკონომიკური ინტერესის მომსახურების შესრულება ეკისრებათ, ექვემდებარებიან ხელშეკრულების კონკურენციასთან დაკავშირებულ დებულებებს, ოღონდ ისე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს მათ თავიანთი ფუნქციების განხორციელებაში.

ამსტერდამის ხელშეკრულებით ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში ჩაიწერა ახალი მე-16 მუხლი, რომელიც ადასტურებს საერთო ეკონომიკური ინტერესის მომსახურებათა მნიშვნელობას ევროპის კავშირის შიგნით რეგიონთა სოციალური და ეკონომიკური ურთიერთგათანაბრების ხელშეწყობაში. მე-16 მუხლი ასევე ადგენს, რომ ამ სახის მომსახურებები უნდა დაეფუძნონ იმ პრინციპებსა და პირობებს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ მათ, შეასრულონ თავიანთი ფუნქციები.

Simplification of Legislation - კანონმდებლობის გამარტივება

კანონმდებლობის გამარტივება ნიშნავს ხელშეკრულების გათავისუფლებას იმ დებულებებისგან, რომელიც უსარგებლოდ და მისი მიზნის არაპროპორციულად იქნება მიჩნეული. გამარტივება გულისხმობს კანონმდებლობის როგორც *ფორმალურ*, ასევე *არაფორმალურ კონსოლიდაციას* და მის დებულებათა გადამუშავებას.

ეს საკითხი განსაკუთრებული სიმძაფრით დაისვა ერთიან ბაზართან დაკავშირებულ *თეთრ წიგნზე* მუშაობის დასრულების შემდეგ. ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებას ევროპული კანონმდებლობის გამდიდრება და გაფართოება მოჰყვა. გაერთიანების ქმედებათა გამჭვირვალობისა და ეფექტურობის ხელშეწყობის მიზნით აუცილებელი გახდა ამ რთული და გადატვირთული საკანონმდებლო ბაზის გამარტივება. 1996 წლის მაისში შემუშავდა სპეციალური საცდელი პროგრამა (ერთიანი ბაზრის კანონმდებლობის გამარტივება – SLIM), რომელიც ოთხ სფეროს მოიცავს და შეიძლება სხვა სფეროებზეც გავრცელდეს.

1997 წლის მთავრობათშორისი კონფერენციის ფინალურ დოკუმენტს ერთვის დეკლარაცია გაერთიანების კანონშემოქმედების შესახებ. დეკლარაცია რეკომენდაციას აძლევს ევროპის პარლამენტს, მინისტრებს საბჭოს და ევროკომისიას, შეიმუშაონ პრინციპები კანონმდებლობის ფორმის გაუმჯობესებისათვის და მოუწოდებს მათ დააჩქარონ საკანონმდებლო ტექსტების კონსოლიდაცია.

Single European Act – ერთიანი ევროპული აქტი

1985 წლის სექტემბერში დაწყებული ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოთა მთავრობათშორისი კონფერენცია 1986 წლის იანვარში ერთიანი ევროპული აქტის მიღებით დასრულდა. ამ დოკუმენტით პირველი სერიოზული ცვლილებები განიცადა ევროგაერთიანების ხელშეკრულებამ. პირველ რიგში განისაზღვრა ერთიანი ბაზრის დასრულების ვადა და ის კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომლებიც უნდა მიეღო ევროგაერთიანებას ამ მიზნის მისაღწევად. შეთანხმდნენ იმაზეც, რომ ამ გადაწყვეტილებათა ორ მესამედს მინისტრების საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით მიიღებდა. ამასთანავე, ერთიანი ევროპული აქტით გაფორმდა ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა – საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზე ერთიანი პოზიციის შესამუშავებლად – რომელიც მანამდე არაფორმალურ სახეს ატარებდა. გაიზარდა ევროპარლამენტის უფლებამოსილებები. კერძოდ, ამოქმედდა მინისტრების საბჭოსა და პარლამენტის მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. ერთიანი ევროპული აქტის საფუძველზე შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართლოც.

Single Institutional framework - ერთიანი ინსტიტუციური ჩარჩო

ერთიანი ინსტიტუციური ჩარჩო გულისხმობს ევროკავშირის სტრუქტურათა სისტემის ერთიანობას. წევრი სახელმწიფოები, რომელთაც სურთ თანამშრომლობა შემდგომი ინტეგრაციის სფეროში, თანხმდებიან შესაბამის მოქმედებებზე ერთიანი ორგანოების საშუალებით. მესამე სახელმწიფოები, ევროკავშირთან ურთიერთობისას, ასევე ისარგებლებენ კავშირის ერთიანი სტრუქტურებით, თითოეულ წევრ სახელმწიფოსთან ცალ-ცალკე დაკავშირების გარეშე, ამ სტრუქტურებისათვის გადაცემული კომპეტენციების გათვალისწინებით.

Social Charter - სოციალური ქარტია

მშრომელთა ძირითად სოციალურ უფლებათა ქარტია 1989 წელს მიიღო ევროკავშირის ყველა მაშინდელმა წევრმა დიდი ბრიტანეთის გარდა. დოკუმენტი, რომელსაც დეკლარაციის ფორმა ჰქონდა, სოციალური ქარტიის სახელითაა ცნობილი. ეს ქარტია „მორალურ ვალდებულებათა" შემცველი პოლიტიკური ინსტრუმენტია, რომლის მიზანია ხელმომწერ ქვეყნებში გარკვეული სოციალური უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. ეს უფლებები დაკავშირებულია შრომის ბაზართან, პროფესიულ გადამზადებასთან, თანაბარ შესაძლებლობებთან და სამუშაო გარემოსთან. ქარტია სთხოვს ევროკომისიას, წარმოადგინოს სოციალური ქარტიის კანონმდებლობაში გადატანის ინიციატივები. სოციალურ ქარტიის მიღებას სოციალური სამოქმედო პროგრამების შემუშავება მოჰყვა.

Social Dialogue - სოციალური დიალოგი

სოციალური დიალოგი აღნიშნავს კონსულტაციათა პროცესს სოციალურ პარტნიორებს (დამსაქმებლები და დასაქმებულები) შორის (პროფესიული კავშირები: UNICE, CEEP, ECH) საერთო ევროპულ დონეზე. ეს პროცესი გულისხმობს დისკუსიების გამართვას, ერთობლივ ქმედებათა შემუშავებას და მოლაპარაკებებს ევროპულ სოციალურ პარტნიორებს შორის, ასევე, დისკუსიებს სოციალურ პარტნიორებს და ევროკავშირის სტრუქტურებს შორის.

ეს პროცესი ევროპის კომისიამ წამოიწყო 1985 წელს. ერთიანი ევროპული აქტის ძალაში შესვლის შემდეგ ევროგაერთიანების ხელშეკრულება კომისიისგან მოითხოვს დიალოგს სოციალურ გაერთიანებებთან (მუხლი 139, ყოფილი მუხლი 118ბ). დღემდე შემუშავებულია თხუთმეტზე მეტი ერთობლივი მოსაზრება ეკონომიკურ ზრდაზე, ახალი ტექნოლოგიების შემოღების, განათლებისა და პროფესიული გადამზადების საკითხებზე. სოციალური დიალოგი შესაძლოა დასრულდეს საკონტრაქტო ურთიერთობებით, შეთანხმებების ჩათვლით, რომელთა აღსრულებაზე გადაწყვეტილებას იღებს მინისტრების საბჭო კომისიის წინადადების საფუძველზე. დამქირავებლებსა და მუშაკებს შორის დღემდე მიღწეულია ორი შეთანხმება – დეკრეტულ შვებულებაზე და ნახევარგანაკვეთიან სამუშაო დროზე.

Social Partners - სოციალური პარტნიორები

კომისია ვალდებულია, კონსულტაციები აწარმოოს სხვადასხვა სოციალურ პარტნიორებთან, როდესაც იგი ამ სფეროში ინიციატივით გამოსვლას აპირებს. ეს დიალოგი ხორციელდება სამი მთავარი ორგანიზაციის მეშვეობით, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურ პარტნიორებს ევროპულ დონეზე:

- ევროპის პროფესიული კავშირების კონფედერაცია (ETUC);
- ევროგაერთიანების ინდუსტრიათა კავშირი (UNICE);
- საზოგადოებრივ საწარმოთა ევროპული ცენტრი (CEEP).

გამომდინარე აქედან, კომისიამ ხელი უნდა შეუწყოს კონსულტაციების გამართვას სოციალურ პარტნიორებთან იმ საკითხებზე, რომლებიც ევროპის კავშირის სოციალურ პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. ეს პოლიტიკა კი ძირითადად შრომის ბაზარს ეხება.

ეკონომიკური და სოციალური პარტნიორების საკონსულტაციო ასამბლეა 1957 წელს რომის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა. ასამბლეა ხელს უწყობდა ერთიანი ბაზრის მშენებლობაში სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართვას. მისი წევრები სამ კატეგორიას მიეკუთვნებიან: დამქირავებლები, მშრომელები და დამოუკიდებელი პროფესიები. ერთიანმა ევროპულმა აქტმა და ევროპის კავშირის ხელშეკრულებამ გააფართოვეს ის სფეროები, რომელთან დაკავშირებითაც საჭიროა კონსულტაციების გავლა ასამბლეასთან და ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან.

Social Policy - სოციალური პოლიტიკა

შეთანხმება სოციალური პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა 14 წევრმა სახელმწიფომ, ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში გადავიდა. 1993 წლიდან 1999 წლამდე არსებობდა სოციალური პოლიტიკის ორი განსხვავებული სამართლებრივი საფუძველი: ევროგაერთიანების ხელშეკრულება და ცალკე შეთანხმება, რომელსაც არ შეუერთდა დიდი ბრიტანეთი. ამჟამად, სოციალური პოლიტიკის ყველა ზომა მიიღება ევროგაერთიანების მეთერთმეტე თავის საფუძველზე.

ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნები ეფუძნება 1961 წლის სოციალურ ქარტიას და ევროგაერთიანების 1989 წლის მშრომელთა ძირითად სოციალურ უფლებათა ქარტიას. ეს სამართლებრივი ინსტრუმენტები სოციალური პოლიტიკის შეთანხმებაში შევიდნენ და მოიცავენ დასაქმების ხელშეწყობას, სოციალურ დაცვას, ხელმძღვანელობასა

და მუშაკებს შორის დიალოგს, ადამიანურ რესურსთა განვითარებას და სეგრეგაციასთან ბრძოლას (მუხლი 136).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახილველი საკითხის მიხედვით საბჭო გადაწყვეტილებას იღებს:

- ან თანაგადაწყვეტილების პროცედურით ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან და რეგიონების კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ;
- ან ერთხმად, კომისიის წინადადებაზე ევროპის პარლამენტთან, ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან და რეგიონების კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ.

Social Policy Agreement - შეთანხმება სოციალური პოლიტიკის შესახებ

შეთანხმება სოციალური პოლიტიკის შესახებ ერთვის სოციალური პოლიტიკის ოქმს, რომელიც თავად ევროკავშირის ხელშეკრულების თანდართული დოკუმენტი იყო. შეთანხმებას ხელი მოაწერა 14 წევრმა სახელმწიფომ (დიდი ბრიტანეთის გარდა) და იგი სოციალური პოლიტიკის მიზნებს ადგენს. თავისთავად ეს მიზნები 1989 წლის სოციალურმა ქარტიამ განსაზღვრა: დასაქმების ხელშეწყობა, საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესება, სეგრეგაციასთან ბრძოლა, ადამიანური რესურსების განვითარება და ა.შ.

1997 წლის მაისში, ახალი მთავრობის არჩევის შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა განაცხადა, რომ მას სურდა შეერთებოდა დანარჩენ თოთხმეტ წევრ სახელმწიფოს ერთიანი სოციალური პოლიტიკის სფეროში. ამსტერდამის ხელშეკრულებამ მოახდინა ზემოაღნიშნული შეთანხმების ინკორპორირება ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში. ამით კი ახალი სამართლებრივი საფუძველი შეექმნა ისეთ სოციალურ საკითხებს, როგორიცაა ქალისა და მამაკაცის უზრუნველყოფა თანაბარი შესაძლებლობებით, სოციალური სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

Social Policy Protocol - სოციალური პოლიტიკის ოქმი

სოციალური პოლიტიკის ოქმი ევროპულმა საბჭომ 1991 წელს მიიღო მაასტრიხტში. მოგვიანებით ეს ოქმი ევროგაერთიანების ხელშეკრულებას დაერთო. მას ხელი მოაწერა თერთმეტმა წევრმა სახელმწიფომ გარდა დიდი ბრიტანეთისა, რომელიც არ იზიარებდა სხვა წევრ სახელმწიფოთა სოციალური პოლიტიკის მიზნებს. ოქმს თან ერთვოდა შეთანხმება სოციალური პოლიტიკის შესახებ, რომელიც სოციალური პოლიტიკის მიზნებს განსაზღვრავდა. მოგვიანებით ოქმს ავსტრია, ფინეთი და შვედეთიც შეუერთდნენ (მას შემდეგ რაც ისინი ევროკავშირის წევრები გახდნენ 1995 წელს).

1997 წლის მაისში ახალმა ბრიტანულმა მთავრობამ გადაწყვიტა შეერთებოდა სოციალური პოლიტიკის შეთანხმებას, რის შემდეგაც შეთანხმების შინაარსი ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში გადავიდა, სოციალური პოლიტიკის ოქმი კი გაუქმდა.

Stability and Growth Pact - სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტი

სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტი ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მესამე ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით მიიღეს. პაქტის მიზანია ერთიანი ვალუტის შემოღების შემდეგ წევრი სახელმწიფოების მიერ თავიანთი საბიუჯეტო დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა.

პაქტი მოიცავს ევროპული საბჭოს რეზოლუციას (1997 წლის 17 ივნისი, ამსტერდამი) და მინისტრების საბჭოს ორ *რეგლამენტს* (1997 წლის 7 ივლისი), რომლებიც დეტალურად განსაზღვრავენ ტექნიკურ საკითხებს (ერთი შეეხება ბიუჯეტის მდგომარეობასა და ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციაზე ზედამხედველობას, ხოლო მეორე – ჭარბი დეფიციტის პროცედურის შესრულებას).

წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, შეექმნათ დაბალანსებული ან თითქმის დაბალანსებული ბიუჯეტი და 1999 წლის 1 მარტისათვის მინისტრების საბჭოსა და ევროკომისიისათვის წარედგინათ სტაბილურობის პროგრამა (ყოველწლიურად განახლებადი).

სტაბილურობისა და ზრდის პაქტი საშუალებას აძლევს მინისტრების საბჭოს, დასაჯოს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომელიც ვერ მიიღებს სათანადო ზომებს ჭარბი დეფიციტის აღმოსაფხვრელად. თავდაპირველად, წევრი სახელმწიფო ევროგაერთიანებას გადასცემს უპროცენტო დეპოზიტს, ხოლო თუ ჭარბი დეფიციტი არ დაიფარება ორ წელიწადში, დეპოზიტი ჯარიმად გადაკეთდება.

Strustural Funds and Cohesion Fund - სტრუქტურული ფონდები და ურთიერთგათანაბრების ფონდები

სტრუქტურული ფონდები და ურთიერთგათანაბრების ფონდები წარმოადგენენ გაერთიანების სტრუქტურული პოლიტიკის ნაწილს, რომლის მიზანია, შეამციროს ევროკავშირის სხვადასხვა რეგიონებსა და ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა განვითარებაში არსებული განსხვავებები და ამ გზით ხელი შეუწყოს სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთგათანაბრებას.

1994–1999 წლებში გაერთიანების ბიუჯეტმა სტრუქტურული ღონისძიებებისათვის გამოყო 208 მილიარდი ევრო, ანუ ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 35%. ამ თანხის 90% განკუთვნილი იყო ევროკავშირის რეგიონებისათვის და 10% იმ ოთხი ქვეყნისათვის, რომლებიც სარგებლობენ ამ დახმარებით (საბერძნეთი, პორტუგალია, ირლანდია ესპანეთი). 2000–06 წლისათვის ამ თანხამ 213 მილიარდ ევროს მიაღწია (მათ შორის, 195 მილიარდი ევრო სტრუქტურული ფონდებისათვის და 18 მილიარდი – ურთიერთგათანაბრების ფონდისათვის).

რეგიონებისათვის ევროპის კავშირს აქვს ოთხი ფინანსური ინსტრუმენტი:

- ევროპის სოციალური ფონდი, რომელიც შეიქმნა რომის ხელშეკრულების საფუძველზე;
- სოფლის მეურნეობის გაძღოლისა და გარანტიის ევროპული ფონდი;
- ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი, რომელიც 1975 წელს შეიქმნა;
- მეთევზეობის გაძღოლის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც 1993 წელს შეიქმნა.

2000–2006 წლებში გაერთიანების პოლიტიკის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, 1997 წლის იულისში გამოქვეყნდა კომისიის დოკუმენტი „პროგრამა 2000“, რომელიც მოიცავდა წინადადებებს სტრუქტურული პოლიტიკის რეფორმის შესახებ. რეფორმა ითვალისწინებდა დახმარების კონცენტრირებას და მიზნების რაოდენობის სამამდე შემცირებას, კერძოდ:

- იმ რეგიონების განვითარება, რომელთა მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე არის ევროპის გაერთიანების საშუალო მონაცემის 75%–ზე ნაკლები (პირველი მიზანი: ასეთი რეგიონები იღებენ სტრუქტურული ფონდების 70%–ს);
- სტრუქტურული სირთულეების მქონე რეგიონების ეკონომიკისა და სოციალური პირობების სტრუქტურული გარდაქმნა (მეორე მიზანი: იგულისხმება ეკონომიკური დივერსიფიკაციის პრობლემების მქონე რეგიონები, გაღარიბებული სოფლები, კრიზისში მყოფი რეგიონები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მეთევზეობაზე);
- ადამიანური რესურსების განვითარება რეგიონებში, რომლებსაც არ ეხება პირველი მიზანი (მესამე მიზანი: დასაქმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება ამსტერდამის ხელშეკრულების შესაბამისი დებულებებისა და დასაქმების ევროპული სტრატეგიის შესაბამისად).

გაერთიანების ინიციატივები შემცირდა ოთხამდე:

- ინტერრეგიონული ინიციატივა, რომლის მიზანია ტრანს–სასაზღვრო, ტრანსნაციონალური და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის სტიმულირება;
- ლიდერების ინიციატივა, რომლის მიზანია ადგილობრივი მუშა ჯგუფების ინიციატივების საფუძველზე სასოფლო განვითარების წახალისება;
- თანაბარი უფლებების ინიციატივა, რომლის მიზანია შრომის ბაზარზე ნებისმიერი სახის არათანაბარუფლებიანობის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა;
- საქალაქო ინიციატივა, რომლის მიზანია კრიზისში მყოფი საქალაქო და საგარეუბნო რაიონების ეკონომიკური და სოციალური გააქტიურება.

ეკონომიკურმა და სავალუტო კავშირმა კიდევ ერთხელ ცხადყო ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული სერიოზული ეკონომიკური და სოციალური განსხვავებები. ურთიერთგათანაბრების ფონდი 1993 წელს შეიქმნა სტრუქტურული პოლიტიკის გასაძლიერებლად. იგი განკუთვნილია იმ ქვეყნებისათვის, რომელთა მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაერთიანების საშუალო მონაცემის 90%–ზე ნაკლებია. ეს ქვეყნებია: საბერძნეთი, ესპანეთი, ირლანდია და პორტუგალია. ურთიერთგათანაბრების ფონდის ფინანსები ხმარდება გარემოს დაცვას და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

Subsidiarity - სუბსიდიარობა

სუბსიდიარობის პრინციპი უზრუნველყოფს, რომ ევროკავშირში მიღებული გადაწყვეტილება მაქსიმალურად ასახავდეს თითოეული მოქალაქის სურვილს და მოსაზრებას. ამ მიზნით მუდმივად მოწმდება, თუ რამდენად გამართლებულია გაერთიანების მიერ გადაწყვეტილების მიღება და ხომ არ იქნება უფრო ეფექტური, რომ ესა თუ ის ქმედება ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდეს. ამ

პრინციპის თანახმად ევროგაერთიანება მოქმედებს მხოლოდ მაშინ (გარდა საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება მის ექსკლუზიურ კომპეტენციას), როცა დასახული მიზნის მისაღწევად, მისი მასშტაბიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკმარისი არაა წევრი სახელმწიფოების ქმედება და დასახული მიზანი უკეთ მიიღწევა გაერთიანების მიერ. ეს პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული პროპორციულობის პრინციპთან, რომლის თანახმად ევროგაერთიანების ქმედება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

სუბსიდიარობის პრინციპი ფართოდ გამოიყენება ფედერალურ სახელმწიფოებშიც. იქ ეს პრინციპი გულისხმობს გარკვეულ ფუნქციათა და კომპეტენციათა განხორციელებას ხელისუფლების მაქსიმალურად დაბალ საფეხურზე. თუმცა, ფედერალიზმის თეორია ბოლომდე ვერ აკონკრეტებს იმ კრიტერიუმებს, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის კომპეტენციების გამიჯნვისას. სახელმწიფომ მინიმალური მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოების ურთიერთობათა მართვაში და მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს, როცა ფედერაციის სუბიექტებს არ შეუძლიათ კონკრეტული საკითხის მოგვარება. ამრიგად, სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე ხდება კომპეტენციათა გადანაწილება ფედერაციის სუბიექტებს შორის ქვევიდან ზევით.

ბრიუსელში თავმოყრილი ევროგაერთიანების ორგანოების უფლებამოსილებათა ზრდის გამო ზოგიერთი ქვეყნის მიერ გამოთქმულ უკმაყოფილებას (რაც ევროკავშირის ხელშეკრულებაზე დანიის რეფერენდუმის შედეგებითაც გამოიხატა) ევროკომისიამ (მისი პრეზიდენტის ჟაკ დელორის ხელმძღვანელობით) სწორედ სუბსიდიარობის პრინციპის გააქტიურებით უპასუხა. წევრმა სახელმწიფოებმაც მხარი დაუჭირეს სუბსიდიარობის პრინციპის დანერგვას გაერთიანების სამართალსა და პრაქტიკაში.

Suspension Clause - დებულება უფლებათა შეწყვეტაზე

ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე ევროკავშირის ხელშეკრულებას დაემატა მე-7 მუხლი წევრი სახელმწიფოს უფლებათა შეწყვეტის შესახებ.

ამ მუხლის მიხედვით, წევრ სახელმწიფოს შესაძლოა შეუწყდეს ზოგიერთი უფლება (მაგ. ხმის მიცემის უფლება მინისტრების საბჭოში) თუ საბჭო, მისი წევრების მესამედის ან კომისიის წინადადების საფუძველზე, ერთხმად გადაწყვეტს, რომ ეს სახელმწიფო არღვევს ევროკავშირის ძირითად პრინციპებს (თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა, კანონის უზენაესობა). თუმცა, ამავე დროს, ამ სახელმწიფოს ვალდებულებები ძალაში რჩება.

Sustainable development - მდგრადი განვითარება

მდგრადი განვითარების კონცეფცია გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. მდგრადი განვითარების შესახებ კოპენჰაგენის მსოფლიო სამიტმა (1995 წ.) ხაზი გაუსვა სოციალური სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობას.

T

Tacis - ტასისი

ტასისი ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამაა, რომელიც გრანტების სახით აფინანსებს პროექტებს სხვადასხვა სფეროში. პროგრამა 1991 წელს დაიწყო და მას შემდეგ იგი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ცამეტ ქვეყანაზე ვრცელდება. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ბელორუსია, თურქმენეთი, მოლდოვა, მონღოლეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი. ტასისი ევროკავშირსა და ყოფილ საბჭოთა რესპულიკებს შორის მოქმედი პარტნიორობისა და თანაშრომლობის ხელშეკრულების განხორციელების ფინანსური ინსტრუმენტია.

ტასისის სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირის მინისტრების საბჭოს *რეგლამენტები* წარმოადგენს. ბოლო *რეგლამენტი* 2000-2006 წლებს მოიცავს და ძირითად ყურადღებას უთმობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინსტიტუციური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმები, კერძო სექტორის განვითარება, ინფრასტრუქტურის

განვითარება, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა და ბირთვული უსაფრთხოება.

ტასისის დაფინანსება თითოეული ქვეყნისათვის შემუშავებული ეროვნული პროგრამების მიხედვით ხორციელდება. ეს პროგრამა, თავის მხრივ, ინდიკატიური და სამოქმედო პროგრამებისაგან შედგება. ინდიკატიური პროგრამები სამ-ოთხ წელიწადს მოიცავს და თანამშრომლობის პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს. სამოქმედო გეგმები კი ერთი წლის განმავლობაში დასაფინანსებელ კონკრეტულ პროექტებს მოიცავს.

TAIEX - ტექნიკური დახმარების სამსახური

TAIEX-ი შეიქმნა მას შემდეგ, რაც კომისიის *თეთრმა წიგნმა* დააყენა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროპის ერთიან ბაზარზე ინტეგრაციისათვის მომზადების საკითხი. ევროპის კომისიის ეს სამსახური თავდაპირველად გამიზნული იყო, რომ დახმარება აღმოეჩინა და ინფორმაცია მიეწოდებინა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ერთიანი ბაზრის კანონმდებლობასთან დაკავშირებით და ამ გზით ხელი შეეწყო კანონმდებლობის ჰარმონიზებისთვის. 1997 წლის დეკემბრის ლუქსემბურგის ევროპული საბჭოს შემდეგ ეს სამსახური მუშაობს ყველა განმცხადებელ ქვეყანასთან.

ტექნიკური დახმარების სამსახური თანამშრომლობს საჯარო ადმინისტრაციებთან განმცხადებელ ქვეყნებსა და წევრ სახელმწიფოებში. იგი აწვდის გაერთიანების სამართლებრივ ტექსტებს დაინტერესებულ ქვეყნებს და აწყობს სემინარებს და ექსპერტთა ვიზიტებს ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ ამის სურვილი. ამ სამსახურს მთავარი როლი აკისრია განმცხადებელი ქვეყნის კანონმდებლობის გაერთიანების სამართალთან შესაბამისობის შეფასებისას (*სქრინინგის* პროცესში).

Taxation - დაბეგვრა

მიუხედავად ერთიანი ბაზრის და ეკონომიკური და ფულადი კავშირის არსებობისა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ჯერ კიდევ არ აქვთ ერთიანი საგადასახადო პოლიტიკა. ცალკეული დებულებები ჩამოყალიბებულია ევროკავშირის ხელშეკრულების 90-93-ე მუხლებში. დაბეგვრასთან დაკავშირებით მინისტრების საბჭოში გადაწყვეტილებები ერთხმად მიიღება. ასეთი პროცედურის შენარჩუნება დაბეგვრის სფეროში ხელს უშლის პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებზე საერთო წესების მიღებას.

1993 წელს ერთიანი ბაზრის შემოღებით გაუქმდა სასაზღვრო კონტროლი დამატებითი ღირებულების გადასახადზე. დღეს საქონელი იბეგრება იმ ქვეყანაში, რომელშიც მოხდა მისი შეძენა. როდესაც საბჭო საბოლოოდ ჩამოაყალიბებს დღგ-ს ერთიან სისტემას, საქონელი დაიბეგრება ქვეყანაში, სადაც ის შეიქმნა. ამას გარდა, მაქსიმალურად დაახლოვდა დღგ-სა და საქციზო განაკვეთები კავშირის წევრ სახელმწიფოებში.

ერთიანი ვალუტის შემოღებამ აუცილებელი გახადა დღგ-ს ერთიანი განაკვეთებისა და ევროპის კავშირში კორპორაციული დაბეგვრის საერთო წესების დადგენა.

Telecommunications - ტელეკომუნიკაციები

ერთიანი ბაზრის შექმნის დასრულებასთან ერთად, ევროგაერთიანების პრიორიტეტად იქცა ტელეკომუნიკაციების ლიბერალიზაცია. 1988 წელს საბჭოს დირექტივამ სატელეკომუნიკაციო ტერმინალების ბაზარი კონკურენციისათვის ღიად გამოაცხადა.

შემდგომ ეტაპზე, 1990 წელს მიღებული დირექტივით განხორციელდა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ლიბერალიზაცია. 1994 წელს ლიბერალიზაცია შეეხო სატელიტურ კომუნიკაციებსა და სამაუწყებლო მომსახურებას, 1996 წელს კი საკაბელო სატელევიზიო ქსელებსა და მობილურ კომუნიკაციებს. ამავე დროს, 1990 წელს, შეიქმნა ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ქსელი. საერთო წესების მიღებამ შესაძლებელი გახადა ბაზარზე ახალ ოპერატორთა დაშვების პირობათა ჰარმონიზაცია. 1990 წელს, ასევე სპეციალური დირექტივით განხორციელდა ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების სფეროებში კონტრაქტების მინიჭების პროცედურის ლიბერალიზაციაც.

1994 წლიდან ფართოდ გავრცელდა 'ინფორმაციული საზოგადოების~ კონცეფცია, რომელიც ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობას წარმოადგენდა. ამავე პერიოდიდან, ტელეკომუნიკაციების სტრუქტურების ლიბერალიზაციამ ბიძგი მისცა მულტიმედიის განვითარებას.

ევროპული სატელეკომუნიკაციო ბაზრის შექმნის მიზნით მიღებულ იქნა სხვადასხვა ინიციატივები მობილური და სატელიტური კომუნიკაციების სტანდარტების ჰარმონიზაციისათვის. რეგიონალური განვითარების ევროპული ფონდისა და ევროპული საინვესტიციო ბანკის მეშვეობით ევროგაერთიანება ასევე აფინანსებს კვლევით პროგრამებს საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ტრანს-ევროპულ სატელეკომუნიკაციო ქსელებში.

Tempus - ტემპუსი

ტემპუსი ევროკავშირის ქვეყნებსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის პროგრამაა, რომელიც 1990 წელს ამოქმედდა. ამის შემდეგ პროგრამა სამჯერ განახლდა. მესამედ განახლებული ტემპუსის პროგრამა 2000-2006 წლებს მოიცავს. ტემპუსის პროგრამით დაფინანსების მიღება შეუძლიათ ბალკანეთის ქვეყნებს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს; ერთი წელიწადია, რაც ამ პროგრამით სარგებლობა ევროკავშირის ხმელთაშუაზღვისპირელ პარტნიორებსაც შეუძლიათ (მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ეგვიპტე, პალესტინის ავტონომია, იორდანია, სირია, ლიბანი).

ტემპუსის პროგრამა ხელს უწყობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და პარტნიორ ქვეყნებში მოქმედ დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის განვითარებას „კონსორციუმების" დაარსების გზით. ეს კონსორციუმები ახორციელებენ „ერთობლივ ევროპულ პროექტებს", რომლებიც შესაძლოა 2-3 წელი გაგრძელდეს. ტემპუსი ასევე გასცემს ინდივიდუალურ გრანტებს იმ პირებისათვის, რომლებიც უმაღლესი განათლების დარგში მუშაობენ.

Title V of the EU Treaty (HFSP) - ევროკავშირის ხელშეკრულების მეხუთე თავი

ევროკავშირის ხელშეკრულების მეხუთე თავი ევროკავშირის მეორე საყრდენს, ანუ კავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას ეხება.

TiTle VI of the EU Treaty - ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავი

მაასტრიხტის ხელშეკრულების მეექვსე თავი, ანუ ევროკავშირის მესამე საყრდენი, მოიცავს დებულებებს, რომლებიც შეეხება წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობას მართლმსაჯულებისა და შინაგანი საქმეების სფეროში.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ მრავალი ის სფერო, რომელსაც ევროკავშირის ხელშეკრულების ეს თავი ითვალისწინებდა, გადაიტანა ევროგაერთიანების ხელშეკრულების ახალ მეოთხე თავში (ვიზები, თავშესაფარი, იმიგრაცია და პირთა თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები). სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციისა და სასამართლო თანამშრომლობა კვლავ ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავით რეგულირდება.

ევროგაერთიანების ხელშეკრულების მეოთხე თავი და ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავი ევროპის კავშირში თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენენ.

Transparency - გამჭვირვალეობა

ტერმინი „გამჭვირვალეობა" გამოიყენება გაერთიანების ორგანოთა მუშაობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აღსანიშნავად. იგი ასევე უკავშირდება ევროკავშირის დოკუმენტების გაგების სიმარტივეს.

არსებობს მრავალი საჩივარი გამჭვირვალეობის ნაკლებობის შესახებ. ეს კი ევროპის იმ მოქალაქეთა შეხედულებას ასახავს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ევროპული სტრუქტურები ძალიან დაშორდნენ ჩვეულებრივ მოქალაქეებს ინფორმაციის ხელმიუწვდომელობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის სირთულის გამო.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში შეიტანა ახალი 255-ე მუხლი გამჭვირვალეობის შესახებ. იგი ევროპის კავშირის ყველა მოქალაქეს, აგრეთვე, წევრ სახელმწიფოებში რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აძლევს ევროპის პარლამენტის, მინისტრების საბჭოს და კომისიის დოკუმენტების გაცნობის უფლებას. ნებისმიერი შეზღუდვა ამ მხრივ (კერძო ან საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე) უნდა განისაზღვროს საბჭოს მიერ პარლამენტთან ერთად თანაგადაწყვეტილების პროცედურით, ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში. სამივე სტრუქტურა ვალდებულია დოკუმენტების საჯაროობის შესახებ სპეციალური დებულებები გაითვალისწინოს საპროცედურო წესებით.

Transparency of Council proceedings - საბჭოს სხდომების გამჭვირვალეობა

საბჭოს სხდომების გამჭვირვალეობის შესახებ საუბრისას ყურადღება ორ საკითხზე მახვილდება:

- საბჭოს სხდომების საჯაროობა;
- საბჭოს სხდომათა იმ ოქმებისა და მათთზე დართული განცხადებების საჯაროობა, რომლებიც კენჭისყრის დეტალებს მოიცავენ.

1993 წლის 6 დეკემბერს, საპროცედურო წესებში შესწორებების შეტანის შემდეგ, საბჭომ შემდეგი პოლიტიკა აირჩია: როგორც წესი, მისი სხდომები საიდუმლოა, თუმცა, ამავე დროს, ტარდება ღია დებატებიც (მაგ. თავმჯდომარეობის ექვსთვიანი სამუშაო პროგრამის შესახებ). რაც შეეხება შეხვედრებზე საზოგადოების დაშვებისა და წევრ სახელმწიფოთა მიერ ხმის მიცემის დეტალებს, საბჭომ 1995 წლის ოქტომბერში მიიღო ქცევის კოდექსი, რომელიც საზოგადოებას აძლევს საშუალებას, დაესწროს სხდომებს, როდესაც საბჭო თავის საკანონმდებლო ფუნქციას ასრულებს.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ გაითვალისწინა დოკუმენტების საჯაროობის პრინციპები ევროგაერთიანების 207-ე მუხლში. შესაბამისად, კენჭისყრის შედეგები და განმარტებები, ისევე, როგორც ოქმებში შეტანილი განცხადებები, საჯაროა.

Treaty of Amsterdam - ამსტერდამის ხელშეკრულება

ამსტერდამის ხელშეკრულება 1996 წლის 29 მარტს ტურინის ევროპული საბჭოს მიერ გახსნილი მთავრობათშორისი კონფერენციის შედეგად გაფორმდა. ხელშეკრულება ამსტერდამის ევროპულ საბჭოზე მიიღეს 1997 წლის იენისში. მასზე ხელი 15 წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოაწერეს 1997 წლის 2 ოქტომბერს. ხელშეკრულება ძალაში 1999 წლის 1 მაისს შევიდა (ბოლო რატიფიცირების მომდევნო თვის პირველ დღეს).

ამსტერდამის ხელშეკრულებამ ცვლილებები შეიტანა ევროგაერთიანებისა და ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებში, ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურასა და პირთა თავისუფალი გადაადგილებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

Treaty of Maastricht - მაასტრიხტის ხელშეკრულება

მაასტრიხტის ხელშეკრულება ანუ ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულება 1993 წელს შევიდა ძალაში. ამ ხელშეკრულებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში და ევროპული ინტეგრაციის განვითარების ახალი მოდელი შექმნა ევროკავშირის სახით. ამ ხელშეკრულების თანახმად ევროკავშირი სამ საყრდენს ეფუძნება. პირველი და უმთავრესი მათ შორის ევროგაერთიანებაა, რომელიც ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურებით იმართება. კავშირის მეორე და მესამე საყრდენებს წარმოადგენენ ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და თანამშრომლობა მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებში. განსხვავებით ევროგაერთიანებისაგან, სადაც ზესახელმწიფოებრივი ინტეგრაციული სტრუქტურები მოქმედებენ, ეს ორი საყრდენი მთავრობათშორის თანამშრომლობას ეფუძნება. ევროპის კავშირის (მაასტრიხტის) ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის დაარსების ვალდებულება, რომელიც ევროგაერთიანებას დაეკისრა. ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა სამ ეტაპად განხორციელდა, რაც 2001 წლის იანვარში ერთიანი ვალუტის - ევროს მიმოქცევაში შემოსვლით დასრულდა.

Treaty of Nice - ნიცის ხელშეკრულება

2000 წლის მთავრობაშორისმა კონფერენციამ მუშაობა დაასრულა საფრანგეთის ქალაქ ნიცაში 11 დეკემბერს. ბოლო შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება იმ საკითხებზე, რომლებიც ვერ გადაწყდა 1996 წლის მთავრობათშორისი კონფერენციით, შესაბამისად არ აისახა ამსტერდამის ხელშეკრულებაში და რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელი იყო ევროკავშირის მოახლოებული გაფართოების წინ.

ნიცის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიცავს ევროკავშირის ინსტიტუციურ სფეროს და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურას. ყველა ეს შესწორება განხორციელდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებისა და მათი შემდგომი ინტეგრაციის გაადვილების მიზნით.

რაც შეეხება ინსტიტუციურ ცვლილებებს, ეს, პირველ რიგში, ევროკომისიის და ევროპის პარლამენტის შეცვლილ შემადგენლობას გულისხმობს. კერძოდ, დაწესდა ევროპარლამენტის წევრთა მაქსიმალური რაოდენობა – 732 დეპუტატი, მას შემდეგ, რაც ევროპის კავშირში ყველა ევროპული სახელმწიფო გაერთიანდება. ასევე შეიცვლება ევროკომისიის წევრთა რაოდენობაც. 2005 წლიდან თითოეულ წევრ სახელმწიფოს კომისიის ერთი წევრი ეყოლება, ანუ დიდ სახელმწიფოებს ეყოლებათ ერთით ნაკლები წევრი, ვიდრე დღეს ჰყავთ. ხოლო მას შემდეგ, რაც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა რაოდენობა მიაღწევს 27-ს, ევროკომისიის წევრთა რაოდენობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა რაოდენობაზე ნაკლები იქნება. კომისიის წევრებს როტაციის წესით აირჩევენ ისე, რომ თითოეული წევრი სახელმწიფო თანაბარი უფლებებით ისარგებლებს.

მინისტრების საბჭოში გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის ცვლილებები, პირველ რიგში კვალიფიციური უმრავლესობის განსაზღვრებას ეხება. კერძოდ, 2005 წლის 1 იანვრიდან გადაწყვეტილება მინისტრების საბჭოში მიღებულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს ხმათა განსაზღვრულ რაოდენობას და, ამასთანავე, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა. ასევე შეიცვალა ხმათა რაოდენობა, რომელიც თითოეულ წევრ სახელმწიფოს ჰქონდა მინისტრების საბჭოში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ნიცის ხელშეკრულება ითვალისწინებს გადაწყვეტილების კვალიფიციური უმრავლესობის პროცედურით მიღებას ევროგაერთიანების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 27 საკითხზე, რაც გააადვილებს გადაწყვეტილებების მიღებას და კიდევ უფრო გააღრმავებს ინტეგრაციულ პროცესს ევროკავშირში.

ცვლილებები განიცადეს ევროკავშირის სხვა ორგანოებმაც, კერძოდ: სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლომ, აუდიტორთა სასამართლომ, ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა და რეგიონების კომიტეტმა.

Treaties of Rome - რომის ხელშეკრულებები

რომის ხელშეკრულებას ანუ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულებას 1957 წელს მოეწერა ხელი. ამავე დღეს რომში ხელი მოეწერა მეორე ხელშეკრულებას ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების შესახებ. ორივე ხელშეკრულებას თავდაპირველად ხელს აწერდნენ ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და საფრანგეთი. ეს ორი ხელშეკრულება, პარიზის ხელშეკრულებასთან ერთად, რომელსაც ხუთი წლით ადრე მოაწერეს ხელი იმავე სახელმწიფოებმა, ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებებია. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულება ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც მოგვიანებით რამდენჯერმე შესწორდა. ყველაზე არსებითი ცვლილებები ხელშეკრულებაში ევროკავშირის დამფუძნებელმა (მაასტრიხტის) ხელშეკრულებამ შეიტანა 1991 წელს (ძალაში 1993 წელს შევიდა). ევროპის გაერთიანების ხელშეკრულების მთავარი მიზანი ერთიანი ბაზრის შექმნა იყო, რომელიც სამ ეტაპად უნდა მომხდარიყო. ერთიანი ბაზარი გულისხმობდა ერთიან საგარეო სავაჭრო ტარიფს, საქონლის თავისუფალ გადაადგილებას (რაც საბაჟო კავშირის შექმნას ნიშნავდა), პირთა თავისუფალ გადაადგილებას, და ასევე მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას ეკონომიკური გაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის. ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებისათვის ამ ეკონომიკური მიზნების განხორციელება მჭიდრო პოლიტიკური ინტეგრაციის დაწყების საფუძველს წარმოადგენდა.

Trevi Group - ტრევის ჯგუფი

ტრევი ფრანგული აკრონიმია, რომელიც შემდეგნაირად იშიფრება: ტერორიზმი, რადიკალიზმი, ექსტრემიზმი, საერთაშორისო ძალადობა. ეს არის 1995 წელს ევროგაერთიანების მიერ დაარსებული სამსახური მთავრობათშორისო თანამშრომლობისა და კოორდინაციისათვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქვეყნის საშინაო უსაფრთხოება, ორგანიზებული დანაშაული, ტერორიზმი, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა და საიმიგრაციო პოლიტიკა. ამ საკითხებთან დაკავშირებით ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოთა შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები წელიწადში ორჯერ იკრიბებოდნენ ერთიანი სტრატეგიის შესამუშავებლად. სწორედ ტრევის ჯგუფი წარმოადგენდა ევროკავშირის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მესამე საყრდენის – მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებში თანამშრომლობის შექმნის საფუძველს.

Troika - ტროიკა

თავდაპირველად ევროკავშირის ტროიკა სამი სახელმწიფოსაგან შედგებოდა: კავშირის თავმჯდომარე წევრი სახელმწიფო, წევრი სახელმწიფო, რომელიც თავმჯდომარეობდა კავშირს წინა 6 თვის განმავლობაში და რომელიც მომავალი 6 თვის განმავლობაში იქნებოდა კავშირის თავმჯდომარე.

ტროიკის შემადგენლობა ამსტერდამის ხელშეკრულებამ შეცვალა. დღეს თავმჯდომარე წევრ სახელმწიფოსთან ერთად ტროიკის წევრია მინისტრების საბჭოს გენერალური მდივანი, როგორც უმაღლესი წარმომადგენელი ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში და ის წევრი სახელმწიფო, რომელიც მომავალი ექვსი თვის განმავლობაში იქნება კავშირის თავმჯდომარე. ტროიკას დახმარებას უწევს კომისია. ტროიკა ევროკავშირის ე.წ. მეორე საყრდენის ანუ ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილია და ევროკავშირს საგარეო ურთიერთობებში წარმოადგენს.

U

Unanimity - ერთხმივობა

ტერმინი ერთხმივობა გულისხმობს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც მინისტრების საბჭოში გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს შეთანხმებას. ეს პროცედურა აფერხებს გადაწყვეტილებების მიღებას საბჭოში და, შესაბამისად, ინტეგრაციულ პროცესებს ევროკავშირში. *ერთიანი ევროპული აქტის* შემდეგ ერთხმივობას სულ უფრო ნაკლებად მიმართავენ გადაწყვეტილებების მიღებისას. პირველი საყრდენის ანუ ევროპის გაერთიანების ფარგლებში კვალიფიციური უმრავლესობით ხმის მიცემა წესად იქცა. მეორე (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა) და მესამე (მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები) საყრდენების ფარგლებში კი, სადაც მხოლოდ მთავრობათშორისი თანამშრომლობის მეთოდით მუშაობენ, გადაწყვეტილებებს მხოლოდ ერთხმად იღებენ.

Uniform electoral procedure and composition of the European Parliament - ერთიანი საარჩევნო პროცედურა და ევროპის პარლამენტის შემადგენლობა

ევროგაერთიანების ხელშეკრულების 190-ე მუხლის თანახმად, ევროპის პარლამენტს ევალება, წარმოადგინოს წინადადებები ყველა წევრ სახელმწიფოში საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების ერთიანი პროცედურით ჩატარების შესახებ. ეს უზრუნველყოფს ევროპის სხვადასხვა პოლიტიკური ტენდენციის უფრო სამართლიან წარმომადგენლობას პარლამენტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მყარი ეროვნული საარჩევნო ტრადიციების გამო ვერ მოხერხდა ერთიან პროცედურასთან დაკავშირებული ვერც ერთი ინიციატივის განხორციელება.

ამჟამად პარლამენტში თითოეული ქვეყნისათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა გამომდინარეობს ამ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობიდან და ითვალისწინებს თითოეული წევრი სახელმწიფოს პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპს. ამასთან, მცირე მოსახლეობის მქონე სახელმწიფოები დიდ სახელმწიფოებთან შედარებით მეტად არიან პარლამენტში წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ევროპის პარლამენტის წევრები ჯგუფდებიან არა ეროვნების, არამედ პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით. ევროპარლამენტის დღევანდელი შემადგენლობა აღმოსავლეთ ევროპისაკენ გაფართოების შემდეგ გაიზრდება, თუმცა, ნიცის ხელშეკრულების თანახმად, არ გადააჭარბებს 732 წევრს.

Universal Service - საყოველთაო მომსახურება

საყოველთაო მომსახურება არის ევროგაერთიანების ორგანოების მიერ განვითარებული კონცეფცია, რომლის თანახმადაც მომსახურების ისეთი სფეროები, როგორიცაა ტელეკომუნიკაციები და ფოსტა, უნდა ექვემდებარებოდნენ გარკვეულ საზოგადოებრივ მოთხოვნებს. ამით ევროგაერთიანება ცდილობს, რომ მომხმარებელი უზრუნველყოფილი იყოს მაღალი ხარისხის მომსახურებით ხელმისაწვდომ ფასებში.

V

"Variable-geometry" Europe - „ცვალებადი გეომეტრიის" ევროპა

ცვალებადი გეომეტრიის ევროპის იდეა გამომდინარეობს დიფერენცირებული ინტეგრაციის მეთოდიდან, რომლის თანახმადაც კავშირის სხვადასხვა წევრები და ორგანოები ინტეგრაციის განსხვავებულ დონეზე იმყოფებიან. ამსტერდამის ხელშეკრულება პირველად ეცადა ამ მოვლენის გაფორმებას დამფუძნებელ დოკუმენტებში. ხელშეკრულება ითვალისწინებს გაღრმავებული თანამშრომლობის ცნებას, რომლის თანახმადაც, წევრ სახელმწიფოთა ჯგუფს შეუძლია ევროპის კავშირის არსებული ინსტიტუციური სტრუქტურის ფარგლებში ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროში თანამშრომლობის/ინტეგრაციის გაღრმავება. ამ საკითხზე მინისტრების საბჭოში გადაწყვეტილება მიიღება ხმათა

კვალიფიციური უმრავლესობით. ოღონდ, ისე, რომ დანარჩენი წევრი სახელმწიფოებიდან არც ერთმა არ უნდა დაადოს ამ გადაწყვეტილებას ვეტო. ევროგაერთიანებაში ცვალებადი გეომეტრიის პრინციპით განვითარების მაგალითებს წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთის და დანიის უარი ეკონომიკური და საავალუტო კავშირის მესამე ეტაპში მონაწილეობაზე (რაც ერთიანი ვალუტის შემოღებას გულისხმობდა) ან ბრიტანეთის და ირლანდიის უარი შენგენის შეთანხმებაში მონაწილეობაზე.

W

Weighting of Votes in the Council - საბჭოში ხმების რაოდენობა

ევროკავშირის მინისტრების საბჭოში გადაწყვეტილების მიღებისას თითოეული სახელმწიფო ხმების გარკვეულ რაოდენობას ფლობს. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს წევრი სახელმწიფოს ხმების რაოდენობას, არის მოსახლეობის სიდიდე. თუმცა, პატარა ქვეყნებს შედარებით გაზრდილი წარმომადგენლობა ჰყავთ.

ხმების დღემდე არსებული განაწილებით დიდ ქვეყნებს არ შეუძლიათ, თავიანთი ხმების საერთო რაოდენობით უმცირესობაში მოაქციონ ევროკავშირის პატარა სახელმწიფოები და პირიქით. ამით უზრუნველყოფილია, რომ კვალიფიციური უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდეს ევროპის კავშირის მასშტაბით.

ნიცის ხელშეკრულება, რომელიც 2003 წლიდან შევიდა ძალაში, ითვალისწინებს, რომ გაფართოების შემდეგ ხმათა რაოდენობა საბჭოში შემდეგნაირად განაწილდება: გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია – 29 ხმა, ესპანეთი, პოლონეთი – 27 ხმა, რუმინეთი 14 ხმა, ნიდერლანდი – 13 ხმა, საბერძნეთი, ჩეხეთი, ბელგია, უნგრეთი, პორტუგალია – 12 ხმა, შვედეთი, ბულგარეთი, ავსტრია – 10 ხმა, სლოვაკეთი, დანია, ფინეთი, ირლანდია, ლიტვა – 7 ხმა, ლატვია, სლოვენია, ესტონეთი, კვიპროსი, ლუქსემბურგი – 4 ხმა, მალტა – 3 ხმა. საბჭოში ხმათა საერთო რაოდენობა 345-ს შეადგენს.

Western European Union (WEU) - დასავლეთ ევროპული კავშირი

დასავლეთ ევროპული კავშირი 1948 წელს შეიქმნა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობისათვის. იგი 4 სხვადასხვა სტატუსის მქონე 28 ქვეყნისაგან შედგება: წევრი სახელმწიფო, ასოცირებული წევრი, დამკვირვებელი და ასოცირებული პარტნიორი. ევროკავშირის სახელმწიფოებს წევრი სახელმწიფოს სტატუსი აქვთ (გარდა ავსტიის, დანიის, ფინეთის, ირლანდიისა და შვედეთისა, რომლებიც დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ).

ევროკავშირის ხელშეკრულებამ დასავლეთ ევროპული კავშირი 'ევროკავშირის განვითარების განუყოფელ ნაწილად~ განსაზღვრა, თუმცა შეინარჩუნა მისი ინსტიტუციური ავტონომია და მას თავდაცვითი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების და ქმედებების შემუშავება და აღსრულება დაავალა.

WEU associate members - დასავლეთ ევროპული კავშირის ასოცირებული წევრები

1991 წლის 10 დეკემბრის მაასტრიხტის დეკლარაციით დასავლეთ ევროპული კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ასოცირებულ წევრებად მიიწვიეს ნატო-ს წევრი ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც არ იყვნენ ევროკავშირის წევრები. ასეთია 6 ქვეყანა: ისლანდია, ნორვეგია, თურქეთი და 1999 წლის მარტიდან უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთი. ასოცირებული წევრის სტატუსი, რომელიც განსაზღვრულია პეტერსბერგის 1992 წლის 19 იენისის დეკლარაციით, ამ ქვეყნებს უფლებას აძლევს სრული მონაწილეობა მიიღონ დასავლეთ ევროპის კავშირის საბჭოსა და მისი სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში. მუდმივი ურთიერთკავშირის პროცედურა ამ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, ასოცირებული იყვნენ დაგეგმარების დანაყოფთანაც. მათ აქვთ უფლება, გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, მაგრამ არ შეუძლიათ ვეტო დაადონ გადაწყვეტილებას, რომელზეც წევრმა სახელმწიფოებმა კონსენსუსს მიაღწიეს. მათ შეუძლიათ გაიზიარონ ეს გადაწყვეტილებები და შეურთდნენ დასავლეთ ევროპული კავშირის მეთაურობით ჩატარებულ სამხედრო ოპერაციებს.

WEU associate partners - დასავლეთ ევროპული კავშირის ასოცირებული პარტნიორები

ასოცირებული პარტნიორის სტატუსი 1994 წელს შეიქმნა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნისათვის, რომლებმაც ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმება გააფორმეს. მას შემდეგ, რაც 1999 წელს უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა დასავლეთ ევროპული კავშირის ასოცირებული წევრები გახდნენ, ასოცირებულ

პარტნიორთა რაოდენობა შვიდამდე შემცირდა, ესენია: ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ბალტიის სამი სახელმწიფო. ეს სტატუსი საშუალებას აძლევს ასოცირებულ პარტნიორებს, დაესწრონ დასავლეთ ევროპული კავშირის საბჭოს შეხვედრებს, სადაც მათ რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია საბჭოს სამუშაო ჯგუფების საქმიანობის შესახებ; ისინი შეიძლება მიწვეულ იქნენ ამ ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად განსაკუთრებულ შემთხვევებში. მათ ასევე აქვთ ურთიერთკავშირის შეთანხმება დაგეგმარების დანაყოფთან. დაბოლოს, მათ შეიძლება მონაწილეობა მიიღონ პეტერსბერგის დეკლარაციით განსაზღვრულ ამოცანებთან დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა: ჰუმანიტარულ და სამაშველო ოპერაციები, სამშვიდობო ოპერაციები, კრიზისულ სიტუაციებში საბრძოლო ოპერაციები, მშვიდობის დამყარების ჩათვლით.

WEU observers - დასავლეთ ევროპული კავშირის დამკვირვებლები

დასავლეთ ევროპული კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა 1991 წლის 10 დეკემბრის მაასტრიხტის დეკლარაციით განაცხადეს ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების დასავლეთ ევროპულ კავშირში წევრებად ან დამკვირვებლებად მიწვევის შესახებ.

ავსტრიას, დანიას, ფინეთს, ირლანდიას და შვედეთს დასავლეთ ევროპულ კავშირში დამკვირვებლის სტატუსი აქვთ. მათ შეუძლიათ დაესწრონ დასავლეთ ევროპული კავშირის საბჭოს შეხვედრებს, ისინი შეიძლება მიიწვიონ სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე, და მათი თხოვნის საფუძველზე, შეიძლება სიტყვით წარსდგნენ ამ შეხვედრებზე.

White Paper - თეთრი წიგნი

კომისიის თეთრი წიგნი შეიცავს კონკრეტულ წინადადებებს ევროგაერთიანების ქმედებათა შესახებ კონკრეტულ სფეროში. ზოგიერთ შემთხვევაში იგი ქვეყნდება მწვანე წიგნის შემდეგ, რომლის მიზანია ევროპულ დონეზე კონსულტაციების პროცესის დაწყება. ევროკომისიამ გამოსცა თეთრი წიგნი შიდა ბაზრის დასრულების შესახებ; ასევე ეკონომიკური ზრდის, კონკურენციის, დასაქმების და ცენტალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობათა ჰარმონიზაციის შესახებ. თუ თეთრ წიგნს მინისტრების საბჭო მოიწონებს, ის კონკრეტულ სფეროში კავშირის სამოქმედო პროგრამად იქცევა.

F 6198/4

ISBN 99928-0-723-7
© ევროკომისია
© ბ. ჯავახიშვილი
პირველი გამოცემა